ნუგზარ ენდელაძე 70

კაცი ნათელი ლა მართალი

თბილისი
2014

ნუგზარ ენდელაძე 70

კაცი ნათელი ლა მირთალი

თბილისი
2014

შემდგენლებისაგან

2014 წლის 29 ნოემბერს ნუგზარ ენდელაძე 70 წლის გახდებოდა. ამქვეყნად სრული ნახევარი საუკუნეც არ უცხოვრია, უეცრად გადავიდა მარადიულ საუფლოში და გაუნელებელ ტკივილთან ერთად დაგვიტოვა ჩაუქრობელ სანთლად ანთებული ხსოვნა კაცისა, რომლის პიროვნული ღირსებები და საქმე დავიწყებას არასდროს მიეცემა.

ეს კრებული თითოეულ ჩვენგანს მთლიანობაში გაგვახსენებს ამ ნათელი კაცის განვლილ გზას ცხოვრებაში, ერთხელ კიდევ გვაზიარებს იმ სიკეთის მადლს, რაც მისი ცხოვრების თანამდევი წესი იყო.

მადლობა ნუგზარ ენდელაძის მეუღლეს, ქალბატონ ტატას, ნუგზარის მეგობრებს გოდერძი ბუკიას, ჯუმბერ ბერაძეს, მალხაზ ყანჩაველს, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს, სპორტულ ფედერაციებს, ყველას, ვინც თავისი წვლილი შეიტანა ნუგზარ ენდელაძის საკადრისად მისი დაბადების 70 წლის აღსანიშნავი ღონისძიების ორგანიზებაში.

შემდგენლები: თენგიზ გაჩეჩილაძე
გაბრიელ ბარჯაძე

რედაქტორი: თენგიზ გაჩეჩილაძე

ბიოგრაფიული პირამიდა

– **დაიბადა** 1944 წლის 29 ნოემბერს ბაღდათში.

_ **1968 წელს** წარჩინებით დაამთავრა პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკის ფაკულტეტი.

– **1961 წლიდან** პარალელურად მუშაობდა თბილისის ქარხანა „ელექტროავტომატში.“

– **1968 წლიდან** იქვე ინჟინერ-ელექტრიკოსად დააწინაურეს, აირჩიეს ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივნად, შემდეგ კიროვის რაიონის კომკავშირის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგედ გადაიყვანეს.

– **1971 წელს** კომკავშირის ოქტომბრის რაიკომის მეორე მდივანია, 1972 წელს – პირველი მდივანი, 1973 წელს თბილისის კომკავშირის ქალაქკომის მეორე მდივანი, 1974 წელს – პირველი მდივანი.

– **1975 წელს** თბილისის ლენინის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარედ დააწინაურეს. იმავე წელს პარტიის ლენინის რაიკომის პირველ მდივნად გადაიყვანეს.

– **1976 წელს** დაინიშნა თბილისის ქალაქკომის მდივნად.

– **1982 წლიდან** არის საქართველოს კომპარტიის ცკ-ის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგე.

– **1986 წლის** 15 იანვრიდან 1991 წლის 15 მარტამდე იყო საქართველოს სპორტკომიტეტის თავჯდომარე,

1991 წლის 15 მარტიდან – სრულიად საქართველოს სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფკავშირების რესპუბლიკური სათათბიროს თავმჯდომარე.

ასრულებდა საზოგადოებრივ დავალებებს: იყო საქართველოს რაგბის ფედერაციის თავმჯდომარე, „დინამოს“ მორაგბეთა კლუბის პრეზიდენტი, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნის მოთავე.

გარდაიცვალა 1994 წლის 26 აპრილს.

2014 წლის ნოემბერში საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ ნ. ენდელაძეს მიანიჭა „სპორტის რაინდის“ წოდება.



თბილისის „ელექტროავტომატში“ კოლია ზაუტაშვილი (მარცხნიდან) ელექტრო ზეინკალი ნუგზარ ენდელაძე

ღვაწლი

საქართველოს სპორტსახკომის თავმჯდომარედ მუშაობის დროს ნუგზარ ენდელაძის ორგანიზატორულ ნიჭს ნათლად წარმოაჩენს მეტყველი ფაქტები:

– **1986 წელს** შექმნა მძლეოსნობისა და ველოსპორტის ცენტრები და გადასცა ისინი შესაბამის ფედერაციებს;

– **ფიზკულტურის** ინსტიტუტთან გაიხსნა ბავშვთა და მოზარდთა ექსპერიმენტული სპორტსკოლა. წესდება გერმანიიდან თვით ნ. ენდელაძემ ჩამოიტანა;

– **1989 წელს** ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში ლატვიის ქალაქ ელგავაში ბალტიისპირელებთან ერთად ნ. ენდელაძემ ხელი მოაწერა შეთანხმებას დამოუკიდებელი ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების აღდგენის (ბალტიისპირეთის რესპუბლიკები) და ჩამოყალიბების (საქართველო) შესახებ;

– **1987 წელს** საქართველოს სპორტსმენებმა არნახულ წარმატებებს მიაღწიეს სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადაზე;

– **1990 წელს** პერუს დედაქალაქ ლიმაში ტრადიციულ კარატეში საქართველო პირველად წარსდგა დამოუკიდებელი გუნდით მსოფლიოს V ჩემპიონატზე. ნუგზარ ენდელაძის აქტიურობით იმ დღეებში ჩვენი ფედერაცია საერთაშორისო ორგანიზაციამ აღიარა, რაც პირველი შემთხვევა იყო ქართული სპორტის ისტორიაში;

– **1990 წელს** ქართველმა მორაგბეებმა დამოუკი-

დებლად პირველი საერთაშორისო მატჩი გამართეს უცხოეთში ზიმბაბვეს (აფრიკის ნაკრებთან), ამ საქმესაც სათავეში ნ. ენდელაძე ჩაუდგა;

– **1986 წლის** 6 ოქტომბერს დაფუძნდა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, რომლის იდეა ნ. ენდელაძისგან წამოვიდა და საინიციატივო ჯგუფს გვერდით ედგა ბოლომდე;

– **1988 წელს** ნ. ენდელაძის მიზანმიმართული და უნარიანი ხელმძღვანელობის შედეგად სეულში ყველაზე მეტი მედალი 12 (16 მონაწილე) მოიპოვეს საქართველოს ათლეტებმა ოლიმპიადებში მონაწილეობის ისტორიაში;

– **1990 წელს** საქართველოს მხედრებმა ქ. პარდუბიცეს (ჩეხეთი) მე-100 საიუბილეო „სტიპლჩეისში“ პირველად იასპარეზეს;

– **1988 წელს** ნ. ენდელაძის მაღალი ავტორიტეტის წყალობით, ქართველ მოჭიდავეებს მცხეთის რაიონის სოფ. წოდორეთში საწვრთნელი შეკრებებისთვის გადაეცა ყოფილი სატყეო-კვლევითი ინსტიტუტის ოთხსართულიანი შენობა;

– **ნ. ენდელაძის** თხოვნით თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა დიღმის ტყე-პარკში გამოყო ტერიტორია „სპორტული დიდების ხეივნის“ მოსაწყობად;

– **ნ. ენდელაძის** ძალისხმევით ფეხბურთში საქართველოს პირველობაზე სხვადასხვა ჯგუფში მონაწილეობდა 148 გუნდი;

– **ნ. ენდელაძემ** აქტიურად დაუჭირა მხარი ფეხბურთში სსრ კავშირის ჩემპიონატიდან საქართველოს

გუნდების გამოყოფას. მისი თაოსნობით და მონდომებით საქართველოს ეროვნულ საფეხბურთო ჩემპიონატში ჩაერთნენ სოხუმისა და ცხინვალის გუნდები;

– **1999 წლის** ივლისში ნ. ენდელაძის გადაწყვეტილებით გამოცხადდა სახელმწიფო სპორტკომიტეტის სრული დეპოლიზაცია;

– **გაზეთ „ლელოს“** მიენიჭა სარედაქციო დამოუკიდებლობა;

– **ნ. ენდელაძის** მოღვაწეობის პერიოდში თვალსაჩინო აღმავლობას განიცდიდა სპორტის ყველა სახეობა და საერთოდ, ქართული სპორტი.

ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ მხოლოდ მნიშვნელოვან, არსით ისტორიულ მოვლენებზე, რასაც დაწვრილებით კრებულში სხვადასხვა პუბლიკაციაში გაეცნობით. საერთოდ აუწყავია ნ. ენდელაძის ღვაწლი ქართულ სპორტში.

მარცხნიდან: კახი ასათიანი,
ნუგზარ ენდელაძე, ლევან მოსეშვილი, გურამ ენუქიძე

ფრაზები, შეფასებები ...

„ჩემს, მეგობარებსა და კოლეგებს შორის ნუგზარს ყოველთვის ვიხსენიებ ლოცვებში, ხშირად მისაუბრია მასთან. დიდი მადლია უფლისა მასში, რომ ღმერთმა მომცა საშუალება, მოვიხსენიო და დავლოცო ჩემი საყვარელი ადამიანები და გავაგრძელო მათთან ურთიერთობები“ (გვ.19).

სვეტიცხოვლის მამათა მონასტრის
მღვდელმსახური, იღუმენი ილია (კავსაძე).
წმინდა ქალაქი მცხეთა. სვეტიცხოველი.
2014 წლის 28 ოქტომბერი

***

„ნუგზარ ენდელაძის მთელი ცხოვრება მომავლისათვის სამსახური იყო. ყოველდღიური საზრუნავი – სამშობლოს, ქვეყნის, ერის მომავალზე ფიქრი და მოღვაწეობა. ყველა, ვინც კი მას იცნობდა, დამეთანხმება, რომ მას არ შეეძლო რაიმე გულგრილად ეკეთებინა“ (გვ.38).

ვილენ ალავიძე

***

„დღესაც სიამოვნებას მგვრის ნუგზართან გატარებული ლამაზი დღეების გახსენება, გვყავდა საერთო მეგობრები, ახლოს ვიყავით ოჯახებით. ჩვენ შეხ-

ვედრებისას ხშირად ვსაუბრობდით ჩვენი ქვეყნის მომავალზე, ეს თემა ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მისთვის“ (გვ.110).

აკად. ფრიდონ თოდუა

***

„კონკრეტულ ადამიანზე ზრუნვა, მისდამი სითბო და ყურადღება ნუგზარ ენდელაძის, როგორც გარკვეული სფეროს ხელმძღვანელის გამიზნული პოლიტიკის ნაწილი კი არა, არამედ ზოგადად, მისი მთავარი პიროვნული თვისება გახლდათ; სხვა უამრავ ღირსებასთან ერთად, ამით იყო ის გამორჩეული“ (გვ.51).

გოდერძი ბუკია

***

„მე დღეს, ვსვამ წასული ნუგზარის მოგონების სადღეგრძელოს და იქ, მარადიულში, ამ წუთისოფლიდან ვეუბნები: 70 წლის რაინდო, შენ ყველა ღირსეულ ქართველს ახსოვხარ!

მოდი, შენს სიყვარულსა და კაცურ-კაცობას, შენს ერთგულებასა და მამულიშვილობას გაუმარჯოს!“ (გვ.114).

ჯანსუღ ჩარკვიანი

***

„ბრწყინვალე ადამიანი, ბრწყინვალე ორგანიზატორი, სამაგალითოდ საოცარი მეგობარი, სი-

კეთის განსახიერება, სულიერად და ფიზიკურად ჰარმონიულად სრულყოფილი ზერაინდული პიროვნება - აი, როგორი გახლდათ ბატონი ნუგზარი“ (გვ.55).

გურამ საღარაძე

***

„ღრმად ერკვეოდა სპორტში, მის ნიუანსებშიც კი, გააჩნდა მიზანმიმართული სტრატეგია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართული სპორტი ნუგზარ ენდელაძემ ახალ სიმაღლეზე აიყვანა“ (გვ.46).

ჯანსულ (ჯანო) ბაგრატიონი

***

„ნუგზარ ენდელაძემ, თავისი თაობის ღირსეულმა წარმომადგენელმა, კაცმა, რომელმაც დროის ყველა გამოწვევა მიიღო და ღირსეულად უპასუხა, ქართველმა, რომელმაც შექმნა კარგი მაგალითი, თუ როგორი უნდა იყოს პიროვნება - ვაჟკაცი, მოქალაქე - მეგობარი, მოღვაწე - მამულიშვილი, სამუდამო ადგილი დაიმკვიდრა ჩვენს მეხსიერებაში“ (გვ.70).

ნოდარ ჭითანავა

***

„რჩევა-დარიგებებს და წახალისების სხვადასხვა ფორმას არ იშურებდა გაზეთის სასიკეთოდ. „ლელო“ მუდამ იყო პატრიოტიზმზე ორიენტირებული

გაზეთი, ამას გრძნობდა ჩვენი ხალხი და ეს ჩინებულად იცოდა ნუგზარ ენდელაძემაც, რომელიც ქვეტექსტებით ხშირად მიმანიშნებდა, გაზეთისთვის მეტი პატრიოტული დატვირთვა მიგვეცა“ (გვ.31).

თენგიზ გაჩეჩილაძე

***

„მისი სახელის გახსენება ტკივილიან მოგონებებს აღძრავს. ამასთანავე საუკეთესო, ვაჟკაცური ზნეობისა დ მაღალი კულტურის ნიმუშად დარჩება ჩვენი თაობის მეხსიერებაში“. (გვ.102).

პაატა ბურჭულაძე

***

„ხარისხზე იყავი ორიენტირებული ყოველთვის. „კრუგლოსუტოჩნი“ ძმაკაცობაში ხარისხი, ოჯახში ხარისხი, საქმეში ხარისხი, ერთი სიტყვით, ხარისხის ნიშნით იცხოვრე!“ (გვ.49).

ძმები და მეგობრები რუსთავ ქალაქიდან

***

„ნუგზარი გვიყვარს ჩვენ, მის მეგობრებს, უყვარს ყველას, ვისაც მასთან ურთიერთობის ბედნიერება ჰქონია, თავისი ხანმოკლე, მაგრამ შინაარსიანი ცხოვრებით ამ სიყვარულის თანაზიარი გაგვხადა“ (გვ.58).

მანანა გოჩალეიშვილი

***

“Высокий, спортивный, стремительный и очень искренний, не обремененный официальными условностями, молодой человек. Он в жизни действовал как на регбийном поле.Был частью команды, и в то же время готовым взять ответственность на себя, принять самостоятельно решение“ (გვ.61).

Габриел Намталашвили

***

„საერთოდ, დახმარება, გვერდში დგომა, გადარჩენა, ნუგზარის ცხოვრების მთავარი კრედო იყო“ (გვ.68).

რუსუდან კერვალიშვილი

***

„რა დამავიწყებს შენს მუხლჩაუხრელობას და სიხალასეს, როცა ძველ თბილისს ხელახლა ვაშენებდით, ნარიყალას ვაცოცხლებდით, ერის უკვდავ ისტორიას ძეგლებს ვუდგამდით, დიდი ქვეყნების დიდ ქალაქებთან კავშირებს ვამყარებდით... ყველასგან ყურადღებასა და სიმპათიებს იმსახურებდი“ (გვ.25).

ნელი გურგენიძე

***

„ნუგზარ ენდელაძემ, საკუთარი ინიციატივით, რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის უმაღლეს

პირებთან შეთანხმებით, ყოველი აღდგომის მეორე დღე დააწესა მიცვალებულთა ხსოვნის დღედ და გამოცხადდა უქმე დღედ. საქართველოში ამ დღის აღნიშვნა ტრადიციად იქცა, რამაც თავის მხრივ უკვდავყო თითოეული ადამიანის მიცვალებულთა ნათელი ხსოვნა.“ (გვ.87).

ავთო გოგიბერიძე

***

„ის იყო კაცი, რომელსაც თუ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების რომელიმე სფეროს ჩააბარებდი, ხელისუფალი დაწყნარებული უნდა ყოფილიყო, იქ ყველაფერი რიგზე იქნებოდა“ (გვ.104).

ომარ გოგიაშვილი

***

„თუ ჩვენი მეხსიერების ელასტიურობას გამოვიყენებთ, აწ გარდაცვლილი ნუგზარის ცხოვრების მაგალითიც დაეხმარება ყველას, დღევანდელი საქართველოს უკეთესი მომავლისათვის ბრძოლაში“ (გვ.83).

ჯამლეტ ხუხაშვილი

***

„ჩვენ, არა მხოლოდ როგორც მეგობრები და ყოფილი კოლეგები თვალყურს ვადევნებდით ერთმანეთის განვითარებასა და საქმიანობას, არამედ ერთად ვხარობდით ერთმანეთის სიკეთითა და შედეგებით“ (გვ.79).

გივი აბდუშელიშვილი

***

„ათწლეულების განმავლობაში ნუგზარის ცხოვრება და საქმიანობა მუდამ ჩემს თვალსაწიერში იყო. ვხარობდი მისი წინსვლით და აბსოლუტურად დამსახურებული ავტორიტეტით“ (გვ.85).

ავთანდილ საყვარელიძე

***

„იმ დროს სახელმწიფო და პოლიტიკურ ასპარეზზე მიღებული იყო წინასწარ დაწერილი ტექსტებით გამოსვლა, ნუგზარი ყოველთვის ყოველგვარი ფურცლებისა და წინასწარ მომზადებული ტექსტებით გამოდიოდა, რაც იშვიათი იყო და დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა“ (გვ.93).

ნიკო ლეკიშვილი

***

„საკუთარ დარდს ფარავდი, სხვისას იზიარებდი, სხვისი სიხარულით ხარობდი... შური უცხო იყო შენთვის... უაღრესად სწორად, მძაფრად და საინტერესოდ აფასებდი მოვლენებს...

ნუგზარის წასვლით გამოწვეული ტკივილი არ განელებულა და ვერც განელდება, რადგან იგი მკვიდრად აღიბეჭდა ჩემს და არა მარტო ჩემს მეხსიერებაში. ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ მოხდა“ (გვ.96).

ვალერი ასათიანი

***

„შენი მეუღლე და შენი შვილები, შენ რომ გეკადრება ისე აგრძელებენ შენს ტრადიციებს, სათუთად ინახავენ შენს ხსოვნას, ყველაფერს ცდილობენ, რომ გაუფრთხილდნენ შენს ღირსებას და შენს შთამომავლობას შთაუნერგონ, რომ იცხოვრონ ისე და იარონ ისეთივე გამართული ნაბიჯებით, როგორც ნუგზარ ენდელაძემ იარა“ (გვ.99).

დალი აბაშიძე

***

„ნუგზარი არასტანდარტული პიროვნება იყო. იგი მუდმივად თვითქმნადობის და თვითრეალიზების პროცესში იმყოფებოდა. ლაპარაკობდა სიმართლეს, მოქმედებდა სიყვარულით, გასცემდა და არაფერს ითხოვდა. იყო საჩუქარი ყველასათვის, ვის ცხოვრებაშიც შედიოდა. მისი სიტყვა ძლიერი, საქმე კი კეთილშობილური იყო“ (გვ.73).

თამაზ ბაციკაძე

***

„ნუგზარ ენდელაძე - უზადო ვაჟკაცი, ღირსეული მამულიშვილი, ჩემი განუყრელი მეგობარი, ჩემი სევდა და სიყვარული“.

ჯუმბერ ბერაძე

***

„ქართული სპორტის მემკვიდრეებმა, მომავალმა თაობებმა უნდა იცოდნენ, რა ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ამ დიდებულმა ადამიანმა ქართული სპორტის წინსვლა-განვითარებაში. სპორტის მუშაკებისთვის კი მაგალითი უნდა იყოს ნუგზარ ენდელაძის დამოკიდებულება საქმისადმი, საერთოდ ადამიანებისადმი, მისი პატრიოტიზმი და მაღალი ადამიანური ღირსებები“ (გვ.117).

შოთა ხაბარელი

***

„რაგბის გუნდში იგი გამოირჩეოდა თავისი სპორტული აღნაგობით, სხარტი აზროვნებით, რაგბისადმი უდიდესი სიყვარულით. თამაშობდა ლაღად, შეუპოვრად. ნუგზარი იმდენად მხნე, უდრეკი და ძლიერი პიროვნება იყო, რომ ყოველ ჩვენგანს გამარჯვებისკენ სწრაფვის სურვილს გვიჩენდა“ (გვ.120).

ირაკლი კიზირია



ნუგზარ ენდელაძე – გამორჩეული კაცი

29 ნოემბერი, ნუგზარის დაბადების დღეა! ის, სამოცდაათი წლის გახდებოდა!!!... მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი 45 წლის განმავლობაში, თითქმის ყოველ წელს ვულოცავდი დაბადების დღეს, ახლა მაინც მომეჩვენა, რომ ძალიან სწრაფად გავიდა დრო, თითქოს ყველაფერი გუშინ იყო....

მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლების, საქართველოს პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეთა შორის ნუგზარ ენდელაძე გამორჩეულია, ... ის ჩემი თაობის გამორჩეულად ღირსეული კაცია!!!

ერთ წინადადებაში ორჯერ გამოვიყენე სიტყვა „გამორჩეული“ და უნებლიედ გამახსენდა ჩვენი კომკავშირული ცხოვრებიდან ერთი შემთხვევა: გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში სახელმწიფო, დიდ ყურადღებას უთმობდა არასრულწლოვანებთან, ბავშვებთან საცხოვრებელ ადგილებში მუშაობას, აღმზრდელობით, კულტურულ-საგანმანათლებლო და სპორტული ღონისძიებებით მათი თავისუფალი დროის შევსებას....

სწორედ, ამ მოთხოვნათა სივრცეში, წარმატებულად ჩატარდა ქალაქის პირველობა ფეხბურთში,

ეზოს ბავშვთა გუნდებს შორის. ღონისძიების მაღალეფექტურობა ბევრად განაპირობა იდეოლოგიური, ორგანიზაციული და ტექნიკური საკითხების სრულყოფილმა მართვამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა ნუგზარ ენდელაძე, იმ დროს დედაქალაქის კომკავშირული ორგანიზაციის ერთ-ერთი ლიდერი.

ჩვენ აღვნიშნეთ ეს წარმატება და... მე მას სადღეგრძელოში ვუთხარი: ნუგზარ, გამორჩეული კაცი ხარ,... ახლაც მესმის მისი იმწამიერი პასუხი: „რითი ვართ, ჩემო სანდრო, გამორჩეულები?“ ჩვენი იმდროინდელი საუბარი სხვა თემაა და აღარ გავაგრძელებ, თუ უფალი ინებებს, თვით არსს საკითხისას დავუბრუნდები....

რაც შეეხება კითხვას, თუ რით არის ნუგ-

მარცხნიდან: ვალერი ჩოლარია, რომან გვენცაძე, ნუგზარ ენდელაძე, გოდერძი ბუკია

ზარ ენდელაძე, გამორჩეული მეოცე საუკუნის სამოცდაათიანელ კომკავშირულ, პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეთა შორის, თამამად შემიძლია გავცე შემდეგი პასუხი: სიყვარულის და ერთგულების ნიჭით, შინაგანი პატიოსნებითა და კულტურით, ტოლერანტობით და კაცთმოყვარეობით, სათნოებითა და დიდი მგრძნობელობით, უდიდესი პასუხისმგებლობით და თვითკონტროლით, პროფესიონალიზმით და კომპეტენტურობით, უბრალოებითა და თავმდაბლობით, ოჯახისშვილობითა და ოჯახის მამობით... პირადად მე, ყოველთვის გამორჩეულად ვიხსენიებ და ვლოცავ ნუგზარ ენდელაძეს კოლეგას, მეგობარს თანამოაზრეს....

ჩემს მეგობარებსა და კოლეგებს შორის, ნუგზარს ყოველთვის ვიხსენიებ ლოცვებში, ხშირად მისაუბრია მასთან. დიდი მადლია უფლისა მასში, რომ ღმერთმა მომცა საშუალება, მოვიხსენიო და დავლოცო, ჩემი საყვარელი ადამიანები და გავაგრძელო მათთან ურთიერთობები.

ჩვენ გავიზარდეთ და ვცხოვრობდით კომუნისტური, აგრესიული ათეიზმის პირობებში, ჩვენ გვასწავლიდნენ, რომ ეკლესიები, სალოცავები, მთებში და მიუვალ ტყეებში აშენებული ქრისტიანული ბაზილიკები, იქ განთავსებული

ხატები და სიწმინდეები, ისტორიული და კულ-ტურული ძეგლებია და რომ კულტურული ძეგ-ლებისათვის უნდა მიგვეგო პატივი, მაგრამ ის , რომ მივსულიყავით ეკლესიაში და გადაგვეხადა სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი, ან მივსუ-ლიყავით საფლავზე გველოცა ჩვენი ახლობლე-ბისათვის, ნათესავებისა და მეგობრებისათვის,... ეს მხოლოდ ოცნებად დარჩებოდა.

მეოცე საუკუნის, სამოცდაათიანი წლების პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეთა გუნ-დი, ძირითადად ახალგაზრდული იყო, რომელიც იღვწოდა სამართლიანობის უზრუნველყოფის, პატიოსნების დამკვიდრების, შემწყნარებლობის, ტოლერანტობის და ადამიანური ურთიერთობე-ბის აღდგენის და სინდისის რეალური თავისუფ-ლებისათვის.

გასული საუკუნის სამოცდაათიანელებს აუც-ილებლად ახსოვთ, თუ როგორ დაიწყო სა-ქართველოს მოსახლეობამ სასაფლაოებზე გას-ვლა ახლობელთა მოსახსენიებლად და პატივის მისაგებად. დიახ, ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც საბჭოთა კავშირში აგრესიული ათეიზმი ბობოქ-რობდა.

აღნიშნული შესაძლებელი რომ გამხდარიყო, მომზადდა საქართველოს ცენტრალური კომიტე-

ტის სპეციალური არგუმენტირებული, ანალიტიკური დოკუმენტი და ცენტრალური კომიტეტის დადგენილება, ამ დოკუმენტს კი ამზადებდა შესაბამისი განყოფილება, რომელსაც ნუგზარი ხელმძღვანელობდა. ახლაც თვალწინ მიდგას მობილიზებული ნუგზარის სახე (იმ დროს, რბილად რომ ვთქვა, რთული იყო ანალოგიური პრობლემების წამოწევა. გადაწყვეტაზე რომ არაფერი ვთქვათ. აღნიშნული თემა მას უნდა მოეხსენებია ცკ-ს ბიუროსათვის!!!), დოკუმენტი შედგა, ბიურომ მხარი დაუჭირა შეტანილ წინადადებებს....

ნუგზარ ენდელაძე იყო თანაავტორი უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო გადაწყვეტილებისა, და ამ დროს, მისი სიხარულიც კი, თავშეკავებული და ზომიერი იყო, ის მადლიერებას გამოხატავდა ყველას მიმართ, ვინც რაიმე მონაწილეობა მიიღო საკითხის მომზადებაში....

ჩემო ნუგზარ, დღეს მოვიხსენიე ჩვენი საერთო მეგობრები, მოგიხსენიე შენც, შენმა ტატამ მიმანიშნა 29 ნოემბერზე. მე, რა თქმა უნდა, მახსოვს და წინასწარ გილოცავ დაბადების დღეს, სიკეთე და ბედნიერება შენს ოჯახს, შენს საყვარელ მეუღლეს და უერთგულეს მეგობარს ტატას, მე ერთი თვის წინათ უკვე გავხდი სამოცდაათის, შენ ერთი თვის შემდეგ, ბევრი

ნუგზარ ენდელაძე, გურამ გაბუნია, თენგიზ მენთეშაშვილი, ნელი გურგენიძე

საქმე გვაქვს გასაკეთებელი, ვფიქრობ, რომ საქმეს თავს გავართმევთ....

მოსალოც წერილს ფეიხტვანგერის სიტყვებით დავამთავრებ: „სიკვდილი და სიცოცხლე უწყვეტი კავშირია (ერთობლიობაა), ამასთან ყოფიერების მრავალ რეალობებს შორის, სიკვდილი არ არის ყველაზე ყურადსაღები.“

სვეტიცხოვლის მამათა მონასტრის
მღვდელმსახური, იღუმენი ილია /კავსაძე/
წმინდა ქალაქი მცხეთა. სვეტიცხოველი

3 მაისი, 1994. დღე - სულის შემძვრელი...

სიტყვა წარმოთქმული 1994 წლის 3 მაისს, ნუგზარ ენდელაძის დაკრძალვაზე

არც კი ვიცი, როგორ მოგმართო! მეგობარო, ძმაო, თანამოაზრევ, თანამოსაქმევ, თანამებრძოლო... ყველაფერი იყავი ჩვენთვის. იმას კი ვერ წარმოვიდგენდი, რომ იმ ადამიანთა შორის, ვინც სიცოცხლიდან სიკვდილის სამეფოში მიგაცილებენ, მეც ვიქნებოდი. შენ ხომ ბევრად უმცროსი იყავი...

ბედმა ასე გარგუნა, სადაც კი შრომობდი და მოღვაწეობდი, ყველგან ყოველთვის ყველაზე ახალგაზრდა იყავი, მაგრამ არასდროს არავის წლებით დამძიმებულებსა და დაბრძენებულებს არაფერში არ ჩამორჩებოდი, არც ერთ დიდსა და რთულ საქმეში ტოლს არ უდებდი.

ვიდრე ცოცხლები ვართ, ჩვენს მეხსიერებაში არ წაიშლება ნუგზარ ენდელაძე თავისი ნათელი გონებით, სხარტი აზროვნებით, ღრმა ერუდიციით, სიახლისაკენ სწრაფვით, კეთილშობილებით, ინტელიგენტობით, სიდარბაისლით და, რაც ყველაზე მთავარია, კაცთმოყვარეობით, მაღალზნეობით, სიკეთის თესვის დიდი უნარით.

ის ათზე მეტი წელიწადი, რამაც ჩვენ ერთად მუშაობით დაგვაკავშირა, შენი ბიოგრაფიის საუკეთესო წლებია... თვისებები კი, რომელთაგანაც ახლა

ზოგიერთი გაგახსენე, შენი ყოველდღიური ცხოვრების წესად და მოქმედების ნორმად გქონდა.

ასე იყო მაშინ, როდესაც სრულიად ახალგაზრდა ყმაწვილი თბილისელმა თანატოლებმა თავის ლიდერად აგირჩიეს და მათთვის, ვინ მოთვლის, რამდენ სასახელო საქმეში გზის გამკაფავი, მაგალითის მიმცემი იყავი. სჯეროდათ, სწამდათ შენი, გენდობოდნენ, მოგყვებოდნენ.

მაშინაც, როცა თბილისის ყველაზე დიდი რაიონის თავკაცობა მოგანდეს... თითოეული ორგანიზაციისა თუ ლამის თითოეული ოჯახის სიხარული და გასაჭირი ათასგზის გქონდა გადახარშული გულსა და გონებაში...

მაშინაც, როცა ქალაქის ხელმძღვანელობაში მაღალი პოსტი გეკავა. რამდენი სიახლის მომტანი და ნოვატორობის შემომქმედი იყავი.

ყველაფრის გახსენება შეუძლებელია... მაგრამ, რა დამავიწყებს შენს მუხლჩაუხრელობას და სიხალისეს, როცა ძველ თბილისს ხელახლა ვაშენებდით, ნარიყალას ვაცოცხლებდით, ერის უკვდავ ისტორიას ძეგლებს ვუდგამდით, დიდი ქვეყნების დიდ ქალაქებთან კავშირებს ვამყარებდით... ყველასგან ყურადღებასა და სიმპათიებს იმსახურებდი.

ან ათას ცხრაას სამოცდათვრამეტის 14 აპრილს რა დამავიწყებს, რომლის წინა დღეებში დღედაღამეს ასწორებდი, სახლშიც კი ვეღარ შედიოდი და სწორედ მაშინ, როცა ყველაფერი კარგად დამთავრდა, ქართული ენის სახელმწიფოებრიობას აღარაფერი ემუქრებოდა, პირველად და ალბათ უკანასკნელად ვნახე შენს თვალზე სიხარულის ცრემლი. გვეხვეოდი, გვილო-

ნელი გურგენიძესთან

ცავდი: ამ დღისთვის ღირდაო გაჩენა ამ ქვეყნად...

ასეთივე თავდადებული და შეუპოვარი იყავი, როცა სამართლდამცავ თანამოსაქმეებთან ერთად ბოროტებას, კორუფციას, ავისმზრახველებს ებრძოდი. პანიკა არ გიყვარდა, არც ზედმეტი ხმაური, სიმართლე და პატიოსნება იყო შენი ძალა, უბრალოდ არავის გაიმეტებდი, იცოდი ადამიანის ფასი. ამქვეყნად კაცურად ცხოვრების აზრი.

არაფერს თავის გამოსაჩენად არ აკეთებდი, ამბიციები შორს იყო შენგან. ნამდვილი პატრიოტი და მამულიშვილი იყავი. სულით და ხორცით ქართველს, შენს გვერდით მყოფი ყველა ერის შვილი გიყვარდა, სულ მეტი და მეტი გინდოდა გეკეთებინა ქვეყნისთვის, ხალხისთვის.

ვაგლახ, რომ სწორედ შენი ეს დიდი, სასიკეთო უნარი და ენერგია ცხოვრების ბოლო წლების ტრაგედიად გადაგექცა...

საკუთრივ შენთვის არასდროს არავინ შეგიწუხებია...

იმ საბედიწერო ღამესაც კი შველა არავისთვის გითხოვია, დახუჭე თვალი, აღარ გაახილე და განერიდე ამ წუთისოფელს...

მერე როგორ გიყვარდა შენი ოჯახი, შენი სათნო მეუღლე ტატა, შენი ლამაზი ქალ-ვაჟი თეა და ვახტანგი... ვიცი, ჩემი შვილები არასდროს შემარცხვენენო, ამბობდი ხოლმე ფარული სიამაყით... ვინ იცის, რამდენი რამე ვეღარ მოასწარი.

ან როგორ ჭირდებოდი ახლა შენს გაწამებულ, გატანჯულ ქვეყანას, რა უღალატო, ხალასი და ერთგული იყავი, რამდენი გაკეთება შეგეძლო კიდევ...

ისე როგორ დავიქცევით და გადავგვარდებით, რომ 70-80-იანი წლების ღირსეულ ქართველთა, ჭეშმარიტ მამულიშვილთა და ზნეკეთილ მოღვაწეთა შორის, როდესაც მათ გაიხსენებენ, ნუგზარ ენდელაძის გვარი და სახელი ვინმეს გამორჩეს...

ახლა კი მარადიული სასუფევლისკენ მიგაცილებთ. მწარეა და აუტანელი ეს სინამდვილე... ერთმანეთისათვის სანუგეშო სიტყვებს ვერ ვპოულობთ...

ნუგეში ისევ ის ნათელი კვალია, რომელიც ამ-

თათბირზე სპორტის სახელმწიფო კომიტეტში

ქვეყნად დატოვე, ის სახელი და ღირსებაა, რომ-
ლითაც იცხოვრე... ნუგეში ისევ შენი შვილები და
შთამომავლობაა, შენი ოჯახის სიკეთე და დღეგ-
რძელობა, შენი სახელის წმინდად შენახვაა...

ამიერიდან, სულთა სამეფოში გვეგულები...

დალოცე შენი ოჯახი, შენი ქვეყანა, შენი ხალხი,
ყველა, ვინც გიყვარდა და ვისაც უყვარდი...

მშვიდობით, დაუვიწყარო ძმაო და მეგობარო...

იყავ ნათელში!

ნელი გურგენიძე

მაგიური ძალის კაცად მიგვაჩნდა

გამოსათხოვარი სიტყვა 1994 წლის 3 მაისს ნუგზარ ენდელაძის დაკრძალვაზე

მძიმე წუთები გვიდგას, დღეს სამუდამოდ ვეთხოვებით პიროვნებას, რომლის სახელი და საქმე ყმაწვილკაცობიდან ხალხისა და ქვეყნის უმწიკვლო სამსახურთანაა დაკავშირებული, უკანასკნელ გზაზე ვაცილებთ კაცს, რომელიც პიროვნული თვისებებითა და ღვაწლით გვალამაზებდა, წვრილმანებზე აგვამაღლებდა, ცხოვრების აზრს ადამიანის შესაძლებლობების გამოვლენისათვის ხელშეწყობასა და პიროვნული ღირსებების პატივისცემა-დაფასებაში ხედავდა. მაღალი ზნეობა მისთვის ცხოვრების ნორმა იყო. გამორჩეულმა ადამიანურმა ღირსებებმა, უნიკალურმა ორგანიზატორულმა ნიჭმა და კაცთმოყვარეობამ გზა გაუხსნა მრავალ საპასუხისმგებლო სამუშაოზე, სადაც მისთვის დოგმები არ არსებობდა, თავად ამკვიდრებდა მუშაობის იმ სტილს, რომელიც პროგრესული, მაგრამ მხოლოდ მისეული, მხოლოდ მისი ნიჭიერებით იყო დაღდასმული.

ცხოვრება ულმობელია, დრო ჟანგავს, სულაც აუფასურებს ბევრის ღვაწლსა და ნაამაგარს. ბატონ ნუგზარ ენდელაძეს სხვა რომ არაფერი გაეკეთებ-

ინა, ამქვეყნად მისი სახელის უკვდავსამყოფად ეროვნულ-პორტულ მოძრაობაში შეტანილი წვლილიც იკმარებდა. მან ჭეშმარიტად ჰერკულესის სვეტები შეუდგა ქართულ სპორტს. მის ღვაწლს არასოდეს უწერია გადაფასება, რადგან სპორტი თავადაა ჭეშმარიტება, მართალი საქმე, რეალობა, იგი უკვდავებაა. შთამომავლობა, ალბათ, მრავალიგზის მიუბრუნდება ქართული სპორტის 80-იანი წლების მეორე ნახევრის ბრწყინვალე წარმატებებს და მაშინვე თქვენი უდიდესი დამსახურება, როგორც ამ გამარჯვებათა უნარიანი შემოქმედისა, წარმოჩინდება წინა პლანზე, ბატონო ნუგზარ!

ჩვენ დღეს გარკვეულწილად ჩვენი სულის ნაწილსაც ვეთხოვებით, რადგან ბატონი ნუგზარი ბევრი ჩვენგანის ჭეშმარიტი სულიერი მეგობარი და თანამდგომი გახლდათ.

ბატონი ნუგზარი იმდენად მხნე და უდრეკი, იმდენად ძლიერი იყო და ყოველ ჩვენგანს იმდენად მაგიური ძალის კაცად მიგვაჩნდა, რომ არეულ დროში ისევ მისკენ მივილტვოდით სულიერი თავშესაფარის საძიებლად. ამავე დროს, ალბათ, ბევრს ავიწყდებოდა, რომ იქნებ მასაც ეჭირვებოდა თანადგომა. ის მაინც სხვა კაცი იყო, თავის ტკივილს არავის აგრძნობინებდა, პრინციპებს არ უღალატებდა, მას არ ჰქონდა უფლება ზნემაღალი კაცობის ოლიმპიდან დაშვებულიყო, იგი იქ სულიერად

ურყევად იდგა ბოლომდე და იქვე დარჩება სამუდამოდ, რათა იმქვეყნად გარდასულმაც კი თავისი ცხოვრების ზნეობრივი მაგალითით გაგვამხნევოს.

გამოთხოვებაში სხვადასხვა აზრს დებენ, ჩვენ არ გემშვიდობებით ბატონო ნუგზარ, რადგან ვიდრე ჩვენ ვართ, თქვენც იქნებით ჩვენს გვერდით და ჩვენში, თქვენ კი შემდეგაც იცოცხლებთ თქვენი პიროვნული ღირსებებით, თქვენი ღვაწლითა და ამაგით.

უფალმა დაიფაროს თქვენი სული, თქვენი ქვეყანა და ხალხი, რომლისთვისაც არასოდეს გიღალატიათ, უფალმა დაიფაროს თქვენი ოჯახი, თქვენი საქმე, თქვენი დიდი საძმო.

***

ახლა კი, ნუგზარ ენდელაძის გარდაცვალების 20 წლის შემდეგ, რამდენიმე ღირსსახსოვარ მოვლენას გავიხსენებ.

1989 წლის შუა ზაფხული იყო, თუ არ ვცდები, ივნისის ბოლო დეკადა. ნუგზარ ენდელაძესთან, მის კაბინეტში, „ლელოს“ გააქტიურებაზე ქართული სპორტის სასიკეთოდ ვსაუბრობდით. ჩემთვის მოულოდნელად, ბატონი ნუგზარი მეუბნება, რომ საქართველოში დამოუკიდებელი ოლიმპიური კომიტეტის დაფუძნებაზე გვეფიქრა და „ლელო“ ჩადგომოდა სათავეში ამ საქმეს. მეც თქვენს გვერდით

მიგულეთო – დასძინა. ბატონი ნუგზარი, მართლაც, სულ მხარში გვედგა. ჯერ საზოგადოებრივი აზრი უნდა შეგვემზადებინა. პაატა ნაცვლიშვილმა ეს ამ-ოცანა „ლელოს“ ფურცლებზე წარმატებით შეასრუ-ლა. ერთ თვეში პრაქტიკულ საქმეზე გადავედით.

მალე ბალტიისპირეთში ამ რეგიონის ქვეყნების ფორუმზე გამგზავრება გადაწყვიტა ბატონმა ნუგ-ზარმა. მეც ვახლდი. სწორედ იქ გაფორმდა შეთან-ხმება, რომელმაც ბალტიისპირელები საბჭოთა ან-ექსიამდე არსებული ეროვნული ოლიმპიური კომი-ტეტის აღდგენამდე მიიყვანა, ჩვენ კი მისი შექმნის მძლავრი იმპულსი მოგვცა.

საორგანიზაციო კომიტეტში აზრთა სხვადასხვა-ობა იყო სეოკი-ს პირველი პრეზიდენტის კანდიდა-ტურის შერჩევასთან დაკავშირებით. რჩევას ბატონ ნუგზარსაც ვეკითხებოდი. ოლიმპიური ჩემპიონების სიმრავლით განთქმულ ჩვენს პატარა რესპუბლი-კაში ისეთი კანდიდატურა უნდა შეგვერჩია, არც საზოგადოებაში და არც დამფუძნებელ ყრილობაზე საპრეტენზიო არ გამხდარიყო.

შემოდგომის დილაა, იპოდრომზე ვართ. ტრიბუნე-ბის წინ შევაჩერეთ ცხენები. ბატონი ნუგზარი მე-უბნება – მოდით, ნონა გაფრინდაშვილზე იფიქრე-თო. შესანიშნავი შემოთავაზება იყო, საორგანიზა-ციო კომიტეტმა და ყრილობამაც ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება ქალბატონ ნონას სასარგებლოდ.

სეოკის დამფუძნებელი ყრილობის დელეგატები. 1989 წლის 6 ოქტომბერი

ნუგზარ ენდელაძე პარტიის ცეკადან 1986 წელს საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარედ გადაიყვანეს. მას კარგად ესმოდა სპორტის ფუნ-ქცია ახალგაზრდების ფიზიკურ და სულიერ აღ-ზრდაში, მისი ზოგადად სოციალური და, გნებავთ, პოლიტიკური მნიშვნელობა. რჩევა-დარიგებებს და წახალისების სხვადასხვა ფორმას არ იშურებდა გა-ზეთის სასიკეთოდ. „ლელო“ მუდამ იყო პატრიოტ-იზმზე ორიენტირებული გაზეთი, ამას გრძნობდა ჩვენი ხალხი და ეს ბატონმა ნუგზარმაც ჩინებულად იცოდა, ამიტომაც ხშირად მიმანიშნებდა გაზეთის-თვის მეტი პატრიოტული დატვირთვა მიგვეცა.

თენგიზ გაჩეჩილაძე და ნუგზარ ენდელაძე სეულის ოლიმპიადაზე, 1988წ.

გავიხსენებ კიდევ ერთ ამბავს, რომელიც ამ დიდებული პიროვნების პატრიოტიზმის მკაფიო გამოხატულებაა. 1980-იანი წლების მეორე ნახევარში მოსკოვის მოთხოვნით ეროვნულ ენაზე გამომავალი დარგობრივი რესპუბლიკური გაზეთების რუსულ ენაზე დუბლირებული გამოცემა დაიწყო. ასე გაჩნდა საქართველოში რუსულენოვანი „სოფლის ცხოვრება," „სახალხო განათლება", „ნორჩი ლენინელი"... ცხადია, გრიფით „საიდუმლო" შეტყობინება სპეცფოსტით ჩვენც მივიღეთ „ლელოში". ვადები ამოიწურა, მაგრამ „ლელო" რუსულად დუბლირებული არ გამოსულა. ვიცოდი, საქმე ასე იოლად არ დასრულდებოდა. ერთ დღესაც მთავრობის ტელეფონმა დარეკა – ცეკაში დამიბარეს. რევაზ აიწურაძემ – სექტორის გამგემ, ნუგზარ ენდელაძესთან მიმიყვანა, ის პროპაგანდის განყოფილების გამგე იყო. „ლელო" ძალიან მოწონდა. რეზო კაბინეტიდან გავიდა.

„ხალხს იმიტომაც უყვარს „ლელო“ – ვეუბნები ბატონ ნუგზარს, რომ სპორტის მეშვეობით შეფარულად, მაგრამ გონივრულად მუდამ ეხმიანება პატრიოტულ გრძნობებს და ეროვნულობას. როგორც კი ყველაფერ ამას რუსულად წაიკითხავენ (თანაც არანაირი გარანტია არ იყო, რომ მინიშნებებს თარგმანში ვინმე გვერდს აუვლიდა და ქვეტექსტს თავისი სახელი არ დაერქმეოდა ან უფრო მძიმე სინონიმს არ შეარჩევდა), გაზეთ „პრავდის" მოწინავეში ხშირად ვიქნებით კრიტიკის ობიექტი და უსიამოვნებები არ აგვცდება, ხოლო თუ გარდავიქმნებით, ხალხის სიყვარულს დავკარგავთ". აი, ეს იყო ჩემი არგუმენტი. გულდასმით მომისმინა, მერე წამოდგა, მომიახლოვდა, მხრებზე ღონიერი მკლავები მომხვია და მითხრა: კარგი, ყველაფერი გასაგებია, ენუქიძეს თავად დაველაპარაკები. ცეკას მდივანთან ერთად აღარ შევსულვართ. საქართველოს ცეკას რა არგუმენტი ჰქონდა მოსკოვთან, ჩემთვის უცნობი დარჩა.

თენგიზ გაჩეჩილაძე
გაზეთ „ლელოს“ მთავარი
რედაქტორი 1985 წლიდან.
03.05.1994წ –15.11.2014წ.

ღვთისნიერი კაცური კაცი
და ღირსეული მამულიშვილი

(ანუ შტრიხები ნუგზარ ენდელაძის პორტრეტისთვის მის დაბადების 70 და გარდაცვალების 20 წლისთავთან დაკავშირებით)

ძნელია გარდაცვლილ პიროვნებაზე რაიმეს თქმა და მით უმეტეს წერილობითი აზრის ჩამოყალიბება. ძნელია იმიტომ, რომ ნათქვამ სიტყვას ან ნააზრევს მოგონება ჰქვია, ხოლო ორი ათეული წლის წინათ ამ ქვეყნიდან 49 წლის ასაკში უდროოდ წასული, სიცოცხლისა და უშრეტი ენერგიით აღსავსე, თანამოაზრისა და თანამებრძოლი ახალგაზრდა კაცის წარსულში მოხსენიება ძალზე ძნელია.

ძნელია კიდევ იმიტომ, რომ არიან პიროვნებები, რომლებიც თავიანთი უშრეტი ენერგიით, ცხოვრების წესით, რაინდული და უზადო კაცური ურთიერთობებით, წარუშლელ კვალს ტოვებენ ისტორიაში და უპირველესად იმ ადამიანთა მეხსიერებაში, ვისთანაც მათ უხდებოდათ სამსახურეობრივი და მეგობრული ურთიერთობა.

ასეთ პიროვნებათა რიცხვს მიეკუთვნება ჩვენი საყვარელი ნუგზარი, რომელსაც ღმერთმა უხვად დაანათლა ნიჭი, კეთილშობილება, უდიდესი შრომისუნარიანობა და ყველა ის მადლი, რაც მხოლოდ ღირსეულ მამულიშვილთა ხვედრია.

ნაადრევად წავიდა ჩვენგან ახალგაზრდა კაცი, მაგრამ დატოვა დიდი სახელი და ნათელი კვალი. ქარ-

მარცხნიდან: ვილი ალავიძე, ნუგზარ ენდელაძე, ნუგრი ქავთარაძე

თული ტევადი სიტყვა გარდაცვალება, სრულად მიესადაგება ისეთ დიდბუნებოვან პიროვნებას, როგორიც ბატონი ნუგზარი იყო. ასეთი ადამიანები არ კვდებიან, ისინი მხოლოდ ფიზიკურად აღარ არიან ჩვენთან, მაგრამ მათი ნათელი სახე და კეთილი საქმეები სამუდამოდ რჩება იმ ადამიანთა მეხსიერებასა და გულებში, ვისთანაც მათ წლების განმავლობაში აკავშირებდა ახლო მეგობრობა და საქმიანი ურთიერთობა.

ნუგზარ ენდელაძის მთელი ცხოვრება მომავლისათვის სამსახური იყო. ყოველდღიური საზრუნავი – სამშობლოს, ქვეყნის, ერის მომავალზე ფიქრი და მოღვაწეობა. ყველა, ვინც კი მას იცნობდა, დამეთანხმება, რომ მას არ შეეძლო რაიმე გულგრილად ეკეთებინა. ყოველთვის უკომპრომისო იყო, უპირველესად საკუთარი თავისადმი და ქვეყნის სამსახურში ბოლომდე იხ-

არჯებოდა. რაც მთავარია, ეს არ იყო მოჩვენებითი აქტიურობა. მას ეს არც შეეძლო. იგი გულწრფელი იყო ყველგან და ყველაფერში – შრომით კოლექტივში, მშობლიურ ქარხანა „ ელექტროავტომატში“, სადაც 16 წლის ასაკში დაიწყო მუშაობა რიგით ზეინკლად. კომკავშირის რაიკომისა თუ თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის პოსტზე; პარტიის რაიკომის პირველი მდივნის, რაიაღმასკომის თავმჯდომარის, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივნის, თუ საქართველოს კომპარტიის ცკ-ის განყოფილების გამგის თანამდებობაზე.

ასეთივე დარჩა იგი საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ მუშაობისას. ასევე პროფკავშირულ სამუშაოზე – საქართველოს პროფსაბჭოს აპარატში და ფიზკულტურისა და სპორტის ხელშეწყობის ფონდის თავმჯდომარის პოსტზე. ასეთივე იყო იგი სამსახურის გარეთ – მეგობრულ წრეში თუ წმინდა ადამიანურ ურთიერთობებში.

მან გაიარა ცხოვრების ყველა საფეხური. წარმოებაში რიგითი მუშიდან ინჟინრამდე და ქარხნის ახალგაზრდული ორგანიზაციის თავკაცობამდე. იყო კომკავშირის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგე, კომკავშირის რაიკომის მეორე მდივანი, პირველი მდივანი; კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი, პირველი მდივანი; რაიაღმასკომის თავმჯდომარე; პარტიის რაიკომის პირველი მდივანი; პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი; საქართველოს კომპარტიის ცენტრალური

კომიტეტის განყოფილების გამგე; ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე; საქართველოს უმაღლესი საბჭოს არაერთგზის მოწვევის დეპუტატი და ა.შ.

ცხოვრებისეული აღმასვლის ამ ურთულეს კიბეზე მას ემატებოდა გამოცდილება, ცოდნა, პასუხისმგებლობა, მაგრამ თანამდებობის არც ერთ საფეხურზე არც „მიხვრა-მოხვრა“ და არც ლაპარაკის, ან ხელის ჩამორთმევის მანერა არ შეუცვლია. მას სალამს ვერავინ დაასწრებდა. ბოლომდე დარჩა თავმდაბალ, მოკრძალებულ ადამიანად. დაკისრებულ მოვალეობას უდიდესი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობით, დახვეწილი ადამიანური ურთიერთობებით, დიდი შინაგანი კულტურით,

მარცხნიდან: მაია ჩიბურდანიძე, ნუგზარ ენდელაძე, ნონა გაფრინდაშვილი

ტაქტით, ეთიკის ყველა ნორმების დაცვითა და შეუვალი პრინციპულობით ასრულებდა.

მას გააჩნდა უნიკალური უნარი – არა მარტო დაერაზმა კოლექტივის წევრები დასახული მიზნების მისაღწევად, არამედ ჩირაღდანივით აენთო ისინი. ყოველივე ამას აკეთებდა არა ადმინისტრირებით, არამედ დაჯერებით, პატივისცემით. თავის რენომეს იგი თანამდებობრივი ამპარტავნობით, ქედმაღლობითა და ყოყლოჩინობით კი არა, მოკრძალებული თავმდაბლობით იმკვიდრებდა. ამიტომაც იყო წლების განმავლობაში მისი საქმიანობა ყველგან და ყოველთვის წარმატებული, რაც თავისთავად გამორიცხავს შემთხვევითობის ფაქტორს.

ამის დამადასტურებელია თუნდაც საქართველოს სპორტსმენთა არნახული წარმატება 1988 წელს სეულში ოლიმპიურ თამაშებზე. იქ 16 ქართველი სპორტსმენი მონაწილეობდა და 12 სხვადასხვა ხარისხის მედალი მოიპოვა. მათ შორის იყო 5 ოქროს, 2 ვერცხლისა და 5 ბრინჯაოს მედალი. დანარჩენები კი ათეულში მოხვდნენ. მაშინ ნუგზარ ენდელაძე ფიზკულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე იყო და მისი თავკაცობით ქართველ სპორტსმენთა მიერ დამყარებული „რეკორდი“ დღემდე განუმეორებელია. ყოველივე ეს არ შეიძლება შემთხვევითობას მიეწეროს. აღნიშნულის დასტურად კიდევ ერთ მაგალითს მოვიშველიებ. მაშინდელი საბჭოთა კავშირი, რომლის მოსახლეობა 300 მილიონზე მეტ მაცხოვრებელს ითვლიდა, როგორც მოგეხსენებათ, სპორტული ქვეყანა იყო და საერთაშორისო შეჯიბრებებში, მათ შორის ყველა ოლ-

იმპიურ თამაშებში, მტკიცედ იკავებდა გუნდურ პირველ ადგილს.

დღეს შეიძლება ბევრმა არც კი იცის, რომ მაშინდელი საბჭოთა კავშირის ნაკრების სრული შემადგენლობა ქალთა ჭადრაკში საქართველოს წარმომადგენლებით – (ლეგენდარული ნონა გაფრინდაშვილი, მაია ჩიბურდანიძე, ნანა ალექსანდრია, ნინო გურიელი, ნანა იოსელიანი, ქეთევან არახამია) იყო დაკომპლექტებული. ამის წინააღმდეგი იყო მაშინდელი საბჭოთა კავშირის ზოგიერთი ხელმძღვანელი და მათ შორის სპორტული ელიტა. „ამტკიცებდნენ“, რომ ეს სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადა კი არა, მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაა და როგორ შეიძლება სსრ კავშირი ერთი პატარა რესპუბლიკის სპორტსმენებით და ისიც მხოლოდ ქართველებით იყოს წარმოდგენილიო.

ზოგიერთი უპრინციპო ხელმძღვანელი, მაშინდელი პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის თუ სუბორდინაციის გათვალისწინებით, ამ მოსაზრებას არ შეეწინააღმდეგებოდა და იტყოდა – ნება თქვენია და როგორც გნებავთ ნაკრები ისე დააკომპლექტეთო, მაგრამ ნუგზარმა შეუვალი პრინციპულობა გამოიჩინა და ყველას დაუმტკიცა, რომ სპორტული შედეგების მისაღწევად აუცილებელია ნაკრების დაკომპლექტებას მივუდგეთ მათი უნარის მიხედვით და არა ნაციონალური პოლიტიკის პრინციპებით. აიძულა ჭადრაკის ფედერაცია და სპორტკომიტეტის ხელმძღვანელობა, უცვლელად დაეტოვებინა სსრ კავშირის ნაკრები ქართველ მოჭადრაკეთა შემადგენლობით. ქართველთა ნაკრებმა ინდივიდუალურ და გუნდურ ჩათვლაში ოქროს მედლე-

ბი მოიპოვა და მაშინ მსოფლიოს სპორტულმა სამყა-
რომ საქართველო გაიცნო, როგორც ინტელექტუალ-
ურად მოაზროვნე ჭკვიან მოჭადრაკე ქალთა ქვეყანა.
ასეთი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება, მაგ-
რამ ეს არ არის მთავარი. მთავარია ის, რომ მას ჰქონ-
და არა მარტო ხელქვეითებთან, არამედ ხელმძღვანელ
მუშაკებთანაც იშვიათი კომუნიკაციისა და დარწმუნე-
ბის უნარი. ამ თვისებებს ვერანაირი განათლებით ვერ
შეიძენ ვერც ერთ სასწავლებელში და კვალიფიკაციის
ამაღლების კურსებზე ვერ ისწავლი, ეს მხოლოდ თან-
დაყოლილი ნიჭია. ისეთივე ნიჭი, როგორც, მაგალითად,
მწერლობის, მხატვრობის, მუსიკის და სხვა შემოქმედე-
ბითი დარგის. ბატონმა ნუგზარმა დაამტკიცა, რომ ად-
ამიანთა შორის ურთიერთობაც ხელოვნებაა და მასაც
შემოქმედებითი მიდგომა ესაჭიროება. იყო კოლექტი-
ვის რიგითი წევრი, მათი მეგობარი და ხელმძღვანელი
– რომელიც უყვართ, აფასებენ, პატივს სცემენ, უს-
იტყვოდ უგებენ, ენდობიან და მიყვებიან მას, ყველას
როდი შეუძლია. ადმინისტრირება ადვილია – მმართვე-
ლობა და ლიდერობა ძნელი.

ცნებები „სამსახურეობრივი ურთიერთობა“ და ას-
ევე „სამსახურეობრივი მოვალეობა“, ხატოვნად რომ
ვთქვათ, ორმხრივი მოძრაობის ქუჩებია და წარმატებას
მხოლოდ ის ხელმძღვანელი აღწევს, ვინც ამ ცნებებს
ბიუროკრატიული გზებით კი არა, უფრო ფართო, მრა-
ვალმხრივი ადამიანური ურთიერთობებით ასრულებს.
სწორედ ასეთ ხელმძღვანელთა კატეგორიას მიეკუთ-
ვნებოდა ყველასათვის საყვარელი და სანატრელი ნუგ-
ზარ ენდელაძე. პირადად მე, ღრმად მწამს და მჯერა,

თუ ოდესმე ვინმე ყველა დროის ხელმძღვანელთა რეიტინგულ სიას შეადგენს, ამ სიაში ერთ-ერთ მოწინავე ადგილს ნუგზარ ენდელაძე დაიკავებს.

ისმება კითხვა, მაინც რა არის საზოგადოების განვითარების ყველა ეტაპზე, ყველგან და ყოველთვის ხელმძღვანელის წარმატების საიდუმლო, რომელსაც პირადად მე „ნუგზარ ენდელაძის ფენომენს“ დავარქმევდი. პასუხი ერთია, დიდი გალაკტიონის სიტყვებისა არ იყოს – ნიჭი ძამიკო, ნიჭი. და რაოდენ საწყენია, რომ დღეს ჩვენს გვერდით აღარ არის ისეთი უზადო ნიჭისა და უნარის მქონე კაცი, რომელიც მარტო ოჯახს, ნათესავებს და მეგობრებს კი არა, მთელ ქვეყანას დააკლდა, რომლისთვისაც მას ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთება შეეძლო.

სამწუხაროდ, უდროოდ წავიდა ამქვეყნიდან დაუშრეტელი ენერგიისა და უდიდესი უნარის მქონე ღირსეული მამულიშვილი. იგი იყო საქმიანი იდეების გენერატორი, კოლექტივის ღვთისნიერი თავკაცი და შესანიშნავი ორგანიზატორი.

წავიდა ჩვენგან გულმართალი და ალალი კაცი, კაცი ოქროპირი, კაცურკაცობისა და რაინდობის ჭეშმარიტი ნიმუში, წავიდა, მაგრამ მოგონებად დაგვიტოვა დიდი სახელი, კეთილი კვალი და მგზნებარე გული, რომელიც მის მოსაგონრად მუდამ იგიზგიზებს, როგორც მარად ანთებული სანთელი.

ვილენ ალავიძე – ნუგზარის უფროსი მეგობარი,
ყოფილი კომკავშირული და პარტიული
ფუნქციონერი, საქართველოს ეროვნულ
და ნაციონალურ ურთიერთობათა
აკადემიის აკადემიკოსი, მსოფლიო მშვიდობის ელჩი

ჯანო ბაგრატიონი, გიორგი გაჩეჩილაძე, ქეთევან არახამია,
ნუგზარ ენდელაძე, ნანა იოსელიანი, ელიზბარ უგილავა

გულის სითბოსაც გაგრძნობინებდა

იმ წლებში, როცა ნუგზარ ენდელაძე საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარედ მუშაობდა, მე მისი მოადგილე ვიყავი. ეს იყო საუკეთესო პერიოდი ჩემს შრომით საქმიანობაში. ქართულ სპორტზე ზრუნვა და ურთიერთობა მიწევდა დადებითი თვისებებით ყოველმხრივ ამაღლებულ პიროვნებასთან, რომელსაც გააჩნდა შეუდარებლად გამორჩეული ორგანიზატორის უნარი, კარგი გზა ჰქონდა გამოვლილი, ბიოგრაფიას უმშვენებდა სხვადასხვა მაღალ თანამდებობაზე მუშაობის დიდი პრაქტიკული გამოცდილება და, რაც მთავარია, მოვიდა სპორტის სამყაროდან, როგორც ქართული რაგბის საუკეთესო

თაობის წარმომადგენელი. ამიტომაც ღრმად ერკვეოდა სპორტში, მის ნიუანსებშიც კი, გააჩნდა მიზანმიმართული სტრატეგია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართული სპორტი მან ახალ სიმაღლეზე აიყვანა. გიორგი სიხარულიძის შემდეგ ასეთი ღრმად ერუდირებული ხელმძღვანელი არ ჰყოლია ქართულ სპორტს. ეს მკაფიოდ აისახა ჩვენი სახელოვანი სპორტსმენების მიერ ოლიმპიურ, მსოფლიო, ევროპის თუ საკავშირო სპორტულ სარბიელზე ხარისხობრივად და რაოდენობრივად მოპოვებულ მაღალ მიღწევებში საქმისადმი თავდადებული მწვრთნელების თანადგომით.

სპორტკომიტეტის თანამშრომლები აღფრთოვანებულები იყვნენ თავმჯდომარის წარმოუდგენელი გულისხმიერებით. მიუხედავად იმისა, რომ სამსახურში მოსვლამდე სისტემატურად, ყოველდღიურად ვარჯიშობდა, დილით 9 საათზე მაინც, უკვე კომიტეტში იყო. კაბინეტში შესვლამდე ოთახებს ჩამოივლიდა, ინტერესდებოდა თითოეული თანამშრომელი რა საქმეში იყო იმ დღეს ჩართული, რაში სჭირდებოდა დახმარება. მაგრამ საოცარი იყო ის, რომ ყურადღებით ეცნობოდა ყველა თანამშრომლის პირად ცხოვრებისეულ პრობლემებს, სატკივარს და წუხილს, ეხმარებოდა მის მოგვარებაში. იცოდა, რომ თუ ჰარმონიაში არ იქნებოდა სამსახური და პირადი ცხოვრება, მუშაკი ვერ გამოავლენდა შესაძლებლობების მაქსიმუმს, რასაც თითოეულისგან ითხოვდა. დავალების შესრულებას ყველასგან მკაცრად, მაგრამ ტაქტიანად, მოითხოვდა, იმავდროულად გულის

სითბოსაც გაგრძნობინებდა. ამასთან, უზადო მეგობრობის და სამსახურეობრივი თანამშრომლობის შეხამება გამოსდიოდა მართლაც ჩინებულად.

კარგად მახსოვს, ერთ დღეს ეროვნული მოძრაობის ლიდერები ესტუმრნენ. მეც მიხმო. ნუგზარი საოცარი სიდინჯით, ბრძნულად და დამაჯერებლად პასუხობდა სტუმრების შეკითხვებს, რომლებიც მიანიშნებდნენ, რომ სხვა დრო დგებოდა და თანამდებობიდან უნდა გადამდგარიყო. მოგვიანებით თავად მიიღო გადაწყვეტილება – სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა გაერთიანებული პროფკავშირის თავმჯდომარედ აირჩიეს. მაგრამ წასვლამდე დიდი ეროვნული საქმის თაოსნად მოგვევლინა, საქმისა, რომელიც შემდეგ საამაყოდ გაიხადა მთელმა საქართველომ. მხედველობაში მაქვს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დაფუძნება 1989 წლის შემოდგომაზე, ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში. მოადგილეებსა და სპორტკომიტეტის თანამშრომლებს მოგვიწოდებდა, მხარში ამოვდგომოდით სეოკ-ის ჯერ საინიციატივო ჯგუფს და შემდეგ საორგანიზაციო კომიტეტს, რომელიც მისივე დავალებით შეიქმნა და მუშაობდა გაზეთ „ლელოს“ რედაქციაში მთავარი რედაქტორის თენგიზ გაჩეჩილაძის ხელმძღვანელობით.

ნუგზარ ენდელაძეზე, ამ უნიკალურ პიროვნებაზე მოსაგონებელს და სათქმელს რა დალევს. მე აქ დავასრულებ იმ იმედით, რომ მკითხველი საერთო ჯამში ამ გამოცემის მეშვეობით სრულად გაეცნობა კაცი-რაინდის ცხოვრების ეპიზოდებს და ნაღვაწ-ნაამაგარს.

ჯანსუღ (ჯანო) ბაგრატიონი

ხარისხის ნიშნით იცხოვრე!

აჭრილ დროში წლებგამოვლილი შენი მეგობრებიც ვუკაკუნებთ სამოცდაათს, მაგრამ, სამწუხაროდ, უშენოდ. ძალიან გვაკლიხარ, ბუნებას წინ რა დაუდგება, მაგრამ შენი აქ ყოფნით სხვა პენწი ექნებოდა ერთმანეთის მიყოლებით მოსაწყობ იუბილეებს. შენ ძალიან იჩქარე, ჩვენი გასაკეთებელი შენს თავზე აიღე, გული გადაღალე სიყვარულით, გული ჩაიწვა და ჩაიფერფლა.საერთოდ, შენ ადრეულ ასაკში ჩაერთე ქვეყნის საქმეებში. მაგრამ ამას შენი ცხოვრება ცალმხრივი არ გაუხდია. შენს მეგობრებთან ურთიერთობის საძირკველი არ მოუშლია. ამიტომ ჩვენი ჯილა ხარ ახლაც, შენი სახელით ვამოწმებთ და ვზომავთ ჩვენს საქციელს.

ასაკმა ფიქრი იცის. ყველაზე მეტად ქვეყნის მდგომარეობაზე ფიქრი არ გვასვენებს. იმედს არ ვკარგავთ, რომ გაბრწყინდება საქართველო. გვაკლია შენებრ ხალხი: სპორტი, ხელოვნება, ეკონომიკა, წიგნი, ტრადიციები შენი ინტერესების სფერო და ცხოვრების ნაწილი იყო. მოტივაცია შენი მშობლების მაგალითიდან მოდიოდა. შენთან სახლში ამიტომაც ვიყავით ასე ხშირად: ჩაიზე, ხაჭაპურზე, ღვინოზე, ანდა სულაც სათოხლავის გარეშე, ვკამათობდით კაცობაზე, როგორც სიკეთისა და რაინდობის წყაროზე, ვმსჯელობდით, თუ ვართ, ღირებული უნდა ვაკეთოთ.

ვინც არის მოწმე ახალგაზრდულ ასაკში შენი ერთერთი დიდებული საჯარო გამოსვლისა /1973წ/, დამეთანხმება, რომ იმთავითვე გააზრებული გქონდა

ვახტანგ გვარამიასთან

ახალგაზრდობის, განათლების, სპორტის, ოჯახური ურთიერთობების საკითხები. იმ აუდიტორიაში დამსწრე ჩინოვნიკმა ცენტრიდან ცხარე კამათი გაგიმართა. შენ არ დაუთმე, იმიტომ, რომ რეალობა მართლაც ითხოვდა რეფორმებს, სიტყვისა და გადაადგილების თავისუფლებას. მას კი ზედმეტად კრიტიკული და მიუღებლად ეჩვენა შენი მოსაზრებები ბიუროკრატიის, ფორმალიზმისა და მექრთამეობის შესახებ. შენ პირდაპირი იყავი მუდამ. არ გჭირდებოდა უაზრო პიარი, გაუგებარი რიტორიკა, ისე, ახლა რომ „მუთაქებს ჩეჩამენ“. შენი აურა გქონდა. შენი შარმი. ამასთან, სამართლიანი იყავი ბავშვურ კინკლაობაში თუ მერე, მოწიფულობის პერიოდში. მეხსიერებაშია, როგორ გამოესარჩლე დამსახურებულ პედაგოგს, რომელსაც არაობიექტურად სჯიდნენ. ის ოცდაათი წლის შემდეგ მადლიერებით გიხსენებს და შენს დანატოვარს ლოცავს.

ხარისხზე იყავი ორიენტირებული ყოველთვის.

„კრუგლოსუტოჩნი“ ძმაკაცობაში ხარისხი, ოჯახში ხარისხი, საქმეში ხარისხი. ერთი სიტყვით, ხარისხის ნიშნით იცხოვრე! ანდა, რა ოჯახი შექმენი, რა დახატულები დატოვე, როგორ ამშვენებენ თბილისსა თუ ლონდონს. ახლა ცოლ-ქმრობა როგორი გქონდათ შენ და ტატას! დიდია უფალი, შეგახვედრათ ორი ნახევარი და აღმოცენდა სიკეთე, მშვენიერება, ქველმოქმედება. ამის დასტურია, რომ ტატა ბევრისთვის დედა ტერეზაა.

ერთხელ ბაღდადში წაგვასხი, გვახსოვს. შენი კუთხემუხუროთი თავი მოიწონე. მოვხვდით ზღაპარ ადგილში, საოცარ წყაროსთან, თითო ჭიქა უნდა აგვეწია. ადგილობრივი გლეხობაც შეგვესწრო, ყველა მოიპატიჟე – ადამიანი შენი ხატი იყო. შენ ძალიან ლაღობდი. ერთ მომენტში გაჩუმდი, ჩაფიქრდი და ცოტა ხნის შემდეგ შესანიშნავი სტროფი გაიხსენე:

„როცა დაცხრება შენი ვნებები,
როცა გერქმევა ერთ დროს ბებერი,
სიბერეს მაინც ნუ მიენდობი,
ციხე იყავი აუღებელი.“

ვიცავთ ახლა ამ ციხეს, სამწუხაროდ, უშენოდ, მაგრამ შენი სახელითაც. ნეტა გვენახე, ჩვენო ძმაო, „გოლოვინსკზე“ შვილიშვილებთან ერთად ავლილ-ჩავლილი, შენ რომ გიყვარდა კოკმაზურად ჩაცმული.

რა გითხრათ სხვა. ძალიან გვიყვარს შენი ოჯახი და ვიდრე ვართ ამ ქვეყნად, ჩვენგან მოფერება არ მოგაკლდება.

შენი ძმები და მეგობრები
რუსთავ ქალაქიდან

მისგან ვსწავლობდით, როგორი უნდა იყოს კარგი ხელმძღვანელი

საბედნიეროდ, ცხოვრების გზაზე გვხვდებიან ერთეული პიროვნებები, რომლებიც ღრმა კვალს ტოვებენ შენს ცხოვრებაშიც. ასეთი პიროვნება იყო ჩემთვის ნუგზარ ენდელაძე.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ პირველ დამოუკიდებელ ნაბიჯებს ვდგამდი სახელმწიფო სამსახურში, როცა პირველად შევხვდი. ჩვენ შორის დიდი ასაკობრივი განსხვავება არ იყო, მაგრამ მას ამ დროისათვის უკვე ჰქონდა თავისი გამორჩეული სიმდიდრე – საყოველთაო პატივისცემა და დიდი ავტორიტეტი დაკისრებული მოვალეობებისადმი მაღალი პასუხისმგებლობისა და პრინციპულობის პარალელურად, საოცრად ადამიანური, ვაჟკაცური დამოკიდებულების გამო ზოგადად, ცხოვრებისადმი, ადამიანებისადმი, მათი სტატუსისა თუ სოციალური მდგომარეობის მიუხედავად.

ისინი, ვინც ნუგზარ ენდელაძეს სიჭაბუკის პერიოდიდან იცნობდნენ, ადასტურებდნენ, რომ არანაირ თანამდებობას მის პიროვნულ თვისებებზე არ მოუხდენია არასასრუველი გავლენა, რაც ასე ახასიათებდა და სამწუხაროდ, დღესაც ახასიათებს თანამდებობრივი სტატუსის მქონე კატეგორიას. მისი საახლობლოს ამ შეფასების მოწმე მე მისი გაცნობის დღიდანვე გავხდი: უფრო მეტიც, თავისი გამორჩეული პიროვნული თვისებებით ის აკეთილშობილებდა, მეტ ადამიანურობას სძენდა ყველა სფეროს, სადაც ტრიალებდა ან რასაც ხელმძღვანელობდა.

მარცხნიდან: გოდერძი გუკია, კოტე მახარაძე, ნუგზარ ენდელაძე

რამდენიმე წლის შემდეგ ჩემი უშუალო ხელმძღვანელი გახდა სახელისუფლებო ვერტიკალის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს უბანზე; მას შემდეგ ვიცი, რას ნიშნავს იყო კარგი ხელმძღვანელი, როგორ უნდა ფლობდე სიტუაციას სახელმძღვანელო სფეროში და როგორ უნდა მიმართო არსებული რესურსები მაღალი შედეგების მისაღწევად.

კიდევ რამდენიმე წლის შემდეგ, როცა ნუგზარი სპორტის კომიტეტს ხელმძღვანელობდა, მე გავხდი ამ სფეროს უფრო მაღალი რანგის ხელმძღვანელ-კურატორი და აქაც ჩინებული გაკვეთილი მომცა, თუ როგორი ადვილია სუბორდინაციის დაცვა, როცა პიროვნული ამბიციები კი არა, სახელმწიფო ინტერესები გაწუხებს და გაინტერესებს. სპორტი კი ნუგზარ ენდელაძისათვის იყო და ბოლომდე დარჩა განსაკუთრებული გატაცებისა და ზრუნვის საგნად.

მისი ინიციატივით შეიქმნა საქართველოს ოლიმპიური კომიტეტი, რაც მაშინდელ სსრკ სივრცეში მოვლენა იყო ლიტვის ოლიმპიური კომიტეტის აღდგენის შემდეგ.

ეს მისი განსაკუთრებული მზრუნველობით ჰქონდა საქართველოს ისეთი სპორტული შედეგები, რაც არასდროს ჰქონია არც მანამდე და არც მის შემდეგ, დღემდე.

ამ შედეგებს კი ზოგადად სფეროს განვითარების პერსპექტიულ ხედვასთან და მისი განხორციელების ორგანიზატორულ საქმიანობასთან ერთად ნუგზარ ენდელაძე თითოეული, კონკრეტული სპორტსმენისადმი გამოჩენილი ღრმა გულისხმიერებითა და თანადგომით აღწევდა, მათ შორის მათ მიმართ, ვინც აქტიურ სპორტულ საქმიანობას ვეღარ ეწეოდა. მაგრამ, ჩემი აზრით, მთავარი ისაა, რომ კონკრეტულ ადამიანზე ზრუნვა, მისდამი სითბო და ყურადღება ნუგზარ ენდელაძის, როგორც გარკვეული სფეროს ხელმძღვანელის გამიზნული პოლიტიკის ნაწილი კი არა, არამედ ზოგადად, მისი მთავარი პიროვნული თვისება გახლდათ; სხვა უამრავ ღირსებასთან ერთად, ამით იყო ის გამორჩეული. ხელმძღვანელი, თანამოსაქმეც, მეგობარიც და უბრალოდ, ფრიად სასიამოვნო საურთიერთობო ქართველი ვაჟკაცი თვალშისაცემი ფიზიკური მომხიბვლელობით და გულსმწვდომი სიფაქიზით.

გოდერძი ბუკია,

საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი

ჯანსაღ სხეულში, ჯანსაღი სული!

ბრწყინვალე ადამიანი, ბრწყინვალე ორგანიზატორი, სამაგალითოდ საოცარი მეგობარი, სიკეთის განსახიერება, სულიერად და ფიზიკურად ჰარმონიულად სრულყოფილი ზერაინდული პიროვნება - აი, როგორი გახლდათ ბატონი ნუგზარი. ხმამაღლა ვამბობ – ასეთი გულის და გონების ადამიანი ჩემს ცხოვრებაში არ შემხვედრია. თავს ყველა ამაღლებულად გრძნობდა მის გვერდით. რაგბის თემი ამაყობს, რომ

ნუგზარ ენდელაძე და რომან რურუა 1988 წელი, სეულის ოლიმპიური თამაშები.

ლევან თედიაშვილი და ნუგზარ ენდელაძე

იმ ტრადიციების ერთგულია, რასაც მის დარად ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულის მატარებელ სპორტსმენებთან ერთად ნუგზარ ენდელაძის ბრწყინვალე თაობამ დაუდო სათავე. ასე იქნება მუდამ, ეს სულისკვეთება თაობებში გადავა. სპორტულ სამყაროსთან, რომლის თვალსაჩინო წარმომადგენელი დიახაც, რომ თავად იყო ყმაწვილკაცობაში, მანამდე გაუგონარ-არნახული ურთიერთობა ჩამოუყალიბდა. დიდწილად სწორედ მისი პიროვნული ღირსებები გახდა სტიმული და წინაპირობა იმ წარმატებებისა, რასაც საქართველოს სპორტის სახელმწიფო კომიტეტში მისი თავმჯდომარედ მოღვაწეობის დროს ჩვენი სამშობლოს ათლეტებმა მიაღწიეს საკავშირო თუ საერთაშორისო სპორტულ სარბიელზე. ორგანიზატორული ნიჭისა და რეზერვების ამოქმედებაში ქართული გენის ფენომენის უნარიანად და მიზანმიმართულად წინა პლანზე წამოწევის

გამოძახილი იყო, რომ 1952 წლიდან მოყოლებული, არც ერთ ოლიმპიადაზე ჩვენს სპორტსმენებს არ მოუპოვებიათ თამაშებში იმდენი მედალი, რამდენიც გვერგო სეულში 1988 წელს. სხვა წარმატებებს არ ჩამოვთვლი, რითაც ესოდენ გამდიდრდა იმ წლებში ქართული სპორტის ისტორია. ასეთ ადამიანებზეა ნათქვამი – „საქმემან შენმან გამოგაჩინოსო“. სიტყვა საქმიანი და საქმე სიტყვიანი - აი, რა იყო მისი კრედო ყველაფერში და ყველგან. თავს მივიჩნევ ბედნიერად, რომ ასეთ გამორჩეულ პიროვნებასთან მეც მქონდა ურთიერთობა. ჩვენ ყველანი ვამაყობდით იმით, რომ ქართული სპორტის, საქართველოს სპორტსმენებისა და სპეციალისტების ბედს ნებისმიერი დარგისთვის საოცნებოდ სასურველი ასეთი ხელმძღვანელი განაგებდა.

გურამ საღარაძე,
მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი
თავისუფალ ჭიდაობაში

მეგობრობისა და სიყვარულის სიმბოლო

არიან ადამიანები, რომლებმაც თავისი მოკრძალებული და ხანმოკლე ცხოვრებით კეთილშობილების, მეგობრობის, სიყვარულის დიდებული მაგალითები გვიჩვენეს და თავიანთი უდროოდ წასვლით ამ ქვეყნიდან უდიდესი ტკივილი დაგვიტოვეს.

ნუგზარ ენდელაძის მოგონებას ჰქვია ახალგაზრდობის სულის ყივილი და ტკივილი, რომელიც დღემდე ჩემშია და დავიწყებას არასოდეს არ მიეცემა.

ცკ-ში შეხვედრის დროს, 1984 წელი

ჩვენი დიდი ხნის მეგობრობა სიწმინდეზე, ურთიერთ გაგებასა და კოლეგიალობაზე იყო აგებული. ჩვენ, მაშინდელი ახალგაზრდები, ერთ მუშტად ვიყავით შეკრულები. საქმეც ვიცოდით, მეგობრობაც, სიყვარულიც და გაგებაც.

ნუგზარს, ყველა სიკეთესთან ერთად, მეგობრებთან ურთიერთობის არაჩვეულებრივი თვისებები გააჩნდა. სულ ვფიქრობდი და ახლაც მიკვირს, სად ეტეოდა ამდენი გრძნობა, საქმისადმი დიდი სიყვარული, ხელმძღვანელობის უბადლო ნიჭი და კოლეგებთან სათუთი დამოკიდებულება, გაგება და დახმარება. განსაკუთრებით დიდი სიყვარულით სპორტისადმი დამოკიდებულებით გამოირჩეოდა, ერთ რამედ ღირდა მასთან მოლხენა, კარგად იცოდა სუფრის ფასი და იყო შესანიშნავი თამადა.

მისი სიყვარული მეგობრებისადმი ყოველთვის მისაბაძი იყო და განსაკუთრებით მინდა გავიხსენო მისი დიდი სიყვარული მისი შესანიშნავი მეუღლის, ჩემი ტატას მიმართ, რომელიც ჩვენს მეგობრობაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებდა და ამას ნამდვილად ლამაზი ხიბლი ჰქონდა.

ნუგზარი გვიყვარს ჩვენ, მის მეგობრებს, უყვარს ყველას, ვისაც მასთან ურთიერთობის ბედნიერება ჰქონია, თავისი ხანმოკლე, მაგრამ შინაარსიანი ცხოვრებით ამ სიყვარულის თანაზიარი გაგვხადა.

ძნელია ნუგზარ ენდელაძეზე წარსულში ლაპა-

არჩილ გოგელიასთან

რაკი, ბედნიერად ვთვლი თავს, რომ გარკვეული წლების განმავლობაში ნუგზარის გვერდით ვიდექი, მეამაყება, რომ იგი ჩემი უახლოესი მეგობარი იყო.

იმედი მაქვს, გავა დრო და ჩვენი ნუგზარი ისევ ისეთი ახალგაზრდა, ისევ ისეთი წარმოსადეგი, ისევ ისეთი ამაყი მუდამ იქნება ჩვენი მეგობრობისა და სიყვარულის სიმბოლო.

მანანა გოჩალეიშვილი

ОН БЫЛ ЛИЧНОСТЬЮ

У Нугзара Энделадзе был потрясающий „background” - он был не просто спортсменом, а одним из первых грузинских регбистов. В первом чемпионате СССР по регби в далеком 1966 году он выступал за команду „Динамо” Тбилиси.

Всеобщее увлечение футболом в то время в понимании многих регби относило чуть ли не на задворки спортивной жизни Грузии. Но это, понятно, не смущало молодежь, которых безоглядно увлек этот мужественный вид спорта. Они как бы старались показать, что жизнь ценится многообразием всех своих проявлений и у человека должно быть право личного выбора. Нугзар был среди тех, кто не желал действовать в строго регламентированных рамках и не боялся проявлять собственную инициативу в определении ценностных ориентаций, в данном случае спортивных.

Думается, что это юношеское спортивное прошлое Нугзара Энделадзе в решающей степени определило его профессиональный и гражданский путь. Мне трудно называть его сегодня известным партийным работником, хотя он в течение многих лет был на номенклатурной вершине – секретарем

Тбилисского горкома партии, заведующим отделом пропаганды и агитации ЦККП Грузии.

В то время сформировалась такая генерация молодых, динамичных лидеров, которые сумели максимально, насколько это было возможно, отбросить идеологическую шелуху, чтоб полностью отдавать все свои силы и талант созиданию на родной земле, заботе о своем народе. Быть может, они этого и не показывали внешне. Но это несомненно было сердцевиной их гражданской, общественной, профессиональной деятельности. Одним из ярких представителей этого поколения был Нугзар Энделадзе.

Будучи собкором всесоюзной газеты „Социалистическая индустрия" по Грузии, мне пришлось быть в команде Нугзара Энделадзе, которая готовила юбилей издательства „Самшобло", известного тогда как издательство ЦК КП Грузии. Вся центральная газетная и журнальная продукция создавалась именно здесь. Коллектив полиграфистов был исключительно высокопрофессиональный. Наборщики, верстальщики, печатники издательства составляли цвет технической интеллигенции Грузии.

Нугзар сразу же определил основной подход: поменьше хвалебных здравиц и благодарностей в

ნუგზარ საჯაია და ნუგზარ ენდელაძე

адрес вышестоящих органов. Спасибо надо говорить тем, благодаря которым выходят в свет книги, газеты, журналы – это их праздник! Все было сделано с учетом этой „установки”. Среди награжденных – большинство составляли именно те, кто стоял у верстальных столов или работал в цинкографии, у ротационных машин. На юбилейном вечере торжественно звучали именно их имена. Поэтому в коллективе издательства Нугзар Энделадзе меньше всего воспринимался как партийный „босс”. Он был

ნუგზარ ენდელაძე და ჯუმბერ პატიაშვილი ოლიმპიურ ჩემპიონებთან (მარცხნიდან: ვლადიმერ გოგოლაძე, გიორგი ჩოგოვაძე, ვახტანგ იაგორაშვილი და ვლადიმერ აფცაური)

своим, уважаемым, но своим человеком, в общении с которым не существовало официальных преград.

Впрочем, конечно, не только в этом коллективе. Я могу говорить и о журналистском корпусе. У Нугзара Энделадзе было чутье на талантливых людей. Он не только читал публикации грузинских журналистов, но и был знаком с ними непосредственно. Помню, он говорил мне, что всегда с большим интересом знакомиться с газетными выступлениями Тани Чантурия, тогдашнего собкора „Известий".

Таня, к сожалению, рано ушедшая из жизни, была моей однокурсницей. У нее было блестящее перо, она была журналистом аналитического ума, каждая ее публикация становилась событием. Меня радовало, что все это хорошо понималось Нугзаром Энделадзе. Он привечал не тех, кто услужливо смотрит ему в глаза, а людей независимых, талантливых, осознающих свою ответственность перед обществом.И не только привечал, но и старался всемерно поддерживать и отмечать.

Должность собкора в то время была довольно щекотливой. Редакция, как правило, требовала критических материалов. На местах же они воспринимались зачастую довольно болезненно. Нугзару Энделадзе всегда удавалось провести четкую

სამხრეთ აფრიკის რაგბის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ ფრიც ელოფთან.
აფრიკა, 1990 წელი

грань между публикациями, которые служили искоренению реальных недостатков в экономике или социальной жизни и теми, основной нерв которых заключался в безответственном охаивании всех и вся. Такая его позиция способствовало созданию спокойной деловой атмосферы в работе собкоровского корпуса Грузии, который тогда составляли довольно сильные журналисты.

Поразительно, но в моей памяти Нугзар Энделад-

зе остался именно таким, когда я познакомился с ним в годы его работы в Тбилисском горкоме партии. Хотя потом были и ЦК КП Грузии, и Спорткомитет, председателем которого он стал, и болезнь.

Высокий, спортивный, стремительный и очень искренний, не обремененный официальными условностями, молодой человек. Он в жизни действовал как на регбийном поле.Был частью команды, и в то же время готовым взять ответственность на себя, принять самостоятельно решение, поддержать и , если надо, встать на защиту.

Нугзар Энделадзе был личностью, которого всегда вспоминаешь с большой теплотой и благодарностью...

ГАБРИЕЛ НАМТАЛАШВИЛИ,
Заслуженный журналист Грузии

თელავში

მომავლის ადამიანი

ნუგზარი პირველად ფოტოთი გავიცანი. ლამაზი სპორტსმენი, შეტევაზე რაგბის ბურთით ვიღაც ვარსკვლავი მეგონა. არასდროს მეგონა, თუკი ოდესმე მასზე წარსულ დროში მომიწევდა წერა. ნუგზარი იყო მომავლის ადამიანი. არაჩვეულებრივი, სპორტული აღნაგობის ვაჟკაცი, გულწრფელი ღიმილით. პირველი ნახვისთანავე ყველაში ნდობას აღძრავდა. გაცნობის შემდეგ კი ნუგზარ ენდელაძე მალევე ხდებოდა ერთ-ერთი საუკეთესო მეგობარი. მეგობარი, რომელიც არასდროს და ვერასდროს დაგავიწყდებოდა. არ მინდა დავკონკრეტდე, მაგრამ კომუნისტური მმართვლეობის პერიოდში, თანამდებობის პირი, რომელიც მის დარად ეხმარებოდა ახალგაზრდებს წინსვლაში, მეორე არ მახსენდება. საერთოდ დახმარება, გვერდში დგომა, გადარჩენა, ნუგზარის ცხოვრების მთავარი კრედო იყო. იარა, მის თვალზე ხომ სწორედ მისი მეგობრობის განუმეორებელი უნარის დადასტურება იყო. გადის დრო, ყველას ასაკი და ნაოჭები გვემატება. ნუგზარი კი ისევ იმ საოცარ ახალგაზრდად რჩება, პირველად მათ სახლში სტუმრობისას კედლის ფოტოზე, რომ ვნახე.

რუსუდან კერვალიშვილი

მარცხნიდან: ნუგზარ ენდელაძე, ირაკლი აბაშიძე, მუხრან მაჭავარიანი, ჯანსუღ ჩარკვიანი

ჯიმი მიქელაძესთან

პიროვნება - ვაჭკაცი, მოქალაქე - მეგობარი, მოღვაწე - მამულიშვილი

სამწუხაროდ, ნუგზარის - ახალგაზრდა მოღვაწის სიცოცხლე ნაადრევად შეწყდა. იგი, როგორც ნიჭიერი, განათლებული, კეთილსინდისიერებით გამორჩეული, დედაქალაქის ახალგაზრდობამ თავის ლიდერად აღიარა. კომკავშირულ სამუშაოზე გამოცდილს, სპეციალობით ინჟინერს სახელმწიფოებრივი მმართველობის ერთ-ერთი უმთავრესი რგოლის - მშრომელთა დეპუტატების დედაქალაქის ყველაზე სოლიდური რაიონული საბჭოს აღმასაკომის თავმჯდომარედ ირჩევენ. ეს ურთულესი უბანი იყო მართვის საბჭოთა სისტემაში, რომელიც ადამიანების ყოველდღიური ცხოვრებით წამოჭრილი საკითხების გადაწ-

ყვეტას ემსახურებოდა. ნუგზარმა მოკლე პერიოდში შეძლო ახალ გარემოსთან ადაპტირება, ცხოვრების რთული მოვლენების (პროცესების) აღქმა. მალე მას ანდობენ მაშინდელი პოლიტიკური სისტემის ყველაზე საპასუხისმგებლო რგოლის - რაიონული კომიტეტის პირველი მდივნის თანამდებობას, რაიონისა, რომელიც მრეწველობის კომპლექსური განვითარების მაღალი დონით გამოირჩეოდა.

პროფესიით ინჟინრისათვის შეიქმნა მისი მოღვაწედ ფორმირების ხელშემწყობი პირობები (გარემო). ნუგზარი წარმატებული ხელმძღვანელი გახდა. ამიტომ ლოგიკური იყო მისი პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივნად არჩევა. მას დაეკისრა მოსახლეობის მომსახურებისა და ძალოვანი სტრუქტურების მრავალფეროვნებით გამორჩეული სფეროს პოლიტიკური ხელმძღვანელობა. მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ წარმატებით გაართვა თავი დასმული ამოცანების შესრულებას. იგი ფართო მასშტაბის მოღვაწედ ჩამოყალიბდა.

სპეციალობით ინჟინერს, დედაქალაქის სამეურნეო და პოლიტიკური ცხოვრების რთულ პრობლემებში გაცნობიერებულს, შრომისმოყვარეობით, კეთილსინდისიერებით, მაღალი პასუხისმგებლობით გამორჩეულს, უცხადებენ დიდ ნდობას და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ მუშაკს კომიტეტის იდეოლოგიური განყოფილების გამგედ ნიშნავენ. სწორედ აქ გამოჩნდა ნუგზარის პიროვნული თვისებები - თავმდაბლობა, პატიოსნება, მოყვასისადმი სიყვარული, მოქალაქეობრივი მრწამსი, ეროვნული ფენო-

მენისადმი ერთგულება, მამულიშვილობა. მოგვიანებით, ნუგზარს ნიშნავენ ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარედ - საქართველოს მთავრობის წევრად. ამ პოსტზე მას მრავალმხრივი უპირატესობა ჰქონდა: თავად სპორტსმენი, სპორტული ცხოვრების ნიუანსებში გარკვეული, ფიზიკური კულტურისა და სპორტის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის პრინციპების მცოდნე, ახალგაზრდულ, სამეურნეო და პოლიტიკურ სამუშაოზე შეძენილი მდიდარი გამოცდილება, რაც ხელს უწყობდა ქვეყნის ამ რთულ ასპარეზზე მის წარმატებულ მოღვაწეობას. აქ გამოჩნდა მისი ეროვნული ღირებულებების მიმართ ფაქიზი და ურყევი დამოკიდებულება. მან უყოყმანოდ დაუჭირა მხარი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის გამოცხადებულ სახალხო მოძრაობას და ერთგულად ჩადგა ახალი ქართული სახელმწიფოს მშენებლობაში. სამწუხაროდ, შუა გზაზე შეჩერდა მისი მოღვაწეობა. ქართულმა საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა. ცხოვრება გრძელდება.

ნუგზარ ენდელაძემ, თავისი თაობის ღირსეულმა წარმომადგენელმა, კაცმა, რომელმაც დროის ყველა გამოწვევა მიიღო და ღირსეულად უპასუხა, ქართველმა, რომელმაც შექმნა კარგი მაგალითი თუ როგორი უნდა იყოს პიროვნება - ვაჟკაცი, მოქალაქე - მეგობარი, მოღვაწე - მამულიშვილი, სამუდამო ადგილი დაიმკვიდრა ჩვენს მეხსიერებაში.

ნუგზარისნაირ ადამიანებს საზოგადოება არ ივიწყებს.

ნოდარ ჭითანავა

ბეგლარ მახარაშვილთან

ნუგზარ ენდელაძე – არასტანდარტული პიროვნება

დიდი ხნის მეგობრები ვიყავით და მაინც წუთივით გაიქროლა რამდენიმე ათეულმა წელმა. მახსენდება აღმოსავლური ანდაზა: სიცოცხლე კბილის მარჯვედ ამოღებასავით არის, სულ ფიქრობ, რომ მთავარი ანი მოხდება და უცებ ხედავ, რომ ყველაფერი დამთავრებულია. თუ ადამიანის სიცოცხლის მიზანი სხეულებრივი ჭუჭყის ჩამოცილება და წმინდა სულად ქცევის გზით მარადიულ ღმერთთან შეერთებაა, მაშინ ნუგზარმა ეს გზა წარმატებულად გაიარა. არსად არაფერი არ არსებობს ღმერთის გარეშე. იგი ჩვენშია და ამიტომ ადამიანი არათუ უკვდავია, არამედ მარადიულია. უკვდავებასა და მარადიულობას შორის არ-

ის სხვაობა. უკვდავება არის უსასრულო დრო, ღმერთი კი დროის გარეთ არსებობს და რადგან ღმერთი ჩვენშია, ჩვენც მარადიულნი ვართ. რადგან ღმერთი ყველაფერშია, ყველაფერი არსებული ურთიერთკავშირშია, ალბათ ამიტომ სიავე ან სიკეთე, ჩადენილი ვინმეს მიმართ, არის ქმედება ყველას მიმართ, მათ შორის ჩამდენის მიმართაც. ეს ცნება ედო საფუძვლად ნუგზარის ზნეობას ბავშვობიდან, ბავშვობა კი მაინცდამაინც დალხინებული არ ჰქონდა. როცა ადამიანი იბადება, მას მრავალი ვალდებულება ეკისრება: ეროვნული, სოციალური, საკაცობრიო, ოჯახური, წინაპრების ტრადიციების და სხვა, მაგრამ როგორც კი იგი ერთადერთი აუცილებელი მოვალეობის შესრულებას იწყებს, თავისთავად იხდის ყველა სხვა ვალს. ამ მოვალეობის შესრულება ძალუძს მხოლოდ იმ სულიერი და მორალური სიმართლის ადამიანს, როგორიც ნუგზარ ენდელაძე იყო ამქვეყნად. წარსული დროის ხმარება ქრისტიანის მიმართ ჩვენს არასრულყოფილებაზე მეტყველებს. სრულყოფისათვის გაწეული ყველა შრომა სიკვდილით მოწმდება. ნუგზარმა გაუძლო ამ შემოწმებას. წასულებიო, ვიტყვით ხოლმე გარდაცვლილებზე. მე კი მგონია, რომ ისინი დარჩნენ ცხოვრების სხვადასხვა სადგურზე. ჩვენ კი ჯერ ხნობით ვაგრძელებთ გზას და ამ გზაზე მოგვყვება ჩვენი მეგობრების სიყვარული გასხივოსნებული არაამქვეყნიური ძალის სურათ-ხატებით.

სექტემბრის მზიანი დილაა. ჩიქოვანის ქუჩაზე ვეშვებით მანქანით, მე, ნუგზარი და ზურა შენგელია. საბარგულში სამი ყუთი ჩეხური ლუდი გვაქვს. სწორედ

ამ ლუდის იმედით წინა დღეს გამეტებით დავლიეთ. ახლა კი დღევანდელ სამოქმედო გეგმას ვადგენთ. დავინახეთ ბატონი რამაზ ჩხიკვაძე ტაქსს აჩერებს. გავუჩერეთ. მეც პახმელიაზე ვარო. გადაღებაზე დამაგვიანდა, მაგრამ ერთი წუთით მიმიყვანეთ კინოსტუდიაში, ჩემს დღეში სხვებიც არიან და ვუშველოთო. ძველი კინოსტუდიის შესასვლელთან გავჩერდით, რამაზი ეზოში შევიდა, მართლაც რამდენიმე წუთში ეზოს სიღრმეში პატარა ჯგუფი გამოჩნდა, წინ იპოლიტე მორბის და წამდაუწუმ კითხულობს „სადაა ბიჭო ჩეხური პივა?“ უკან ეროსი, რამაზი და დოდო მოჰყვებიან (გვარების ჩამოთვლა, მე მგონი საჭირო არ უნდა იყოს). დოდო მანქანით არის. ეგრეთწოდებულ „კომკავშირის ხეივანზე“ ავდივართ მოდურ სამწვადეში (70-იანი წლების ბოლოა). მზიანი დილა ოქროსფერ შუადღეში გადადის. ტალავერზე ადესა ჯერ არ მოკრეფილა. მაგიდები გარეთ არის გამოტანილი და თითქმის შევსებულია. ბოტანიკური ბაღის შესანიშნავი ხედი იშლება. ორი მაგიდა შევაერთეთ, ლუდიც გადმოვიღეთ, მაგრამ ვინ დაგაცალა. თქვენ წარმოიდგინეთ, 70-იანი წლების ბოლოს ამ შემადგენლობით სამწვადეში შესვლა რას ნიშნავს. ყველა მაგიდა გაერთიანდა. გვიანობამდე ვიქეიფეთ შამპანურით, ლუდი თითქმის ხელუხლებელი დარჩა. საუკეთესო ფორმაში იყვნენ იპოლიტე, დოდო, რამაზი და ეროსი. ჩვენ რამდენიმე დღე სიცილისგან ყბები გვტკიოდა.

კიდევ ერთი შემთხვევა მახსენდება, რომელიც მისი ქალაქკომის მდივნობის დროს მოხდა. თბილისს ორი

კოსმონავტი ესტუმრა. ერთ-ერთი სევასტიანოვი იყო, მეორის გვარს ველარ ვიხსენებ. ნუგზარი მირეკავს გორში უნდათ გამგზავრება სტალინის სახლ-მუზეუმის სანახავად, მე ჩამაბარეს საპატრონოდ და „ზაკამპანიუ“ შენც წამოდიო. ჩავედით, დავათვალიერეთ სახლი და მუზეუმი, სურათები გადავიღეთ და, რა თქმა უნდა, ინტურისტში შევაჯამეთ ექსკურსიის შედეგები. სერიოზული სმა წავიდა, არ აღმოჩნდნენ სუსტები, მაგრამ ღვინოში მაინც ჩვენ ვაჯობეთ და თითქმის გათიშულები ჩამოვიყვანეთ სასტუმრო „ივერიაში“ დაახლოებით საღამოს 5 საათზე. ხვალამდე თავისუფალი ხარო, მითხრა ნუგზარმა და სახლთან ჩამომსვა. სამ საათში მისმა ტელეფონის ზარმა გამომაღვიძა. ბიჭო გავგიჟდი, სასტუმროდან ჩვენი კოსმონავტები მირეკავენ, მოგვშივდა, მოდი

ნათელა ლაღიძესთან (მარცხნივ) და თამარ ლაშქარაშვილთან

მარცხნიდან: ჯემალ გერაძე, ნუგზარ ენდელაძე, თამაზ ძაძუჩია, ნინო კვარაცხელია

მოგვხედეო. გამწარებულებმა მივაკითხეთ, მოვიკითხეთ და ხელმეორედ დავათვრეთ. ამჯერად დილამდე არავის შევუწუხებივართ. მეორე დღეს იყო წინანდალი, თელავი და გურჯაანი. დათვრებოდნენ თუ არა, მაშინვე ჩვენთვის რაღაც უცნობ აბებს გადაყლაპავდნენ და თითქმის ფხიზლდებოდნენ.

ნუგზარი არასტანდარტული პიროვნება იყო. იგი მუდმივად თვითქმნადობის და თვითრეალიზების პროცესში იმყოფებოდა. ლაპარაკობდა სიმართლეს, მოქმედებდა სიყვარულით, გასცემდა და არაფერს ითხოვდა. იყო საჩუქარი ყველასათვის, ვის ცხოვრებაშიც შედიოდა. მისი სიტყვა ძლიერი, საქმე კი კეთილშობილური იყო.

რამაზ შენგელიასთან

გარდაცვალება ეთ-ჯერადი აქტი არ არ-ის. ჩვენ დაბადებიდან ვიწყებთ სიკვდილს. ყოველი ჩვენი მეგობ-რის გარდაცვალება ნახტომია სიკდვილის-კენ თავქვე მიმავალ სიცოცხლის გზაზე. ფიზიკური სიცოცხლის ნაწილი გვაკლდება, სული კი მდიდრდება იმის შეგრძნებით, რომ ზეგრძნობადი სამყა-როსაკენ მარად მაცქირალი ჩვენი სამშვინველი მეგო-ბართა სულებს უფლის სავანეში განიცდის. ნუგზარი ერთ-ერთი პირველი დაგვემშვიდობა. პირველობა მი-სი პიროვნული თვისება იყო. გაწყდა კავშირი ჩვენს ფიზიკურ სხეულებს შორის ფიზიკურ სამყაროში, მაგრამ სულიერი კავშირი და სიყვარული მეგობრებს შორის მარადიულად გრძელდება, რადგან სიცოცხ-ლის მარადიული არსი და ძალა სიყვარულია.

პროფესორი თამაზ ბაციკაძე,
ტმდ საერთაშორისო საინჟინრო
აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს
საინჟინრო აკადემიის პრეზიდიუმის წევრი,

აფხაზ მეგობრებთან

ლამაზი უნარით, ნიჭით, ერუდიციით, ვაჟკაცობით...

(მოგონება ნუგზარ ენდელაძეზე)

კარგად მესმის და ვაცნობიერებ, რომ ყველას თავისი თაობა უყვარს და დადებითად აფასებს, მეც ამ მიდგომას ვიზიარებ და, უფრო მეტიც, მგონია, რომ იშვიათი პიროვნებები მყავდა სამეგობრო და საქმიანობის წრეში. ერთ-ერთი ასეთი წარმომადგენელი იყო ნუგზარ ენდელაძე.

აგრეთვე კარგად მესმის, რომ მოდაში აღარაა „ყოფილების“ შესახებ მსჯელობა, მით უმეტეს, თუ ახალგაზრდობაში საქმე ეხება კომკავშირულ ან პარ-

ტიულ აპარატში მუშაობას, მე კი მგონია, რომ დადებითი და უარყოფითი მოვლენა ყველა ეპოქაში და ყველა სისტემაში მოიძიება. ახალგაზრდობის წლების არც მოგონების, არც სამსახურის და შედეგების არ მრცხვენია, არ გავურბივარ, თვალს არ ვარიდებ.

ამიტომ, დიდი მეგობრული სიყვარულით და პატივისცემით, ყოველთვის მზადა ვარ პატივგებით მოვიგონო ჩემი თაობის ლამაზი ბიჭები. ლამაზი თავისი უნარიანობით, ნიჭით, ერუდიციით, ვაჟკაცობით, თუნდაც საქმიანისადმი ერთგულებით.

ასეთი იყო ნუგზარ ენდელაძე. იგი ჩემზე 4 წლით უმცროსი იყო. იმ დროს იგი „ელექტროავტომატის“ ქარხანაში მუშაობდა სპეციალობით და კომკაშვირული ორგანიზაციის მდივანი იყო. ეს უკვე ნიშნავს კარგი ცხოვრებისეული სკოლის დასაწყისს.

ჩემთან მისი კანდიდატურა წარმოადგინეს კომკავშირის ოქტომბრის რაიკომის მდივნად არჩევის მიზნით; დიდხანს ვესაუბრე, შევეცადე მისი სულიერი სამყარო, გამოცდილება, ზოგადი დონე გამეგო და, ამავე დროს, მისთვის მისი ახალი ამოცანები ჩამომეყალიბებინა.

შემდგომში, მაღალი შეფასება მიიღო ხელმძღვანელობის მხრიდან და რამდენიმე წელიწადში კომკავშირის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივნად გადაიყვანეს; აქ მან შეცვალა ახალგაზრდობის ერთ-ერთი გამოჩენილი, შემდგომში ცნობილი ლიდერი, სახელმწიფო მოღვაწე და ეროვნული გმირი, ჟიული შარტავა. გარკვეული პერიოდი ერთად ვმუ-

ნუგზარ ენდელაძე და ზაურ მესხიშვილი

შაობდით და ერთი წლის შემდეგ მან მე შემცვალა პირველი მდივნის თანამდებობაზე.

ასე რომ, მე მქონდა რეალური საშუალება არა მხოლოდ კარგად გავცნობოდი მას, არამედ დავმეგობრდით კიდეც.

როგორც ცნობილია, მან კარიერის საჩვენებელი, სანიმუშო ეტაპები გაიარა, მაგრამ კარგი საქმეებითა და მონდომებით ყველაზე დიდი კვალი ქართული სპორტის ისტორიაში დატოვა.

ჩვენ, არა მხოლოდ როგორც მეგობრები და ყოფილი კოლეგები, თვალყურს ვადევნებდით ერთმანეთის განვითარებასა და საქმიანობას, არამედ ერთად ვხარობდით ერთმანეთის სიკეთითა და შედეგებით.

იპოდრომზე

განგებამ ისე ინება, რომ სამივე ერთ სადარბაზოში მოვხვდით საცხოვრებლად, რამაც საშუალება მისცა ჩვენი ოჯახების დაახლოებას; ჩვენ თვალწინ გაიზარდნენ ჩვენი შვილებიც. ამიტომაც ყოფით სიტუაციებშიც კარგად ვიცნობდით და ვენდობოდით ურთიერთს; გვიხაროდა ერთმანეთის სწარმატებები და მიღწევები.

ცნობილი იყო მისი პირადი სპორტული, კაჟივით მაგარი აღნაგობა, ყოველ დილით ადრე რომ დავინახავდით სტუდქალაქის სტადიონის სარბენ ბილიკებზე ვარჯიშის დროს.

ლამაზმა ვაჟკაცმა მომღიმარი და ყოველთვის ხალისიანი შეხვედრა იცოდა...

საშინელი, საზარელი, დაუჯერებელი იყო მისი გარდაცვალების ამბავი, თანაც ასეთ, მე ვიტყოდი, ადრე ასაკში.

გამოცდილებით, ენერგიით, შესაძლებლობებით სავსე მოღვაწეები, რომლებსაც სიცოცხლე შუა ეტაპზე შეუწყდათ... დამიტოვეს დიდი გულისტკივილი.

გივი აბდუშელიშვილი
28.10.2014 წ.

ოჯახებით ვმეგობრობდით

ნუგზარ ენდელაძესთან ჩემი ურთიერთობა ათეულ წლებს ითვლის. მე მასზე ერთი წლით უფროსი ვარ და ახალგაზრდობაში, როგორც ჩვენზე უმცროსი თაობის ერთ-ერთ საუკეთესო წარმომადგენლად მივიჩნევდი. იგი იყო პერსპექტიული სპორტსმენი, წიგნიერი, განათლებული, ულამაზესი პიროვნება და ყველა ველოდით რამდენიმე ფრონტზე მის უდიდეს წარმატებებს, მათ შორის უმაღლესი სპორტული მწვერვალების დაპყრობაშიც.

სამაგიეროდ ინტელექტუალურ ფრონტზე იგი ასფურცელასავით იზრდებოდა. ნუგზარ ენდელაძე იმდროინდელი სამთავრობო ხელისუფლების მრავალ ამპლუაში ვიხილეთ, მაგრამ ჩემთვის, როგორც სპორტული კომენტატორისათვის, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მისი საქართველოს სპორტკომიტეტის თავჯდომარეობის პერიოდი. სწორედ ენდელაძე იყო ის პიროვნება, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში მხარი დაუჭირა საქართველოს დამოუკიდებელი ოლიმპიური კომიტეტის შექმნას.

მე და ნუგზარი ოჯახებით ვმეგობრობდით; ვიცოდი მისი თავისუფალი დროის დეფიციტისა და 24-საათიანი უწყვეტი შრომის შესახებ, ამიტომაც გაოცებული ვიყავით ყველა, როდის პოულობდა დროს უნივერსალური განათლების მისაღებად. ყველა ჟურნალისტი ინატრებდა ნუგზარ ენდელაძის მსგავს

რესპონდენტს. იგი, მიუხედავად არსებული რეჟიმისა, მაქსიმალურად ცდილობდა დაეცვა ქართული ტრადიციები, რაც არ იყო ასე იოლი და სწორედ ეს იწვევდა მრავალ ჩვენგანში გაკვირვებას, რომ ის იყო პირველი ქართულ სუფრაზეც, ქართულ ყოფაშიც და ქართული ტრადიციული ოჯახის მიმართ დამოკიდებულებასა და ურთიერთობაშიც.

ჯამლეტ ხუხაშვილთან

დღევანდელ საქართველოს, რა თქმა უნდა, დროის შესაფერისი მენტალიტეტის გათვალისწინებით, სწორედ ნუგზარ ენდელაძის მსგავსი განათლებული, გამბედავი, გამტანი, მეტყველი და სპორტული სულისკვეთების პიროვნებები სჭირდება. თუმცა, თუ ჩვენი მეხსიერების ელასტიურობას გამოვიყენებთ, აწ გარდაცვლილი ნუგზარის ცხოვრების მაგალითიც დაეხმარება ყველას, დღევანდელი საქართველოს უკეთესი მომავლისათვის ბრძოლაში.

ჯამლეტ ხუხაშვილი

მალხაზ ყანჩაველი, ნუგზარ ენდელაძე და ლალი ზარავანდაშვილი

კაცი ნათელი და მართალი

წინა საუკუნის სამოციანი წლებია, ვმუშაობ ქარხანა „ელექტროავტომატში“. გამომიძახა დირექტორმა ლევან ენდელაძემ, გამაცნო სიმპათიური ყმაწვილი და მითხრა: ნუგზარი ჩემი ახლობელია, ჩვენთან იმუშავებს და მინდა, ყურადღება მიაქციოო. მას შემდეგ, ათწლეულების განმავლობაში ნუგზარის ცხოვრება და საქმიანობა მუდამ ჩემს თვალსაწიერში იყო. ვხარობდი მისი წინსვლით და აბსოლუტურად დამსახურებული ავტორიტეტით. გარკვეული პერიოდის განმავლობაში კოლეგებიც ვიყავით პარტიის ცენტრალურ კომიტეტში. იქ ბუნებრივად შეიქმნა თანამოაზრეთა ჯგუფი: ნუგზარი, ბეგლარ მახარაშვილი, ლევან მგალობლიშვილი, ნოდარ ჯანბერიძე,

მარცხნიდან: ნოდარ ჯანგერიძე, ავთანდილ საყვარელიძე, ნუგზარ ენდელაძე და თეიმურაზ მამალაძე

ნუგზარ საჯაია, პეტრე ჩხეიძე, მინდია უგრეხელიძე და მე. არ დავმალავ: სუფრასთანაც ვიყავით ერთად არცთუ იშვიათად. შეძლებისდაგვარად შემოგვიერთდებოდნენ ხოლმე გოგი ანდრონიკაშვილი, სოლიკო ხაბეიშვილი, ჟიული შარტავა, სამწუხაროდ, ბევრი მათგანი ჩვენთან აღარ არის.

ნუგზარს ბევრი საქებარი და თბილი სიტყვა ეკუთვნის. გულალალი და გულგაშლილი, გვერდში ამომდგომი, ტყუილის არამტანი, ნათელი პიროვნება იყო. მისმა ამ თვისებებმა განაპირობა პატივისცემა და სიყვარული ყველასი, ვისთანაც ის მუშაობდა და ვისი ხელმძღვანელიც იყო. მე კი ვამაყობ იმით, რომ უფროს მეგობრად მივაჩნდი.

ავთანდილ საყვარელიძე

რაინდი ქართველი ხალხის წიაღიდან

გასული საუკუნის 70-80-იანი წლების ერთ-ერთ გამორჩეულ პოლიტიკურ და სახელმწიფო მოღვაწეს, ბატონ ნუგზარ ენდელაძეს მიმდინარე წლის 29 ნოემბერს, დაბადებიდან 70 წლის საიუბილეო თარიღი შეუსრულდებოდა.

უფალმა წილად მარგუნა უდიდესი ბედნიერება, სამსახურებრივად ახლოს გამეცნო ნუგზარი. შემდგომში ჩვენი ურთიერთობა დიდ მეგობრობაში გადაიზარდა. მისი გარდაცვალების შემდგომ, აგერ უკვე 20 წელიწადია, მისი ერთგული მეგობრები ყოველწლიურად წელიწადში ორჯერ პატივს მივაგებთ მისი დაბადებისა და გარდაცვალების დღეს ამ ღირსეული ადამიანის ხსოვნას.

ნუგზარ ენდელაძე, ქართველი ხალხის წიაღიდან

მალხაზ გელეიშვილი და ნუგზარ ენდელაძე

ფიდელ პრეზიდენტ კამოპომანესთან

გამოსული პიროვნება, განასახიერებდა ქართველი კაცის სრულყოფილებას. იგი დაჯილდოებული იყო უსაზღვრო ორგანიზატორული ნიჭით, საკითხებისა და პრობლემების გადაჭრის მიმართ ყველასაგან განსხვავებული ხედვისა და ინოვაციური მიდგომების პრაქტიკული განხორციელებით.

უბადლო გარეგნობის, ფიზიკური სრულყოფილების მქონე 20 წლის ნუგზარ ენდელაძემ შემთხვევით გაურკვეველ ვითარებაში მიიღო უდიდესი ფიზიკური და სულიერი ტრავმა. ამ საბედისწერო შემთხვევამ, ვერ მოდრიკა მისი გაუტეხელი სული და ვაჟკაცური შემართება.

სულით ამაღლებულ ასეთ რაინდს, რა თქმა უნდა, ჰყავდა უამრავი მეგობარი, რომლებსაც თავის მხრივ ეამაყებოდათ ნუგზართან მეგობრობა. ასეთი მეგობრების რიგი ათეულებს ითვლიდა, მოყოლებული ყრმობიდან, ჭაბუკობიდან, უბნიდან, ქალაქიდან, სპორტიდან, შემდგომში სრულიად საქართველოდან.

მე ყოველთვის განცვიფრებას და გაოცებას ვერ ვმალავდი, თუ იგი როგორ უმკლავდებოდა უამრავი მე-

გობრის ასეთ სიმრავლეს, როგორი სულიერი და ფიზიკური ძალების მობილიზება იყო საჭირო იმისათვის, რომ ჭირსი თუ ლხინში მუდამ გვერდში დგომოდა თითოეულ მათგანს. მიუხედავად მისი სამსახურეობრივი მოუცლელობისა, ყოველთვის იყო იქ, სადაც მისი ყოფნა, სავალდებულო და აუცილებელი იყო. უფრო მეტიც, იგი ყოველთვის რაზმავდა თავის სამეგობრო წრეს თითოეული მეგობრის ჭირისა თუ ლხინის გასაზიარებლად. იგი მეგობრებთან და ზოგადად ხალხთან, ნაცნობებთან თუ უცნობებთან ურთიერთობაში, გამოირჩეოდა უდიდესი თავმდაბლობით და სისადავით. მისთვის იერარქიული საფეხურები საერთოდ არ არსებობდა, როგორც ჩვენი წინაპრები იტყოდნენ, დიდთან დიდი იყო და პატარასთან პატარა.



ანდრო ზოდელავასთან

თამაზ ქაქუჩიასთან

ნუგზარ ენდელაძემ, ჯერ სრულიად ახალგაზრდა კაცმა, მუშაობდა რა საქართველოს კომპარტიის, ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგედ, საკუთარი ინიციატივით, რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის უმაღლეს პირებთან შეთანხმებით, ყოველი აღდგომის მეორე დღე დააწესა მიცვალებულთა ხსოვნის დღედ. ეს დღე გამოცხადდა უქმე დღედ. საქართველოში ამ დღის აღნიშვნა ტრადიციად იქცა, რამაც თავის მხრივ უკვდავყო თითოეული ადამიანის მიცვალებულთა ნათელი ხსოვნა.

მახსენდება 1988 წლის ზაფხულში, სამხრეთ კორეაში ჩატარებული სეულის ოლიმპიური თამაშები. საბჭოთა კავშირის ოლიმპიურ ნაკრებში მიწვეულ ქართველ ოლიმპიელთა შთამბეჭდავი დელეგაცია, რომლებმაც თავის მხრივ ქართული ოლიმპიადის ისტორიაში განუმეორებელი, თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს, მოიპოვეს რა სხვადასხვა სინჯის, მათ შორის ხუთი ოლიმპიური ოქროს მედალი.

უფრო ადრე, ოლიმპიადის დაწყებამდე, ზოგიერთი ქართველი სპორტსმენისათვის ოლიმპიური საგზურის მოპოვება სათუო გახდა. რამდენი შრომა და გარჯა დასჭირდა იმის მტკიცებას, რომ ისინი აუცილებლად იმსახურებდნენ ოლიმპიურ საგზურებს. ამ სპორტსმენთა შორის აღმოჩნდა ერთ-ერთი ისეთიც, რომელიც ოლიმპიური ოქროს მედლით მკერდდამშვენებული დაუბრუნდა თავის ქვეყანას.

ქართველ ოლიმპიელთა ამ ბრწყინვალე გამარჯვებას სათავეში ედგა სამშობლოსა და სპორტზე

მომავალ თაობასთან და ღვაწლმოსილ ადამიანებთან

შეყვარებული გულანთებული რაინდი, იმჟამად რეს-
პუბლიკის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ნუგზარ
ენდელაძე.

ამ წლებს მოჰყვა ეროვნული მოძრაობა, საქარ-
თველოს დამოუკიდებლობა, სამწუხაროდ, შემდგომ-
ში ჩვენს ქვეყანაში დატრიალებული არეულობისა
და ქაოსის პირობებში მივიწყებული იქნა სამშობ-
ლოსათვის თავდადებული რაინდის, ნუგზარ ენდე-
ლაძის პიროვნება. არადა, ჩვენს ქვეყანას სწორედ
იმ დროს სჭირდებოდა სახელმწიფოს მშენებლობის
უდიდესი გამოცდილების მქონე, განსაკუთრებული
ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოვებული, უმაღ-
ლესი ზნეობის, მაღალი სულიერების, ვაჟკაცობის,
თავდადების და გამბედაობის, სიმამაცისა და შინა-
განი სიმტკიცის მქონე პიროვნება. ვინ იცის, რამ-
დენ სიკეთეს მოუტანდა იგი თავის საყვარელ სამ-
შობლოს და ქართველ ხალხს.

ნუგზარ ენდელაძის გახსენებას ყოველთვის თან
ახლავს ჩვენი უდიდესი სევდა და ნაღველი, განუ-
ზომლად დიდი ადამიანური ტკივილი ჩვენი გამორ-
ჩეული და გულდაწყვეტილი ძმისა და მეგობრის უდ-
როოდ გარდაცვალების გამო.

ავთო გოგიბერიძე

ᲓᲘᲓᲘ ᲕᲐᲭᲙᲐᲪᲘ

ნუგზარი პირველად გავიცანი 1972 წელს, როცა ის ოქტომბრის რაიონის (ახლანდელი ჩულურეთის) ახალგაზრდობის თავკაცი იყო. პირველი შეხვედრისთანავე ის ნებისმიერ ადამიანზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა. მშვენიერი შესახედაობით და ერუდიციით გამოირჩეოდა, არაჩვეულებრივი მოსაუბრე იყო. იმ დროს სახელმწიფო და პოლიტიკურ ასპარეზზე მიღებული იყო წინასწარ დაწერილი ტექსტებით გამოსვლა, ნუგზარი ყოველთვის ყოველგვარი ფურცლებისა და წინასწარ მომზადებული ტექსტებით გამოდიოდა, რაც იშვიათი იყო და დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა. საბედნიეროდ, ისე მოხდა, რომ ნუგზარის პირადი ინიციატივით ქა-

ᲫᲘᲣᲚᲘ ᲨᲐᲠᲗᲐᲕᲐᲡᲗᲐᲜ

მამუკა ასლანიკაშვილთან

ლაქკომში გადავედი და რამდენიმე წელიწადი მასთან ვმუშაობდი, ის პირველი მდივანი იყო, მე კი მდივანი. ბედნიერი დრო იყო, ყოველ დღე თითქმის ოცდაოთხი საათი ერთად ვიყავით. დიდად შრომისუნარიანი კაცი იყო, თავს არაფერში არ ზოგავდა, არც საქმეში და არც ურთიერთობაში. ხშირად ერთად ვიყავით ლხინში, უყვარდა სუფრაც, ნიჭიერ ადამიანებთან ყოფნა, მრავალჯერ ვყოფილვართ თითქმის დილამდე ერთად კარგი ხალხით გარშემორტყმულნი. მეორე დღეს კი დილით ადრე სამსახურში პირველი გაჩნდებოდა. ხშირად ორნიც კი ვმჯდარვართ, რამდენ რამეზე გვილაპარაკია. საერთოდ, დიდად კეთილშობილი რაინდი

კაცი იყო. ხმას არასდროს არ აიმაღლებდა, მიუხედავად ძალიან პრინციპული პოზიციებისა, არ მახსოვს ვინმესთვის ეწყენინებინოს, ან ვინმე „გაეფუჭებინოს“, როგორც მაშინ იყო მიღებული.

ნუგზარის საქმიანობა ჯერ თბილისის კიროვის, ოქტომბრის, ლენინის რაიონში, შემდეგ ქალაქში და ცენტრალურ კომიტეტში იყო ძალიან შთამბეჭდავი, ყველა მისი იმედით იყო, როცა საჭირო გახდა, ჩემთვის ძალიან იბრძოდა და ფაქტობრივად გადაწონა ჩემ მიმართ დამოკიდებულება.

იგი ქვეყნის დიდი პატრიოტი იყო, ეს ყოველ წუთს, წამს, ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოიხატებოდა.

ძალზე სპორტულიც გახლდათ. არ შეუწყვეტია ყოველდღიური ვარჯიში ბოლო დღემდე. ახალგაზრდობაში იგი ქართული რაგბის სათავეებთან იდგა, აქტიურად თამაშობდა და როცა ის ქართული სპორტის ხელმძღვანელად დაინიშნა, ყველამ დაინახა მისი დიდი პროფესიონალიზმი და სიყვარული სპორტული ცხოვრების მიმართ. მის მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული დამოუკიდებელი ქართული ოლიმპიური ცხოვრების დასაწყისი. არაჩვეულებრივი მეოჯახე, მოსიყვარულე, დიდი მეგობარი, რომლისთვისაც ერთგულება ყველაზე მაღალი კრიტერიუმი იყო, უეცრად გამოეცალა ქვეყანას, ოჯახს, მეგობრებს.

იმ დღემდე ცოტა ხნით ადრე შევხვდით, ბევრი ვისაუბრეთ და ვიცინეთ კიდეც. რა ვიცოდი, თუ მოულოდნელობას ასეთი ბედისწერის დაწერა შეეძლო.

ნუგზარი ძალიან მიყვარდა და დიდ პატივს ვცემდი.

ნიკო ლეკიშვილი

ჩემო ნუგზარ!

მე არ ვიცი, რა სიტყვებით შეიძლება გამოვხატო ის მდგომარეობა, დიდი ტკივილი, რომელიც შენი მოულოდნელი წასვლით მოგვაყენე...

თავზარდამცემი და გამაოგნებელია რაც მოხდა...

ამ ბოლო წლებში, როცა მოიშალა და აიმღვრა ყველაფერი, თითქოს სიკვდილიც მოგვიშინაურდა, გაუბრალოვდა, მაგრამ შენთან გამოთხოვებას ვერ წარმოვიდგენდით...

ნამდვილი ვაჟკაცი იყავი... ძლიერი პიროვნება იყავი. საკუთარი პოზიცია გქონდა.

სადაც კი იღვაწე, ყველგან კეთილი კვალი დატოვე...

დიდი ტაქტი და თავაზიანობა ხელს არ გიშლიდა შეუდრეკელი და პრინციპული ყოფილიყავი. ბოლომდე იცოდი საქმის მიყვანა. ამას ყველა ხედავდა, მხარდამჭერი არ გაკლდა, სჯეროდათ შენი...

რამდენი რამ გაკეთდა შენი თავკაცობით, შენ იმ თაობას წარმოადგენდი, რომელსაც ბედის უკუღმართობის გამო შემდგომში დუმილი მიესაჯა...

ახლა ხომ ნათელი გახდა, ვინ რისი მაქნისია. თუ ვინმეს რაიმე ეთქმოდა, სწორედ შენ და შენნაირებს გეთქმოდათ...

თქვენ არ ანგრევდით, თქვენ აშენებდით...

აშენებდით ქვეყანას, ზნეკეთილ ადამიანურ ურთიერთობებს... ბევრის გაკეთება მოასწარით...

მაშინ ძალიან ახალგაზრდები იყავით... ვერც წარმოიდგენდით, რომ სულ ცოტა ხანში საქართველოსთვის

ანატოლი კარპოვთან

სასიკეთო გზის ძიების დროს ამდენი ჭუჭყი და უმეცრება ამოტივტივდებოდა... ახლა დგება მშენებლობის ჟამი და შენ აღარა ხარ, თქვენ აღარა ხართ...

შენი წასვლა, ჩემო ნუგზარ, თავზარია საქართველოსთვის, რომელიც გაჭირვებით იდგამს ფეხს, ებრძვის უვიცობას, უგუნურობას, სიმდაბლეს და უხამსობას...

ისე მოხდა, რომ შენ ბოლომდე ვერ დაიხარჯე... არადა, შენი ნიჭი და გამოცდილება, საოცარი ენერგია და შემართება ახლა ძალიან სჭირდებოდა ქვეყანას.

ახლაც შენ შენი თანამოაზრის ჟიული შარტავას გვერდით აღმოჩნდები... სასუფეველში მამუკა ასლანიკაშვილს და სხვა ღირსეულ მეგობრებს შეხვდები... როგორ წვალობდი და იტანჯებოდი მათი დაკარგვის გამო... როგორი სევდიანი გახდი...

საკუთარ დარდს ფარავდი, სხვისას იზიარებდი, სხვისი სიხარულით ხარობდი... შური უცხო იყო შენთვის...

უაღრესად სწორად, მძაფრად და საინტერესოდ აფასებდი მოვლენებს...

შენ ავკარგიანი, მართალი და გულიანი იყავი, მეგობრების მოყვარული და დამფასებელი. როგორი დამორცხვებული ღიმილი გქონდა, რამდენ საფიქრალსა და მოგონებას გვიტოვებ...

შენით მხოლოდ ოჯახი და ახლობლები არ იამაყებენ... შენ მარტო ჩვენი დიდებული სპორტული სამყარო არ გემშვიდობება... აქაც ბევრი გააკეთე... სხვა სფეროებშიც მრავალი დამფასებელი გყავდა... ქვეყანა დაგტირის...

მშვიდობით, ჩვენო ძვირფასო და საყვარელო ნუგზარ...

P.S. 1994 წელს დავწერე მოხმობილი სიტყვები. მას შემდეგ 20 წელიწადი გასულა, მაგრამ ნუგზარის წასვლით გამოწვეული ტკივილი არ განელებულა და ვერც განელდება, რადგან იგი მკვიდრად აღიბეჭდა ჩემს და არა მარტო ჩემს მეხსიერებაში. ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ მოხდა. ძალზე ბევრი რამ... და ყველა ვითარებაში ნუგზარი გვაკლდა. აკლდა და აკლია ჩემს ქვეყანას, რომელსაც დღეს ნამდვილად სჭირდება მისი მსგავსი პიროვნებები, რომელთათვისაც ადამიანისა და მამულის სიყვარული „ნაციონალურ-ფასადური“ კი არ იყო, არამედ ცხოვრების ჯანსაღ წესში, პრინციპებში, პროფესიონალიზმსა და ქმედებებში იყო გამოხატული!

ჯანსუღ ჩარკვიანი, ჩემო ნუგზარ, სწორედ შენნაირთა სულებსა და აჩრდილთ მიმართავს: „ცოცხალი იყავი და სიცოცხლეს გვიადვილებდი, წახვედი და სიკვდილს გვიადვილებ“.

ვალერი ასათიანი

ბოლომდე იხარჯებოდა დასახმარებლად

ნუგზარ ენდელაძე ერთგულებით და უღალატობით გამორჩეული, მეგობრობის, კათმოყვარეობის და ყველანაირი კაცური ღირსებით შემკული პიროვნება, კაცი, რომელიც ფორმით და თავისი ცხოვრების წესით ამშვენებდა ქართულ საზოგადოებას. ნუგზარ ენდელაძემ ისე ღირსეულად გაიარა სპორტული თუ პოლიტიკური მოღვაწეობის დიდი და რთული გზა, რომ თავის გარემოცვასა და საზოგადოებაში მხოლოდ სასიკეთო და სასიამოვნო მოგონებები დატოვა. მეგობრებს და ახლობლებს ყოველთვის გვეგონა, რომ მას არანაირი პრობლემები არ ჰქონდა, რადგან არასოდეს და არავისთვის არ მოუხვევია თავზე თავისი გაჭირვება თუ განცდები, სხვას კი მისთვის ჩვეული სიდინჯით მოუსმენდა, დაამშვიდებდა და ბოლომდე დაიხარჯებოდა დასახმარებლად.

ნუგზარ ენდელაძე, როგორც პოლიტიკური მოღვაწე, სრულიად განსხვავებული იყო, მან ისევ განვლო კომკავშირული თუ პარტიული მოღვაწეობის ეტაპები დაწყებული რიგითი მუშაკობიდან, დამთავრებული თბილისის ქალაქკომის თუ პარტიის რაიკომის მდივნობით და პარტიის ცენტრალური კომიტეტის წამყვანი განყოფილების ხელმძღვანელის რანგში, რომ მის ღირსეულ თვისებებს არათუ რაიმე დააკლდა, რაც ხშირად ხდება ხოლმე თანამდებობებზე ყოფნისას, არამედ ბევრი სასიკეთო შტრიხი მოემატა. ნუგზარ ენდელაძის სახელთან არის დაკავშირებული ქართული სპორტის არაერთი წარმატება და



ეს პატარა ბარათი ერთ-ერთ თავყრილობაზე დარბაზიდან გადაანოდეს პრეზიდიუმს, სადაც ნუგზარ ენდელაძე იჯდა.

მიღწევა საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარეობის პერიოდში.

ნუგზარ ენდელაძე რაინდი იყო და სიცოცხლის ბოლომდე დარჩა რაინდად, რაც ძალიან რთული იყო იმ ეპოქაში, რომელშიც მან იცხოვრა და იღვაწა.

ჩემო ნუგზარ, ჩემო შეუცვლელო მეგობარო, რამდენმა წელმა გაიარა უშენოდ, რამდენმა ქარტეხილმა გადაიარა, რამდენჯერ მინატრია შენთან საუბარი, შენი დამამშვიდებელი ხმის გაგონება, შენებური შემოძახილი – ყველაფერი კარგად იქნებაო, იმედი არ გადაიწურო, ყველაფერს გაუმკლავდიო. ჩვენი ოჯახები უშენოდ, მაგრამ შენი სახელით აგრძელებენ იმ მეგობრულ და ნათესავურ ურთიერთობებს, რომელსაც შენ ჩაუყარე საფუძველი. შენი საყვარელი ოჯახი, შენი მეუღლე და შენი შვილები შენ რომ გეკადრება, ისე აგრძელებენ შენს ტრადიციებს, სათუთად ინახავენ შენს ხსოვნას, ყველაფერს ცდილობენ, რომ გაუფრთხილდნენ შენს ღირსებას და შენს შთამომავლობას შთაუნერგონ, რომ იცხოვრონ ისე და იარონ ისეთივე გამარჯული ნაბიჯებით, რო-

ვიქტორ სანეევთან

გორც ნუგზარ ენდელაძემ იარა. შენ უკვე დიდი და საინტერესო ოჯახი გაქვს, შენ უკვე მრავალგზის ბაბუა ხარ. მართალია, ჩვენ გვერდით აღარ ხარ, მაგრამ შენი ღირსეული და ლამაზი ოჯახი გვივსებს შენგან დატოვებულ სიცარიელეს.

მადლობა უფალს, რომ მოგავლინა ამქვეყნად სამეგობროსთვის, სიყვარულის, უღალატობის და კაცობის მაგალითად. 29 ნოემბერს შენი მეგობრები შენს ოჯახთან ერთად მოვალთ შენს საფლავთან და უშენოდ აღვნიშნავთ 70 წლის იუბილეს, კიდევ ერთხელ გეტყვით, რომ ძალიან გვაკლიხარ, ძალიან გვიყვარხარ და სიცოცხლის ბოლომდე გვეყვარები.

გულწრფელი განცდებით
დალი აბაშიძე

გახსენება ტკივილიან მოგონებებს აღძრავს

ნუგზარი თავდაუზოგავად შრომობდა ყველგან და სიყვარულიც გამორჩეულად იცოდა. იცოდა სიყვარულით შეხვედრა და დანანებით გამომშვიდობება. ის მუდამ სიმართლისა და სამართლიანობისთვის იბრძოდა. ისე განვლო თავისი ხანმოკლე, მაგრამ ღრმა შინაარსით დატვირთული სიცოცხლე, რომ ერთი პა-

პაატა ბურჭულაძესთან

ტარა ბოროტება ან პატარა უკაცობა არ ჩაუდენია.

მან თავისი ცხოვრებითა და საქმიანობით დაადასტურა, რომ ადამიანს იმაზე უფრო დიდი მიზანი არა აქვს, ვიდრე თავდადებით, კეთილსინდისიერად ემსახუროს საკუთარ ქვეყანას, მშობლიურ ქალაქს, სამეგობროს.

მისი სახელის გახსენება ტკივილიან მოგონებებს აღძრავს. ამასთანავე, საუკეთესო, ვაჟკაცური ზნეობისა და მაღალი კულტურის ნიმუშად დარჩება ჩვენი თაობის მეხსიერებაში.

ნუგზარის ცხოვრების გზა ნათელი მაგალითია იმისა, როგორ უნდა იცოცხლოს ადამიანმა სიკვდილამდე, რომ სიკვდილის შემდეგაც გააგრძელო სიცოცხლე ღირსეულად.

დიახ, ასე აგრძელებს ნუგზარი თავის სიცოცხლეს დღემდე და ასე შერჩება მარადისობას.

ის მადლი და სიკეთე კი, რაც მას უხვად გაუცია თავისი ცხოვრების მანძილზე, გზის მანათობელი იქნება მისი შვილებისა და შვილიშვილებისათვის, რომლებიც მუდამ თავაწეული ივლიან ღირსეული მამისა და უკეთილშობილესი ბაბუის სახელით გაამაყებულნი.

პაატა ბურჭულაძე

საქმის კაცი, ნაღდი პროფესიონალი

როდესაც ამ დღეებში შემახსენეს, რომ ნუგზარ ენდელაძის 70 წლის იუბილე ახლოვდებოდა (შეხსენებას ცოდვად ნუ ჩამითვლით, ზოგჯერ ჩემი ოჯახის წევრების დაბადების დღის შეხსენებაც მჭირდება), ჩემს გონებაში კიდევ ერთხელ წარმოჩინდა ის წლები, როდესაც ყოველდღიურ (არ ვაჭარბებ) საქმიანი თუ საქმის გარეთ ურთიერთობა გვქონდა ამ ღირსეულ კაცთან.

ნუგზარ ენდელაძე სრულიად ახალგაზრდა, ჭაბუკი გამოჩნდა საზოგადოებრივ ასპარეზზე და ბუნებრივია, საყოველთაო ყურადღება მიიქცია თუნდაც მისი უპრეცენდენტო კარიერული წინსვლის გამო. ის, შეიძლება ითქვას, თავიდანვე „შემაღლებულ“ გორაკზე იდგა და ყოველი მხრიდან კარგად ჩანდა. მაგრამ მე მისი ადრეული წლებისა და სამსახურების შესახებ არ მინდა ვილაპარაკო (ამას სხვები უკეთესად იტყვიან), თუმცა, როგორც მასზე ოდნავ უფროსი ასაკით და საერთო სამეგობრო წრეში მოტრიალენი, მისი ცხოვრების ყველა ეტაპზე გარკვეული წარმოდგენა მქონდა.

ჩვენი პირველი ოფიციალური შეხვედრა ერთი ერთზე, როგორც სპორტკომიტეტის თავმჯდომარის და ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის რექტორის, ასე დასრულდა: არსებობს რაიმე სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, რომლებითაც მწვრთნელები უნდა ხელმძღვანელობდნენო. მე, მიუხედავად იმისა, რომ თავი სპორტის მეცნიერების წარმომადგენლად არ-

ასდროს მიმაჩნდა, როგორც რექტორი, ასეთ მონოგ-
რაფიებს ვიცნობდი. მეორე დღეს ნუგზარს ავუტანე
4 თუ 5 სახელმძღვანელო, მათ შორის ჩვენი ინსტი-
ტუტის პროფესორის ალიხანოვის ჭიდაობის სახელ-
მძღვანელო. ერთი კვირის შემდეგ მორიგ თათბირ-
ზე ვიგრძენი სპორტის სახეობათა მწვრთნელების,
უმეტეს შემთხვევაში დაბნეულობა, თავიანთ გაოც-
ებას ვერ მალავდნენ თავმჯდომარის შეკითხვებში.
პირველ ხანებშივე გამოჩნდა მისი დამოკიდებულე-
ბა სპორტის მეცნიერებისადმი. მან დიდი ყურადღე-
ბა გამოიჩინა სპორტის პრობლემების სამეცნიერო-
კვლევითი ინსტიტუტის მიმართ (რომელიც დღეს
აღარ არსებობს), მოახდინა მისი ახალი კადრებით
დაკომპლექტება და ორგანიზაციული ცვლილებები;
ამ ინსტიტუტის ფარგლებში შექმნა კონკრეტული
სოციოლოგიის განყოფილება და ყოველი საკითხის
განხილვას წინ უსწრებდა გარკვეული გამოკითხვები
სპეციალისტების, სპორტსმენების, დაინტერესებუ-
ლი საზოგადოების. ნუგზარი მზად იყო ფინანსუ-
რად, ორგანიზატორულად და ყოველმხრივ საჭირო
დახმარება აღმოეჩინა ფიზკულტურის ინსტიტუტის
მეცნიერებისათვის. დახმარება განაპირობებდა იმ
გარემოებას, რომ ჩვენს ინსტიტუტს ევალებოდა სა-
კავშირო ნაკრებების სროლის სახეობების, ძიუდოს,
სათხილამურო სპორტის ზოგიერთი სახეობის მეც-
ნიერული უზრუნველყოფა.

ამრიგად, ჩემი პირველი შთაბეჭდილება სპორტის
კომიტეტის ახალ თავჯდომარეზე იყო ის, რომ ის
თვითონაც სწავლობდა და სხვებსაც აიძულებდა ეს-

წავლა. უკვე მრავალ მაღალ პოსტს გამოვლილ კაცს არ ეხამუშებოდა, არ ეუკადრისებოდა ეკითხა რჩევა გამოცდილი ადამიანებისათვის, ხშირად საჯაროდ, მოესმინა რაც შეიძლება მეტი სპეციალისტისათვის და ამის გამო კომიტეტის კოლეგიაზე ზოგჯერ ერთი საკითხის განხილვა 5-6 საათს გრძელდებოდა. ზოგადად უნდა ითქვას, რომ ნუგზარ ენდელაძეს, როგორც კომიტეტის თავჯდომარეს, ეამაყებოდა კიდეც, რომ იმ უწყების შემადგენლობაში უმაღლესი სკოლა არსებობდა. არაერთხელ უთქვამს, რომ ყველა სახელმწიფო უწყებას არა აქვს იმის ფუფუნება, რომ უმალღესი სასწავლებელი და საკუთარი გაზეთი („ლელო“ იგულისხმებოდა) ჰქონდეს და ამ ორ ინსტიტუტს ყოველმხრივი მხარდაჭერა სჭირდებაო.

მეორე არსებითი თვისება, რაც ნუგზარის მოღვაწეობის პირველივე ხანებში გამოიკვეთა და ბოლომდე გაგრძელდა, იყო პასუხისმგებლობა და საშემსრულებლო დისციპლინა. მან მმართველობის ისეთი სისტემა შექმნა, როდესაც არც ერთი დავალება, არც ერთი ღირებული მოსაზრება არ დაიკარგებოდა, ან შუა გზაზე არ გაჩერდებოდა, როგორც ეს სხვა შემთხვევაში ხდებოდა. პასუხისმგებლობის მაგალითს თავად იძლეოდა. კაცი, რომლისთვისაც „არავითარი ადამიანური და არავითარი ქართული უცხო არ იყო“, როდესაც ამას საჭიროება და გარემოება მოითხოვდა, მხოლოდ საქმით და სპორტით ცხოვრობდა, ასეთი პერიოდები მის ცხოვრებაში ხშირი იყო. მომთხოვნელობა, უმაღლეს დონემდე აყვანილი პასუხისმგებლობა შიშველ ადმინისტრირებას არ ემყა-

რებოდა. ის შეზავებული იყო ყოველდღიურ დახმარებასთან, მზრუნველობასთან, მხარში დგომასთან. თუ დაინახავდა, რომ კაცმა საქმეს ენერგია არ დააკლო, ყოველმხრივ ეცადა, მაგრამ საქმე ბოლომდე კარგად ვერ გამოუვიდოდა, მოეფერებოდა, მომავლის იმედს ჩაუსახავდა.

საქმიანი თვისებების გარდა, მე, როგორც მის მეგობარს, მის ადამიანურ თვისებებზეც მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა, განსაკუთრებით მის დამოკიდებულებაზე მეგობრებთან. ჩვენი ურთიერთობა მაშინ დაიწყო და გამყარდა, როდესაც ორივეს გარკვეული ცხოვრებისეული გამოცდილება გვქონდა და ეს არ იყო სკოლის ან უბნის გარემოებებით განპირობებული სპონტანური, ხშირად გაუაზრებელი ურთიერთდამოკიდებულება, თანაც ორივეს საკმაოდ მრავალრიცხოვანი სამეგობრო წრე გვყავდა. ამის მიუხედავად, ჩვენი საქმიანი ურთიერთობები სწრაფად გადაიზარდა პირად, მეგობრულ ურთიერთობებში და თავშიც ავღნიშნე, რომ ის ყოველდღიური იყო. ნუგზარის ერთი უმნიშვნელოვანესი თვისება და გნებავთ ღირსება ის იყო, რომ ის თავისი ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე შეძენილ მეგობრებს არ კარგავდა, მათთან ურთიერთობას უფრთხილდებოდა და

ნანა ალექსანდრიასთან

ამის გამო, ზოგჯერ გვიან ღამითაც არ ერიდებოდა მათ მონახულებას. მას პერიოდულად აუცილებლად უნდა შეევლო თავისი ბავშვობის მეგობრებთან თბილისსა და რუსთავში, ახალგაზრდულ ორგანიზაციებში მუშაობის პერიოდში შეძენილ მეგობრებთან, რაგბის ყოფილ მოთამაშეებთან, რომლებთანაც ერთად ვარჯიშობდა და სხვა. მას ყველა თვისება ჰქონდა იმისათვის, რომ გარშემო შემოეკრიბა დიდი სამეგობრო წრე და მე მეამაყება, რომ ამ წრეში უკანასკნელი არ ვიყავი.

90-იანი წლების არეულობის პერიოდში ნუგზარი რამდენიმე მეგობართან ერთად მოსკოვში წავიდა. ხმები ჩამოდიოდა, რომ მათ საქმე ააწყვეს. მაგრამ ცოტა ხანში ის თბილისში ჩამოვიდა. ჩემს შეკითხვაზე, დროებით თუ სულ ჩამოხვედი-მეთქი, მიპასუ-

ხა, მატერიალურად იქ უკეთესად ვიქნებოდი, მაგრამ რა ვქნა, თბილისის გარდა ცხოვრება სხვაგან არ შემიძლია, იქნებ, აქ დავიწყოთ რამეო. დავიწყეთ კიდეც, მაგრამ არაფერი გამოგვივიდა. იმ პერიოდში წარმატებას სხვა ცოდნის, უნარის და მენტალიტეტის ხალხი აღწევდა. სიცოცხლის ბოლო პერიოდში მას იმედი ჰქონდა, რომ კიდევ ერთხელ ქვეყნის სამსახურში ჩაეყენებინა დიდი გამოცდილება და უნიკალური ორგანიზატორული უნარი. მით უმეტეს, რომ ხელისუფლებაში ის ხალხი მოვიდა, ვინც მის შესაძლებლობებს კარგად იცნობდა. სამწუხაროდ, მისი იმედი თანდათან ილეოდა და შესაბამისად აპათია და პესიმიზმი მატულობდა მის განწყობაში. საზოგადოებამ და უპირველესად ხელისუფლებამ უმადურობა გამოიჩინა ბევრი პატიოსანი, გამრჯე, ღირსეული პიროვნებებისადმი და ნუგზარი მათ შორის იყო. ის იყო კაცი, რომელსაც თუ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების რომელიმე სფეროს ჩააბარებდი, ხელისუფალი დაწყნარებული უნდა ყოფილიყო, იქ ყველაფერი რიგზე იქნებოდა. მაგრამ სამწუხაროდ, ერის ცხოვრებაში დგება პერიოდები, როდესაც ის თავის შვილებს ვერ უფრთხილდება, ვერ მზრუნველობს იმ შვილებს, რომლებსაც ქვეყნისთვის სიკეთის მოტანა შეუძლიათ. ეს იმ პერიოდებში ხდება, როდესაც უმადურობა ისადგურებს საზოგადოებაში ეს „უმძიმესი და უღრმესი სენი გადაგვარებისა“.

ომარ გოგიაშვილი

ბავშვობიდან გვაკავშირებდა დიდი მეგობრობა

ნოდარ ჯანბერიძესთან

ძალიან ძნელია საუბარი მეგობრებზე წარსულ დროში: ეს იმის ნიშანია, რომ მათ საშინლად გვატკინეს გული, როდესაც ამ ცხოვრებიდან წავიდნენ და არა აქვს მნიშვნელობა, როდის დაგვტოვეს, მათი გახსენება ყოველთვის სევდის მომგვრელია და მაინც, ამასთანავე ბედნიერი ხარ, ბედმა მათთან ურთიერთობის სიხარული რომ გარგუნა. სამწუხაროდ, რაც დრო გადის ასეთთა რიცხვი სულ უფრო მატულობს, მაგრამ მათი მოგონება, ვინც ადრეულად წავიდა, განსაკუთრებით მტკივნეულია, მტკივნეულია იმის განცდა, თუ რამდენი რამ ვერ მოასწრეს, რამდენი ჩანაფიქრი და გეგმა დარჩათ განსახორციელებელი და როგორ დააკლდნენ ახლობლებს, მეგობრებს, ოჯახს, ქვეყანას.

არ მეშინია, რომ სუბიექტური ვიქნები ამ მართლაც შესანიშნავი პიროვნების გახსენებისას. არ მეგულება ამქვეყნად ადამიანი, რომელიც თუნდაც ერთხელ შეხვედრია და არ მოხიბლულა მისი არაჩვეულებრი-

ვი თბილი ბუნებით. ჩვენ ბავშვობიდან გვაკავშირებდა დიდი მეგობრობა. ერთად დავამთავრეთ საშუალო სკოლა და თუმცა ცხოვრების სხვადასხვა გზა ავირჩიეთ, ურთიერთობა ერთი დღითაც არ გაგვიწყვეტია. მე მოსკოვში ვმუშაობდი საკმაოდ დიდხანს, ის ხშირად ჩამოდიოდა ჩემთან.

ყოველთვის ვხვდებოდით ერთმანეთს, როდესაც მე ჩამოვიდოდი საქართველოში, თბილისში ან ზუგდიდში. მეგობრობა საოცარი გრძნობაა, ჩემი ღრმა რწმენით, ყველაზე მნიშვენლოვანი ადამიანურ ურთიერთობაში, როდესაც ადამიანებს ერთმანეთთან მხოლოდ სულიერი სიახლოვე, საერთო ინტერესები აკავშირებს. ნამდვილი მეგობრობა თავისუფალია ყოველგვარი ხელოვნური ვალდებულებებისგან. მე დღესაც სიამოვნებას მგვრის ნუგზართან გატარებული ლამაზი დღეების გახსენება, გვყავდა საერთო მეგობრები, ახლოს ვიყავით ოჯახებით. ჩვენ შეხვედრებისას ხშირად ვსაუბრობდით ჩვენი ქვეყნის მომავალზე, ეს თემა ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მისთვის. არც არის გასაკვირი, იგი ქვეყნის მმართველი ხელისუფლების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო. არაერთი საპასუხისმგებლო პოსტი ეკავა. მართლაც რომ იყო საზოგადო მოღვაწე, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით. ცხადია, საპასუხისმგებელო თანამდებობის პირს საფიქრალი ულევად ჰქონდა, მაგრამ მისთვის ყოველთვის პირველ ადგილზე იყო ადამიანებზე ზრუნვა, მათ კეთილდღეობაზე ფიქრი. მის კაცურ ღირსებებში ეს ალბათ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია, ბევრი არ მეგულება ადამიანი, რომელსაც მის მსგავსად

ჰქონოდა გაცნობიერებული პიროვნების ფასი, ადამიანური ურთიერთობების მნიშვნელობა. მისი განათლება, პროგრესული აზროვნება, შინაგანი ინტილიგენტურობა და წესიერება, მართლაც რომ სამაგალითო იყო ბევრისათვის. დამეთანხმებით, არ არის იოლი სასოწარკვეთილ და გაჭირვებულ ადამიანთა შემწე იყო მუდმივად ჩვენს ისედაც რთულ ყოფაში. არადა, ნუგზარ ენდელაძის მთელი ცხოვრება სწორედ ხალხის მსახურების მაგალითია. ვინ იცის, რამდენი ადამიანისთვის დაუბრუნებია რწმენა, რამდენ უპოვარსა და უქონელს გახდომია შემწედ ჩვენი ქვეყნისთვის მეტად მძიმე 90-იან წლებში. სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგან იგი მოყვასის სიყვარულსა და ერთგულებას ბავშვობიდან აზიარეს. საოცრად განიცდიდა იმ ანარქიასა და ქაოსს, რაც ამ დროს ჩვენს ქვეყანაში სუფევდა და ბავშვივით უხაროდა ყოველგვარი სასიკეთოდ გადადგმული ნაბიჯი. მახსოვს, როგორი აღტაცებული იყო, როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებასთან ერთად მეც გადავწყვიტე სამშობლოში დაბრუნება.

მუდმივად ვსაუბრობდით ორივესთვის საჭირბოროტო პრობლემაზე, საქართველოს მომავალზე, ხალხის მდგომარეობაზე პერსპექტივებზე. ოპტიმისტი ადამიანი იყო და იმავდროულად ძალზე რეალურად, საქმის ცოდნით უდგებოდა ნებისმიერ საჭირბოროტო პრობლემის გადაწყვეტას, სჯეროდა უკეთესობის და მჯერა, მართლაც ძალიან ბევრის გაკეთებას შეძლებდა, რომ დასცლოდა.

აგერ უკვე 20 წელიწადი გადის მისი გარდაცვალები-

მაია ჩიბურდანიძესთან

დან, გულმა უმტყუნა... დიდ განცდებს ვერ გაუძლო...

სიცოცხლე მოვალეობაა, უთქვამთ და მართლაც მხოლოდ მას შეუძლია იქცეს პიროვნებად, ვისაც მთელი არსებით აქვს გაცნობიერებული ეს ანბანური ჭეშმარიტება, ვისაც შეუძლია არა მარტო მიიღოს რამე საზოგადოებისაგან, არამედ უპირველესად გაიღოს რაც გააჩნია. სწორედ ასეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა ჩემი მეგობარი ნუგზარ ენდელაძე.

მიხარია, რომ ცხოვრებამ შემახვედრა მასთან, ყოველი გახსენებისას ისევ შორეულ ბავშვობაში ვბრუნდები და ვწუხვარ, რომ დღეს მოკლებული ვარ მასთან ურთიერთობის სიამოვნებას და კიდევ უფრო ვწუხვარ, რომ ბოლომდე ვერ დაიხარჯა თავისი ქვეყნისთვის, რისთვისაც ასე სტკიოდა გული.

აკად. **ფრიდონ თოდუა**

ნუგზარ ენდელაძე

მისი პიროვნული სიცხადე საიდუმლოებით იყო მოცული.

სიყვარულს შეკედლებული მამულიშვილი გახლდათ და ერთგულების თავშესაფარში ცხოვრობდა, ერთგულების თავშესაფარში მისივე ძვირფასი მეუღლის გულს ვგუ-

მარცხნიდან: ნუგზარ ენდელაძე, ჯანსულ ჩარკვიანი, ჯიმი მიქელაძე, რეზო ჩხეიძე, გოდერძი ბუკია

გერმან ზონინთან და ვლადიმერ გუცაევთან

ლისხმობ, გულს, რომლითაც ცხოვრობდა სიკვდილამდე.

ნუგზარისნაირი დახვეწილი ადამიანები თვალს უსწორებენ ოცნებას, რომელიც უსასრულოა და მამულიშვილური.

ნუგზარმა ყველგან, სადაც კი უმუშავია, თავისი კვალი დატოვა და მე განსაკუთრებით ვიხსენებ მის დამსახურებას, როცა ქართულ სპორტს განაგებდა. ნუგზარს უყვარდა ტრადიციული ქართული სუფრა და უყვარდა, როცა მეგობრებს ადღეგრძელებდა.

მე დღეს ვსვამ წასული ნუგზარის მოგონების სადღეგრძელოს და იქ, მარადიულში, ამ წუთისოფლიდან ვეუბნები: 70 წლის რაინდო, შენ ყველა ღირსეულ ქართველს ახსოვხარ!

მოდი, შენს სიყვარულსა და კაცურ კაცობას, შენს ერთგულებასა და მამულიშვილობას გაუმარჯოს!

ჯანსუღ ჩარკვიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

... იხსენებს ოლიმპიური ჩემპიონი

მარცხნიდან: კობა კურტანიძე, ნუგზარ ენდელაძე და შოთა ხაბარელი

ნუგზარზე ბევრი რამის თქმა შემიძლია. რაც მან გააკეთა ქართული სპორტისთვის, ბევრი ვერ დაიკვეხნის. 1988-1989 წლებში ქართველმა ძიუდოისტებმა მაღალ შედეგებს მიაღწიეს. ორი კვირა გვახლდა ნუგზარი იაპონიაში საწვრთნელ შეკრებაზე. ჩვენზე და უცხოელებზეც განუმეორებელი შთაბეჭდილება მოახდინა თავისი ტაქტით და განსწავლულობით. მსოფლიოს უძლიერეს ძიუდოისტებს იცნობდა, ხში-

ნუგზარ ენდელაძე ძიუდოისტებთან მგზავრობისას

რად იყო ჩვენი დელეგაციის სასურველი ხელმძღვანელი. მისი მოღვაწეობის პერიოდში არა მარტო ძიუდო, ქართული სპორტი მთლიანად აღმავლობას განიცდიდა.

ქართული სპორტის მემკვიდრეებმა, მომავალმა თაობებმა უნდა იცოდნენ, რა ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ამ დიდებულმა ადამიანმა ქართული სპორტის წინსვლა-განვითარებაში. სპორტის მუშაკებისთვის კი მაგალითი უნდა იყოს ნუგზარ ენდელაძის დამოკიდებულება საქმისადმი, საერთოდ ადამიანებისადმი, მისი პატრიოტიზმი და მაღალი ადამიანური ღირსებები.

შოთა ხაბარელი,

XXII ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი

ძიუდოში, საქართველოს პარლამენტის წევრი.

ძიუდოს ნაკრებთან

ლაღად და შეუპოვრად თამაშობდა

ნუგზარ ენდელაძის ნათელი ხსოვნა მთელი ჩემი ცხოვრების გზაზე გამყვება. ნუგზარი გავიცანი 1962 წელს. პოლიტექნიკური ინსტიტუტის რაგბის გუნდში იგი გამოირჩეოდა თავისი სპორტული აღნაგობით, სხარტი აზროვნებით, რაგბისადმი უდიდესი სიყვარულით. თამაშობდა ლაღად, შეუპოვრად. ნუგზარი იმდენად მხნე, უდრეკი და ძლიერი პიროვნება იყო, რომ ყოველ ჩვენგანს გამარჯვებისკენ სწრაფვის სურვილს გვიჩენდა.

ნუგზარმა წარუშლელი კვალი დატოვა საქართველოს რაგბის განვითარებაში. მისი სახელი უკვდავია ეროვნულ-სპორტულ მოძრაობაში შეტანილი წვლილით 80-იანი წლების მეორე ნახევარში, როცა ნუგზარი იყო საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავჯდომარე.

ნუგზარი გამარჯვებას ულოცავს ქართველ მორაგბეებს

ნუგზარის ცხოვრების გავლილი გზა იყო ერთ-ერთი წარმატებული და სახელოვანი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. იგი გამოირჩეოდა კეთილშობილებით, ინტელიგენტობით, კაცთმოყვარეობით, საქმისადმი უღალატო მიდგომით, რომელიც ახლა ასე სჭირდება ჩვენს ქვეყანას.

ნუგზარის მეგობრები არასოდეს დავივიწყებთ მას და მის დიდ ოჯახს.

მე ნუგზარის მეჯვარე ვიყავი. ნათელმირონობამ კიდევ უფრო გააღრმავა და ამაღლებულ ხარისხში აიყვანა ჩვენი ურთიერთობა უკვე ოჯახებით, რომელთანაც სიახლოვე არასდროს განელდება.

უფალმა დაიფაროს ნუგზარის ნათელი სული!

ირაკლი კიზირია

ᱱᱚᱞᱚᱛᱚᱨᱞᱚᱞᱚᱛᱚᱨᱞᱚᱞᱚᱛᱚᱨᱞ

დებიუტი სპორტში

ტანწერწეტა, მაღალი და სხარტი ყმაწვილი ნუგზარ ენდელაძე კალათბურთისა და ხელბურთის მწვრთნელებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ. მისი სპორტული დებიუტი სწორედ კალათბურთით დაიწყო. საქართველოს მოსწავლე კალათბურთელთა ნაკრების წევრი, ვარჯიშობდა ხელბურთშიც. ასე რომ, სპორტის სათამაშო სახეობებისადმი, ინტერესი ნუგზარს სკოლის მერხიდანვე ჰქონდა და აქ მიიღო პირველი სპორტული წრთობა.

... მერე იყო რაგბი.

საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ნუგზარ ენდელაძე და სერგო კეშელავა ერთ ჯგუფში სწავლობდნენ. 1963 წელს ოვალური ბურთით თამაში ჩვენში ჯერ კიდევ „ახალი ხილი“ იყო. სერგოს (ბადურის) უკვე მოესწრო რაგბიში რამდენიმე ვარჯიშის გამართვა, როცა ნუგზარიც აიყოლია და ორივენი პოლიტექნიკური ინსტიტუტის მორაგბეთა გუნდის მაშინდელ მწვრთნელ ოთარ დოღონაძეს მიადგნენ. კალათბურთსა და ხელბურთში ნაწრთობმა ყმაწვილმა ოვალურ ბურთსაც მალე გაუგო გემო. ისე შეიყვარა ეს თამაში, ბოლომდე მისი ერთგული დარჩა.

ნუგზარი რაგბიში ვარჯიშის დაწყების პირველივე დღეებიდან შერკინების მესამე ხაზში იწყებს თამაშს მწვრთნელების ოთარ დოღონაძის და გივი მრელაშვილის რჩევით. ის ერთ-ერთი საუკეთესო მესამეხაზელი გახდა.

ასე იბრძოდა
ნუგზარი სპორტში

მარცხნიდან: მურად თოფურიძე, ნუგზარ ენდელაძე,
ელგუჯა ღუდუშაური, შევაზ კოდუა

1988 წ. „ქართული სპორტის დიდეგის ხეივნის გახნაზე“. მარცხნიდან: ს. მეტრეველი, ლ. ინწკირველი, ი. დიაჩკოვი, გ. ჩოგოვაძე, ვ. ბალავაძე, ზ. თურმანიძე, ვ. ტერნავიხი, დ. ხაბულიანი, დ. გოგეჯიშვილი, ვ. სანეევი, დ. იოსელიანი, შ. ფიცხელაური, ნ. ხიზანიშვილი, დ. მუჯირი, რ. რურუა, გ. სხირტლაძე, მ. ცალქალამანიძე, ჯ. გაგრატიონი, ლ. თედიაშვილი. შ. ჩოჩიშვილი, გ. ბუკია, ნ. დერიშგინი, ხაზარაძე, რ. სიხარულიძე, მ. სალაძე, ნ. ენდელაძე, ჯ. ნიჟარაძე, ვ. შუბლაძე, მ. ჯულელი, შ. ხინჩაგაშვილი, დ. გერძენიშვილი, ლ. დოლიძე, თ. კოსტავა, მ. გიორგაძე, ჯ. მიძელაძე, გ. სალარაძე, ი. გაგაშვილი, ო. ძორძია, ო. დიდეგულიძე, თ. ნამგალაური, გ. გოგოლაური, ზ. გერიაშვილი, ა. ჩივაძე, თ. გაჩეჩილაძე

1964 წლიდან ნუგზარი და მისი სტუდენტი თანაგუნდელები თბილისის „დინამოში“ გადავიდნენ. უეცარი ჩართვა იცოდა შეტევაში. ნუგზარი და მიკა კვინიხიძე გუნდის ლიდერები იყვნენ. 1964 წელს თბილისის „დინამომ“ იმ დროისათვის რაგბიში ცნობილ მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდს სტუმრად აჯობა (12:9). ბრწყინვალედ ითამაშეს ნუგზარ ენდელაძემ, ირაკლი კიზირიამ, რომეო ღვინიაშვილმა, ვალენტინ რაფავამ... საავიაციო ინსტიტუტის გარდა, ჩვენმა მორაგბეებმა მოსკოვში, ადგილობრივ „სპარტაკს“, ვეტერინარული ინსტიტუტის გუნდს და „ხიმკისაც“ მოუგეს.

ნუგზარი ბევრს ვარჯიშობდა. სტაბილური მოთამაშე იყო. საკმაოდ ტექნიკური. ახალ კომბინაციას იოლად ითვისებდა. მოედანზე მისი მოძრაობა ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებდა მაყურებელს.

თბილისის „დინამოს“ მორაგბეთა გუნდის შემადგენლობაში საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი გახდა. სამოციან წლებში ხომ თბილისის „დინამო“ იყო ქართული რაგბის ლიდერი. საქართველოს ჩემპიონობასთან ერთად ჩვენმა გუნდმა სპორტსაზოგადოება „დინამოს“ საკავშირო პირველობაც არაერთხელ მოიგო.

ნუგზარ ენდელაძე დასახელებული იყო სსრკ 30 საუკეთესო მორაგბეთა შორის. მინიჭებული ჰქონდა რაგბში სსრკ სპორტის ოსტატის წოდება. ყველაფერს გულით აკეთებდა. რუსთავიდან თბილისში დადიოდა სავარჯიშოდ. 1967 წელს ფრანგი მორაგბეები პირველად ჩამოვიდნენ საქართველოში და

1964 წ. რუსთავის ვაჟ კალათბურთელთა ნაკრები.
მარჯვნიდან მეოთხე ნუგზარ ენდელაძე

ორი მატჩი გამართეს გურჯაანსა და თბილისში. ნუგზარი სწორედ ამ მატჩების წინა დღეებში ვარჯიშზე დაშავდა და სტუმართა წინააღმდეგ ვერ ითამაშა...

ნუგზარისა და თბილისის „დინამოს“ სხვა მორაგბეებისათვის განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო 1966 წელი, როცა მათ, პირველად ქართული რაგბის ისტორიაში, სსრკ-ის პირველი ჩემპიონატის ვერცხლის მედლები მოიპოვეს. მაშინ ნუგზარ ენდელაძე გუნდში ერთ-ერთი საუკეთესო იყო. თითქმის ყველა მატჩი ითამაშა. იმავე წელს წარმატებით გამოვიდა „ბურევესტნიკის“ საკავშირო პირველობაზეც. ეს ასპარეზობა უნივერსიადის პროგრამით მოეწყო.

ეპიზოდები ნუგზარ ენდელაძის ცხოვრებიდან

სიბრალული

1965 წელი იყო. თბილისის „დინამოს“ მორაგბეები არმიის სპორტული კლუბის სტადიონზე კიეველ თანაკლუბელებს მასპინძლობდნენ. ერთადერთ სათამაშო სიტუაციაში ნუგზარს უხერხულად დაეტაკა კიეველი ადამიდისი, რომელიც, სანამ რაგბს ეზიარებოდა, საკმაოდ ცნობილი მოკრივე იყო. ნუგზარმა ტრავმა მიიღო, მაგრამ თამაში მაინც ბოლომდე გააგრძელა. მასპინძლებმა არ აპატიეს ადამაიდისს ეს უხეშობა და სამაგიერო გადაუხადეს... ნუგზარს ამის გამო ადამაიდისი შეეცოდა. მატჩი დასრულდა თუ არა, მან კიეველ კოლეგას მხარზე ხელი გადახვია და ასე შევიდნენ გასახდელში. ადამაიდისს სახეზე წყენის ნატამალიც აღარ ეტყობოდა, უფრო ზუსტად, თავს დამნაშავედ გრძნობდა...

ვარჯიშზე ღიღი ჩანთით

ნუგზარ ენდელაძის სამსახურებრივი კარიერა ისე სწრაფად წავიდა წინ, რომ 28 წლისა უკვე თბილისის ლენინის (ამჟამად გლდანი-ნაძალადევის) რაიონის აღმასკომის თავმჯდომარე იყო. მიუხედავად ამისა, ოვალური ბურთით თამაში მაინც გულით ეწადა. ნუგზარის დიდი სპორტიდან წასვლის მერე, თბილისის „დინამოს“ მორაგბეთა გუნდის თავდასხმის მესამე ხაზში ცარიელი ადგილი გაჩნდა. ერთხანობას გუნდს ისე უჭირდა, რომ ნუგზარს სთხოვეს და ისიც

დაბრუნდა სათამაშოდ. ერთ მშვენიერ დღეს, სტუდ-ქალაქის სტადიონზე კვლავ სავარჯიშოდ, ოღონდ ამჯერად პირდაპირ ქალაქკომიდან მოვიდა. სპორ-ტულ ჩანთაში სხვა ნივთებთან ერთად ჩალაგებული ჰქონდა სავარჯიშო ფორმა და ბუცები. მოუცლელი იყო, მაგრამ თანაგუნდელებს და მწვრთნელებს ხათ-რი ველარ გაუტეხა და რამდენიმე მატჩი კიდევ ით-ამაშა. ითამაშა მთელი მონდომებით.

ორი მეჯვარე

ნუგზარსა და თინათინ (ტატა) ძიძიგურს ერთმანეთი ჯერ კიდევ ტატას მოსწავლეობის პერიოდიდან შეუყ-ვარდათ. ნუგზარმა ინსტიტუტი დაამთავრა თუ არა, შეუღლება გადაწყვიტეს. 1968 წელს ისინი დაქორწინ-დნენ. ნუგზარს მეჯვარეებად თანაგუნდელი მეგობრე-ბი ჰყავდა – გენადი ღადუა და ირაკლი კიზირია.

ნუგზარსა და ტატას ორი შვილი შეეძინათ – თეა და ვახტანგი. სხვათა შორის, მეგობრობა ნათესაობ-აშიც გადაიზარდა. თეა ირაკლი კიზირიამ მონათლა, ვახტანგი – გენო ღადუამ.

ფეხბურთი ცკ-ში

კომუნისტური მმართველობის დროს ცკ-ას თანამ-შრომელთა საქმიანობა, მათი ადამიანური ინტერე-სები ყველასთვის არ იყო ცნობილი. რაც შეეხება სპორტს, ცკ-ას თანამშრომელთა შორის ამის შესა-ხებ ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. ნუგზარ ენდელა-ძემ ცენტრალურ კომიტეტში რომ დაიწყო მუშაობა,

ნუგზარ ენდელაძე სპორტის მუშაკებთან და სპორტულ ჟურნალისტებთან

იქ სულ მალე დაუჯერებელი ამბავი მოხდა. ცენ-ტრალურ კომიტეტში, შენობის პირველ სართულზე საკმაოდ დიდი დარბაზი იყო. ნუგზარის თაოსნო-ბით შეიქმნა რამდენიმე გუნდი მინიფეხბურთსა და კალათბურთში, რომლებიც ყოველ პარასკევსა და შაბათს ოლიმპიური სისტემით მართავდნენ მატჩებს. პირველად რომ ეხამუშებოდათ, მერე და მერე ცკ-ას თანამდებობის პირები ხალისით მიდიოდნენ დარ-ბაზში და სიხარულით ელოდნენ კვირის დათქმულ დღეებს. მთელი ცკ-ას შემადგენლობა ესწრებოდა ამ შეჯიბრებებს. ნუგზართან ერთად კარგი თამა-შით გამოირჩეოდნენ: ვაჟა გურგენიძე, ალიკა იოს-ელიანი, ზაზა დარასელი, ზვიად გოცირიძე, ბორის ცერცვაძე, გოდერძი ბუკია, რობერტ ღარიბაშვილი... ასე რომ, ნუგზარმა ცკ-ში ერთგვარი სიჯანსაღე და სიხარულიც შეიტანა.

„კაცი იყავ კაცური და საღაც გინდა იქ ილოცე“

კომუნისტური ხელისუფლების დროს რთული იყო ახალგაზრდა კაცის მოხვედრა მმართველობაში. ას-ეთებს ძნელად ენდობოდნენ. საოცარია, რომ ნუგ-ზარი ძალზე ახალგაზრდა მოხვდა ხელისუფლებაში.

მან იცოდა სხვების მოსმენა, ბევრს კითხულობდა. სანამ რაიმე საქმეს წამოიწყებდა, წინასწარ ყველა-ფერს აწონ-დაწონიდა, ძირფესვიანად გაეცნობოდა ამა თუ იმ საკითხს და ამის მერე იწყებდა მოქმედე-ბას. უკან დახევა არ უყვარდა. ზნეობრივად ფაქიზი, სულიერად ამაღლებული, კაცთმოყვარე და შრომის-მოყვარე იყო, ამიტომაც სჯეროდათ მისი.

სულით ხორცამდე ქართველი იყო. მასთან ყველა დადებითად იმუხტებოდა. სითბოს აფრქვევდა ირგვლივ. კომუნისტურ წარსულს დღეს უარყოფითად ვაფასებთ, მაგრამ მაშინდელ მმართველობაშიც იყვნენ ისეთი კაცური კაცები, როგორიც იყო ნუგზარ ენდელაძე, რომელზედაც ზედგამოჭრილია ლადო ასათიანის ლექსის სტროფი: „კაცი იყავ კაცური და სადაც გინდა იქ ილოცე“. ნუგზარ ენდელაძის სალოცავი საქართველო და საკუთარი ოჯახი იყო...

ედელვაისი

ენდელაძეები ბაღდათიდან არიან. ზოგიერთი გადმოცემით, ეს გვარი ბენდელიანებიდან, ანუ სვანეთიდან მოდის.

ნუგზარის სპორტში მოღვაწეობის დროს ენდელა და ედელვაისი დაუკავშირეს ერთმანეთს. ზოგიერთმა ნუგზარს ედელვაისიც კი შეარქვა. ედელვაისი ხომ ყვავილია.

ერთხელ, საქართველოს სპორტის თავკაცობისას, ნუგზარ ენდელაძე საქართველოს მოჭიდავეთა გუნდს ახლდა საერთაშორისო ტურნირზე. სპორტსმენებისა და მწვრთნელებისათვის საზრუნავი რომ შეემსუბუქებინა, ხახვის ფცქვნა და კარტოფილის თლა დაიწყო. ამ სურათის შემხედვარე გუნდის მწვრთნელები გაოგნებულნი დარჩნენ, სამსახურში ასეთი მომთხოვნი და პრინციპული, ნუთუ ეს ის ნუგზარ ენდელაძეაო, ეკითხებოდნენ ერთმანეთს.

ნუგზარ ენდელაძე ზოგჯერ რაღაცით მართლაც ჰგავდა მთის მიუწვდომელ ედელვაისს, მაგრამ იმ

განსხვავებით, რომ ის ახლოს იყო ყველასთან, ვისაც კარგი საქმის გაკეთების და მეგობრების სიყვარულის უნარი ჰქონდა.

სიახლე პირველივე ღღეებიდან

ნუგზარი ზოგჯერ მოვლენებს წინ უსწრებდა. საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარედ რომ დანიშნეს 1986 წელს, მან ექსპერიმენტის სახით შექმნა მძლეოსნობისა და ველოსპორტის ე. წ. ცენტრები და ფედერაციებს გადასცა. ეს იმას ნიშნავდა, რომ სპორტის ცალკეულ სახეობებს მან ჯერ კიდევ მაშინ მისცა მეტი დამოუკიდებლობა. იმავე წელს ნუგზარის ინიციატივით შეიქმნა ფიზკულტურის ინსტიტუტთან (ამჟამად სპორტის უნივერსიტეტთან) არსებული ბავშვთა და მოზარდთა ექსპერიმენტული სასპორტო სკოლა, რაც სპორტულ ორიენტაციაში ეხმარებოდა უმცროსი ასაკის ბავშვებს. ამ სკოლის სტრუქტურა და წესდება თავად ნუგზარმა ჩამომიტანა გერმანიიდან. იქ კი ბავშვთა სპორტი ყოველთვის სათანადო დონეზე იყო და არის...

ოთხთა კავშირი

ჯერ კიდევ არსებობდა საბჭოთა იმპერია, როცა საქართველოში გაჩნდა ოლიმპიური კომიტეტის შექმნის იდეა. ამ წამოწყების მოთავე იყო ნუგზარ ენდელაძე. მან პირველად 1989 წლის მაისში ლატვიაში კონსულტაციისთვის მიავლინა სპორტის გამოცდილი მუშაკი დავით კინწურაშვილი, რომელმაც ქალაქ რიგიდან ოლიმპიური ქარტიის ტექსტი

ჩამოიტანა. მალე საინიციატივო ჯგუფიც შეიქმნა (ხელმძღვანელი თენგიზ გაჩეჩილაძე), რომელმაც დაიწყო დამფუძნებელი კონფერენციისათვის მზადება.

შეიძლება არ იყოს ყველასათვის ცნობილი, რომ იმ დროს ნუგზარ ენდელაძე ხელისუფლებისგან მკაცრ ზეწოლას განიცდიდა, მაგრამ უკან მაინც არ იხევდა. ის წინ იყურებოდა. ადრე განჭვრიტა ეოკ-ის შექმნის აუცილებლობა.

1989 წლის 18 ივლისს, რიგასთან ახლოს, ქალაქ ელგავაში მოეწყო ბალტიისპირეთის ქვეყნების ლატვიის, ლიტვის, ესტონეთის და საქართველოს ოლიმპიური მოძრაობის საკონსულტაციო ჯგუფის შეხვედრა. მიღებულ დეკლარაციას ხელი მოაწერეს ოთხივე რესპუბლიკის სპორტის ხელმძღვანელებმა. (იხ. ჩანართი). ბალტიელებს დაუჯერებლად მიაჩნდათ რიგაში ნუგზარის ჩასვლა და ამ დოკუმენტზე ხელის მოწერა. დასკვნით ზეიმზე ქართველების სითამამით აღფრთოვანებული იყვნენ ბალტიისპირელები. ნუგზარ ენდელაძის მეუღლეს ქალბატონ ტატა ძიძიგურს ლატვილებმა უთხრეს, თქვენი მეუღლე ნამდვილი გმირიაო! საქართველომ ხომ ყოფილ სსრკ-ში პირველმა შექმნა ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი (ბალტიისპირელებმა, უბრალოდ, ის აღადგინეს, 40-იან წლებში მათ ჰქონდათ ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი).

ნუგზარ ენდელაძე ერთი საოცარი თვისებით გამოირჩეოდა, რომელიც არცთუ ისე ბევრს ახასიათებს: ინიციატივას გამოიჩენდა, საქმეს ბოლომდე მიიყ-

ვანდა და მერე ჩრდილში დგებოდა, სხვას უთმობდა ასპარეზს. როცა ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველი პრეზიდენტის არჩევის საკითხი დადგა, წინ ნონა გაფრინდაშვილის ღირსება დააყენა.

19 „ოქრო“

საბჭოთა იმპერია ისტორიის კუთვნილებაა, მაგრამ სსრკ ჩემპიონი ან პრიზიორი ნებისმიერი სპორტის სახეობაში საკმაოდ დიდი სპორტსმენია. მათ ყოველთვის გავიხსენებთ და შევიტანთ სპორტულ ცნობარებსა თუ ენციკლოპედიებში. სსრ ხალხთა სპარტაკიადები კი გაცილებით გრანდიოზული ასპარეზობები იყო. ამიტომ იქ მოპოვებულ მედლებს მეტი ფასი ჰქონდა.

1986 წლის ზაფხულში, როცა ნუგზარ ენდელაძე ერთი წლის მოსულიც არ იყო საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარედ, საქართველოს სპორტსმენებმა სსრკ ხალხთა IX სპარტაკიადაზე ოქროს მედლების მანამდე არნახული რაოდენობა მოიპოვეს – 19. ეს წარმატება, რა თქმა უნდა, სპორტსმენებმა გამოჭედეს, მაგრამ მის განხორციელებაში საქართველოს სპორტსახკომის მაშინდელი თავმჯდომარის დიდი წვლილი რომ იყო, ესეც უდავოა.

სპორტის თავკაცი ყურადღებას აქცევდა სპორტის თემაზე შექმნილ სამეცნიერო ლიტერატურას. სპორტსახკომის კოლეგიების სხდომებზე მწვრთნელებს ისეთ ნიუანსებს ეკითხებოდა მათი სამწვრთნელო საქმიანობიდან, აშკარა იყო, რომ ის სპორტულ-მეცნიერულ ლიტერატურას კარგად იცნობდა. ხოლო

მწვრთნელები ერთობ ძნელად პასუხობდნენ თავ-მჯდომარის კითხვებზე.

ნუგზარი განსაკუთრებით აფასებდა იმ ხალხს, ვი-საც სპორტში სერიოზული მეცნიერული რეკომენ-დაციების მიცემა შეეძლო სპორტსმენისთვის.

სპორტის მუშაკს რასაც დაავალებდა, იმ საქ-მეს აუცილებლად გააკეთებინებდა. ზედაპირულად და ზერელედ საქმეს არ მიუდგებოდა. მას შეეძლო „გუნდის“ შექმნა, რომელთანაც ყოფნა სიამოვნებას ანიჭებდა. „გუნდიც“ ცდილობდა მაქსიმუმი გაეკეთ-ებინა და შედეგებიც კარგი იყო.

ლიგაში თბილისს ეძებდნენ...

სპორტში ნუგზარ ენდელაძის თავკაცობისას ბევრი რამ იყო პირველი. მაგალითად, 1990 წლის მარტში პერუს დედაქალაქმა ლიმამ ტრადიციულ კარატეში მსოფლიოს მეხუთე ჩემპიონატს უმასპინძლა. ჯერ კიდევ სსრკ-ში შემავალი ერთადერთი რესპუბლიკა საქართველო, პირველად წარსდგა დამოუკიდებელი გუნდით ამ ჩემპიონატზე. მაშინ ჩვენი ქვეყნის შე-სახებ პერუში თითქმის არაფერი იცოდნენ, ისინი კარგა ხანს ეძებდნენ რუკაზე საქართველოსა და მის დედაქალაქს.

პერუს დედაქალაქში კარატისტთა ჩემპიონატის გახსნის წინა დღეს, 1990 წლის 9 მარტს, ტრადი-ციული კარატეს საერთაშორისო ფედერაციის კონ-გრესი გაიმართა, რომელმაც საქართველოს ტრადი-ციული კარატეს ფედერაცია მიიღო საერთაშორისო ფედერაციის ასოცირებულ წევრად, რაც პრაქტიკუ-

ლად არ განსხვავდება ნამდვილი წევრობისაგან.

საქართველოს ტრადიციული კარატეს ფედერაცია პირველი იყო, რომელიც გაერთიანდა საერთაშორისო ფედერაციაში, რასაც სირთულეები ახლდა თან. საჭირო გახდა მაშინდელი სსრკ-ის და საქართველოს კონსტიტუციების მუხლების მოშველიება და ა. შ. მაგრამ ყველაზე დადებითი გავლენა ჩვენების გაწევრიანებაზე იმოქმედა კონგრესის დღეს ლიმაში თბილისიდან საქართველოს სპორტსახკომის თავმჯდომარის ნუგზარ ენდელაძის საგანგებო ვიზიტმა. მან ყველა ღონე იხმარა, რომ პირველად ქართული სპორტი დამოუკიდებლად ეღიარებინათ. ის ლიმაში შეხვდა ტრადიციული კარატეს საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტს, ლეგენდარულ პოდეტაკა ნიშიამას.

ქართული დროშა აფრიკაში

1990 წლის 11 აპრილს, ასევე პირველად ქართული სპორტის ისტორიაში, ამჯერად სპორტის სათამაშო სახეობაში, საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრები საზღვარგარეთ მართავს საერთაშორისო მატჩს ეროვნული გუნდების დონეზე. ეს მოხდა შორეულ აფრიკაში ზიმბაბვეს (ყოფილი სამხრეთ როდეზია) დედაქალაქ ჰარარეში. ჩვენმა მორკინალებმა იქ ოთხი მატჩი გამართეს. მანამდე ზიმბაბვეს ნაკრები 1989 წლის 12 სექტემბერს ქუთაისში პირველად შეხვდა საქართველოს ნაკრებს (ჩვენმა 16:3 გაიმარჯვეს).

ზიამბაბვე პირველი ქვეყანაა, რომელთანაც სა-

ქართველოს მორაგბეებმა ურთიერთობა დაამყარეს სპორტის დამოუკიდებლობის გზაზე.

აფრიკაში ჩვენი დელეგაციის გამგზავრებას, რა თქმა უნდა, ბევრი წინააღმდეგობა ახლდა თან. ნაკრებს გაჰყვა საქართველოს სპორტსახკომის თავმჯდომარე, ყოფილი მორაგბე – ნუგზარ ენდელაძე, რომლის მიზანი იყო საქართველოს გაწევრიანება რაგბის საერთაშორისო საბჭოში (ირბ). დადგა სანუკვარი დღეც. საქართველოს სპორტის თავკაცი შეხვდა იმ დროს ირბ-ის ხელმძღვანელობაში ყველაზე გავლენიან პიროვნებას, სამხრეთ აფრიკის რაგბის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს, პროფესორ ფრიც ელოფს. ეს ის დრო იყო, როცა მოსკოვი ყოველგვარი ხერხით ცდილობდა საქართველოს სპორტული დამოუკიდებლობის შეჩერებას.

პროფესორი ელოფი განცვიფრდა, როცა ნუგზარ ენდელაძემ წინ დაუდო სსრკ კონსტიტუციის ინგლისური გამოცემა და იმ მუხლებზე მიუთითა, რომლებიც მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენულ უფლებებს ეხებოდა. ქართული სპორტის თავკაცს არც ლიმაში ტრადიციული კარატეს საერთაშორისო ორგანიზაციაში საქართველოს გაწევრიანების დამადასტურებელი დოკუმენტი დავიწყებია. მან პროფესორ ელოფს რაგბის საკავშირო ფედერაციასთან ჩვენი ხელშეკრულების ასლიც გადასცა. „ეს ჩემთვის უცნობი იყო“, – იმეორებდა პროფესორი.

1990 წლის 31 იანვარის საქართველოს სპორტსახკომისა და საქართველოს რაგბის კავშირის ერთობ-

ლივი სხდომის დადგენილებით, 1990 წლიდან საქართველო მხოლოდ ეროვნულ ჩემპიონატებს გამართავდა. დადგენილებას ხელს ნუგზარ ენდელაძე და ალეკო გოცირიძე აწერდნენ.

ზიმბაბვეში ჩასულებს აფიშებზე საქართველოს გასწვრივ წარწერა „სსრკ“ რომ დახვდათ, სანამ „სსრკ“ არ წააშლევინეს, მანამდე არ დათანხმდნენ თამაშს. თან შორეულ აფრიკაში საქართველოს სამფეროვანი დროშაც ააფრიალეს. ზიმბაბვეში საბჭოთა საელჩოს დიდი წნეხის მიუხედავად, ქართველებმა თავისი გაიტანეს. ოფიციალური დელეგაციის ხელმძღვანელის ნუგზარ ენდელაძის მხრიდან ეს ქმედება მაშინ ერთობ თამამი ნაბიჯი იყო. მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა ჩვენს შინდისფერ დროშას ხედავდა შორეული აფრიკის სტადიონზე.

გაიხარა, როცა ჩვენმა ბიჭებმა აფრიკელებს მათ მოედანზეც აჯობეს.

სულით სპორტსმენი

საქართველოს სპორტსახკომის ხელმძღვანელად რომ დანიშნეს, საკუთარი კაბინეტი სავარჯიშო იარაღებით გააწყო. ყოველ სამუშაო დღეს სწორედ ამ იარაღებზე ვარჯიშით იწყებდა.

ვაკეში სტუდქალაქის სტადიონზეც ყოველ დღე დარბოდა. საკუთარ ბინაშიც ჰქონდა სავარჯიშო დანადგარები. თავისუფალ დროს ყოველთვის ვარჯიშობდა. იქ დღესაც არის ეს იარაღები...

1988 წელს, სეულის ზაფხულის XXIV ოლიმპიური თამაშების დროს ოლიმპიურ სოფელში ყველას ეძ-

ინა ხოლმე, როცა ნუგზარ ენდელაძე სისხამ დილით უკვე ნავარჯიშები ბრუნდებოდა სასტუმროში. სპორტკომიტეტის თავმჯდომარის გატაცებას რომ შეხედეს, დელეგაციის ზოგიერთმა წევრმა ნელ-ნელა დაიწყო დილაობით გამამხნევებელი ვარჯიშები.

ნუგზარ ენდელაძე სულით სპორტსმენი იყო, ასეთად დარჩა ბოლომდე. მას ხშირად უხდებოდა სხვადასხვა ქვეყანაში ჩვენს სპორტსმენებთან ერთად ცხოვრება. ყოველთვის ცდილობდა, ეცხოვრა ისეთ სასტუმროში, რომლის ახლოს იქნებოდა სავარჯიშო ადგილები პარკი, სტადიონი, საცურაო აუზი და ა. შ.

ხშირად გვინახავს ცხენით მოჯირითეც.

ნუგზარი ყოველთვის ცდილობდა სპორტსმენების გვერდში მდგარიყო. ერთხელ საქართველოს მოჭიდავეები გერმანიაში მიემგზავრებოდნენ. გზად მოსკოვში შეჩერდნენ. ერთი საწვრთნელი შეხვედრა იქაც დაგეგმეს. ამ დროს ნუგზარს სტუმრები ჰყავდა სასტუმროში. მათ თავაზიანი ბოდიში მოუხადა და ქართველ ფალავნებს დაესწრო ვარჯიშზე...

სპორტის ხელმძღვანელის ასეთი ყურადღება სპორტსმენებს სტიმულს მატებდა და ორთაბრძოლებში ისინი საუკეთესო შედეგებს აღწევდნენ.

გარჯის ფასი

სამი წელიწადი სპორტული წარმატების მისაღწევად არც ისე დიდი დროა, მაგრამ მიზანმიმართულ და გააზრებულ შრომას სამ წელიწადშიც შეუძლია მოგვცეს შედეგი.

მარცხნიდან: მაია ჩიბურდანიძე, ნუგზარ ენდელაძე, ნანა გაფრინდაშვილი, ელენე ახმეტილოვკაია

1988 წელს კორეაში (სეული) ზაფხულის XXIV ოლიმპიური თამაშების გამართვამდე სამი წლით ადრე დაინიშნა ნუგზარ ენდელაძე საქართველოს სპორტის თავკაცად.

ოლიმპიადისათვის მზადებას წინ უძღოდა მომქანცველი შრომა. მათ შორის სპორტსახკომის თავმჯდომარისაც, ხშირად ღამის ორ-სამ საათზე სამუშაო კაბინეტში იჯდა და მუშაობდა. ეს მისთვის ჩვეულებრივი ამბავი იყო. შინ რომ დაბრუნდებოდა, წესისამებრ, აუცილებლად გააგრძელებდა რომელიმე წიგნის კითხვას. დილით კი ისევ ვარჯიში და მერე საქმე...

მწვრთნელს, სპორტკომიტეტის მუშაკს, ან რომელიმე სპორტსაზოგადოების ხელმძღვანელს რომ რამეს დაავალებდა, მერე იმ დავალების შესრულებას

ბოლომდე აკონტროლებდა. ასე რომ, ყველანი მობილიზებულნი იყვნენ.

ნუგზარმა ყველა წამყვანი სპორტსმენის ოჯახური პირობები იცოდა. ყოველ შემთხვევაში, ცდილობდა სპორტსმენებს ყოფითი პრობლემები არ ჰქონოდათ, რომ მაღალი სპორტული შედეგები ეჩვენებინათ საქართველოს სასახელოდ.

სეულის ოლიმპიადაზე საქართველოს ათლეტებმა ხუთი ოლიმპიური ოქროს, სამი ვერცხლისა და ხუთი ბრინჯაოს მედალი (39,23 ქულა) მოიპოვეს. ბრწყინვალე შედეგი იყო. ყოფილი სსრკ-დან საქართველომ (სსრკ ხალხთა სპარტაკიადებში მონაწილეთაგან) აჯობა უზბეკეთს, ლენინგრადს, ლიტვას, სომხეთს, ლატვიას, ესტონეთს, მოლდოვას, აზერბაიჯანს, ყირგიზეთს, ტაჯიკეთს და თურქმენეთს.

16 ოლიმპიელი და 12 მედალი – ასეთი იყო ჩვენი სპორტსმენების მონაგარი სეულში. ეს იყო ფანტასტიკური შედეგი საქართველოსათვის!

სეულში ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ: ტყვიის მსროლელი ნინო სალუქვაძე, თავისუფალი სტილის მოჭიდავე დავით გობეჯიშვილი, მოფარიკავე ვლადიმერ აფციაური, ტანმოვარჯიშე ლადო გოგოლაძე და ფეხბურთელი გელა კეტაშვილი. ვერცხლის მედლებს დაეუფლნენ: თავისუფალის ტილის მოჭიდავე ლერი ხაბელოვი და მსროლელი ნინო სალუქვაძე, ბრინჯაოს: ძიუდოისტები გიორგი თენაძე, ამირან ტოტიკაშვილი, მძლეოსანი მაია აზარაშვილი, ხუთჭიდელი ვახტანგ იაგორაშვილი და წყალბურთელი მიხეილ გიორგაძე.

საქართველო რომ სეულში ცალკე ოლიმპიური გუნდით გამოსულიყო, არაოფიციალურად მეცამეტე ადგილს დაიკავებდა(!). ჩვენებმა აჯობეს ავსტრალიას, იუგოსლავიას, იაპონიას და სხვა დიდ ქვეყნებს.

ნუგზარ ენდელაძის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ჩვენი მოწინავე სპორტსმენების სსრკ ოლიმპიურ ნაკრებში მოხვედრა. მოგეხსენებათ, როცა ორი თანაბარი სიძლიერის სპორტსმენი ერთი ადგილის მოსაპოვებლად აცხადებდა პრეტენზიას, ყოფილი „უფროსი ძმები“ უპირატესობას თავისიანებს აკუთვნებდნენ... ნუგზარ ენდელაძე ის კაცი იყო „კბილებით“ რომ იცავდა ქართველ სპორტსმენებს. სეულის XXIV ოლიმპიური თამაშები ერთგვარი ეპოპეა იყო საქართველოს სპორტსმენებისთვის. ამ დიდმა გამარჯვებამ დიდი სიხარული მოუტანა საქართველოს სპორტის თავკაცს ნუგზარ ენდელაძეს და მთლიანად ქართველ გულშემატკივრებს.

ქართული სპორტის დამოუკიდებლობისათვის

ნუგზარი ერთადერთი ყველაზე ახალგაზრდა სპორტკომიტეტის თავმჯდომარე იყო. მოვიდა თუ არა სპორტის ხელმძღვანელად, მალე სპორტსმენებს სტიპენდიები მოუმატა. იმავდროულად დაიწყო კლუბურ სისტემაზე გადასვლა. წელიწადში 50-60 ავტომანქანას ურიგებდნენ მოწინავე სპორტსმენებს. ხოლო 15 სპორტსმენი ან მწვრთნელი საცხოვრებელი ბინით კმაყოფილდებოდა.

ნუგზარის სპორტსახკომის თავმჯდომარეობისას დაიწყო ფიზკულტურის ინსტიტუტის სამდარბაზი-

ანი კომპლექსის (ამჟამად იქ საქართველოს სპორ-
ტის სახელმწიფო დეპარტამენტია) და ვარკეთილის
სპორტკომპლექსის მშენებლობა.

მის დროს გაკეთდა დიდი ეროვნული საქმე – ორ-
ჯერ გაიმართა საერთაშორისო ტურნირი ქართულ
ჭიდაობაში. სამწუხაროდ, შემდგომში ამ წამოწყებას
გაგრძელება აღარ მოჰყოლია...

ნუგზარმა ბევრი იზრუნა ახალი სპორტის სახეობ-
ის ფრისტაილის საქართველოში დანერგვაზე.

სპორტსახკომის თავმჯდომარემ, თავისი ავტორი-
ტეტის წყალობით, 1988 წელს ქართველ მოჭიდავე-
ებს მცხეთის რაიონის სოფელ წოდორეთში ყოფილი
სატყეო-კვლევითი ინსტიტუტის ოთხსართულიანი
შენობა გადასცა საწვრთნელი შეკრებებისათვის. მა-
ლე იქ კეთილმოწყობის სამუშაოებიც დაიწყო, მაგ-
რამ ცნობილი მოვლენების შემდეგ, ეს ბაზა მოჭი-
დავეებისთვის, უბრალოდ დაიკარგა...

ნუგზარ ენდელაძის დროს ქართულ ჭიდაობაში გა-
მარჯვებულ აბსოლუტურ ფალავანს ჟურნალისტები
წლის 10 საუკეთესო სპორტსმენთა შორის ასახელებ-
დნენ, რაც ამაღლებდა ქართული ჭიდაობის პრესტიჟს.

სპორტის თავკაცი თანაბარ ყურადღებას აქცევდა
ყველა სახეობას. მისი თავმჯდომარეობის პერიოდში
საქართველოს ფეხბურთელთა პირველობაზე სხვა-
დასხვა ჯგუფში სარეკორდო 148 გუნდი მონაწილე-
ობდა. ისეთ რაიონებშიც კი ჩამოყალიბდა გუნდები,
სადაც ადრე საერთოდ არ ჰყოლიათ. კერძოდ, ყაზ-
ბეგში, ჯავაში, ცაგერში, ამბროლაურში. ე. წ. „გარ-
დამავალი ასაკის“ 2 გუნდიც შეიქმნა, რომ ნიჭიერი

ფეხბურთელები არ დაკარგულიყვნენ. ახმეტასა და თუშეთშიც შექმნეს გუნდები. ქედის რაიონმა მაშინ პირველად გამოიყვანა ფეხბურთის გუნდი... ფეხბურთის მსაჯების ფიზიკური შეურაცხყოფისთვის პირველად გადაეცა საქმე სასამართლოს... ნუგზარ ენდელაძის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ქართული ფეხბურთის გამოსვლა სსრკ ჩემპიონატიდან და ეროვნულ ჩემპიონატში სოხუმისა და ცხინვალის გუნდების მონაწილეობა.

1990 წლის ივლისში ნუგზარ ენდელაძის ინიციატივით გამოცხადდა სპორტსახკომის და, საერთოდ, ქართული სპორტის სრული დეპოლიტიზაცია.

ჩვენმა ცხენოსნებმა პორდუბიცეს მეასე საიუბილეო სტიპლჩეიზში მიიღეს მონაწილეობა. ესეც ქართული სპორტის დამოუკიდებლობის გზაზე გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი იყო.

სპორტსახკომის ორგანო გაზეთი „ლელო“ დამოუკიდებელი გახდა სარედაქციო საქმიანობაში.

ნუგზარ ენდელაძემ ძალ-ღონე არ დაიშურა, რომ ჩვენი „თეთრი მარგალიტი“ ბაკურიანს მიეღო ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის უფლება. ოთხმოციანი წლების მეორე ნახევარში ყოფილი სსრკ- დან ოლიმპიადის სამი კანდიდატი დასახელდა ბაკურიანი, სოჭი და ალმა-ატა. აქედან კი ერთ-ერთი უნდა გასულიყო საერთაშორისო კონკურსში. საქართველომ ამ საკითხთან დაკავშირებით არაერთ კომისიას უმასპინძლა. თითქოს ყველას მოსწონდა ბაკურიანი 1998 წლის ზამთრის ოლიმპიადის სსრკ-დან ერთადერთ კანდიდატად, მაგრამ სწორედ მაშინ

გიორგი გედინეიშვილთან

იყო მძლავრი სწრაფვა ქართული სპორტის დამოუკიდებლობისაკენ და მოსკოვმა ეს არ გვაპატია. ბაკურიანის ნაცვლად ზამთრის ოლიმპიადის მასპინძლად სოჭს გაუწია რეკომენდაცია. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, იმ დროს ეს იყო სასაცილო ამბავი.

ოთხმოციანი წლების მეორე ნახევარში ინტენსიურად დაიწყო ზამთრის სპორტის მეორე ცენტრის, გუდაურის მოწყობა. ფოთში გაიმართა ევროპის ჩემპიონატი წყალსათხილამურო სპორტში.

ნუგზარ ენდელაძის თაოსნობით ქართულ სპორტში ბევრი სასიკეთო ნაბიჯი გადაიდგა, რომელი ერთი გავიხსენოთ...

სამტროდ მოსულსა სტუმარსა...

1987 წელი იყო. „ცენტრიდან“ თბილისში „დამსჯელი“ ბრიგდა გამოგზავნეს ორთაბრძოლების სამმართველოს უფროსის, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის, გენადი საპუნოვის მეთაურობით. მოსკოვს რატომღაც საქართველოს მოჭიდავეთა ნაკრები გუნდების ხელმძღვანელთა დასჯა ეწადა. საქართველოს სპორტსახკომის თავმჯდომარემ, ერთობ თბილად მიიღო სტუმრები და მათი თანდასწრებით მოსკოვში საკავშირო სპორტსახკომის ხელმძღვანელობას ტელეფონით ესაუბრა. თან მადლობა გადაუხადა ასეთი საპატიო სტუმრების თბილისში ჩამობრძანებისა და დახმარებისთვის. „დამსჯელი“ ბრიგადა ამ ტაქტიანი ჟესტით სახტად დარჩა. დახმარება კი მართლაც აღმოგვიჩინეს – ნორმის ზევით გამოუგაზვნეს ჩვენს მოჭიდავეებს საჭიდაო ლეიბები და სპორტული ტანსაცმელი. ასე შეეძლო ნუგზარს სამტროდ მოსული კაცი მოყვარედ მოეკიდა.

კაცობაში ჩემპიონი იყო

ნუგზარს ერთი მეტად კეთილი თვისებაც ჰქონდა – ერთგვარი ხიდი იყო მეგობრებს შორის. სკოლის, ინსტიტუტის, სპორტის, სამსახურის მეგობრები ერთმანეთს გააცნო და დააახლოვა. მოსიყვარულე კაცი იყო და მეგობრების უზარმაზარი წრეც ჰყავდა. მის არაერთ მეგობარს, რა თქმა უნდა, დღესაც ახლო ურთიერთობა აქვს ნუგზარის ოჯახთან. ვინმეს რომ გაუჭირდებოდა, მზად იყო, თუნდაც შუაღამისას დადგომოდა მას თავზე. მორიდებული და წესი-

სპორტის მუშაკებთან

ერი კაცი იყო, უღალატო, საოცრად კარგი მანერებით, ელეგანტურად იცვამდა, ხმის საუცხოო დიქცია ჰქონდა, დაბალ ხმაზე ლაპარაკობდა. კაცობაში ნამდვილი ჩემპიონი იყო, საოცრად უყვარდა ბავშვები, იყო სამართლიანი პიროვნების შეფასებისას.

ერთხელ, სასიკვდილოდ განწირულ მეგობარს მკერდით გადაეფარა და თვითონ მიიღო მძიმე ტრავმა. ამის გაკეთება ნუგზარის მსგავს რაინდებს შეუძლიათ მხოლოდ.

მრავალჟამიერი როკფელერის სასახლეში

ოჯახში შესაშვები კაციაო, ამბობდნენ ნუგზარ ენდელაძეზე. ერთადერთი, რაშიც თავის ავტორიტეტს იყენებდა, ის იყო, რომ თამამად იშვიათად დგებოდა. თუმცა, სუფრიდან ადრე ამდგარი არავის უნახავს. ქართული სუფრის ადათ-წესი ზედმიწევნით იცოდა. თუ დაითანხმებდნენ და თამადობას გასწევდა, იმ სუფრაზე ყოფნა ზეიმი იყო. ერთი ასეთი ზეიმი სიეტლში (აშშ) 1990 წელს როკფელერების კარმიდამოშიც მოეწყო. დიახ, იმ წელიწადს სიეტლში „კეთილი ნების მსოფლიოს თამაშები“ გაიმართა.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ საქართველოში (სოხუმში) ნამყოფ მილიონერ როკფელერთა ერთადერთ წარმომადგენელს ქართული კერძები მონატრებია. შეუტყვია, რომ „კეთილი ნების თამაშებზე“ ერთი ქართველი ქალბატონი ყოფილა. იგი შინ მიუპატიჟია და ჩახოხბილის მომზადება უთხოვია. ჩახოხბილთან ერთად ჩვენებურმა ხინკალი, მწვადი, შქმერული და ხაჭაპურიც მიართვა სუფრაზე. როკფელერის ზღაპრულ სასახლეში დილამდე ისმოდა თურმე ქართული მრავალჟამიერი, სუფრას ნუგზარ ენდელაძე უძღვებოდა. როკფელერების ოჯახი და ახლობლები აღფრთოვანებას ვერ ფარავდნენ. ყოჩაღ, ქართველებო! – იძახდნენ თურმე ამერიკელები. ნუგზარმა მრავალისმნახველი როკფელერებიც კი მოაჯადოვა თავისი უზადო ქცევით და სიდარბაისლით.

სახელი ნათელი კაცისა

ნუგზარი პატრიოტი კაცი იყო. ქართული ენის, განსაკუთრებით კი სპორტული ტერმინოლოგიის სიწმინდისათვის იღვწოდა.

ოთხმოციანი წლების პირველ ნახევარში კვლავ ძალუმად დაიწყო საქართველოში რუსიფიკაციის პოლიტიკა. ქართველების მოძულე ლიგაჩოვის თბილისში ვიზიტის შემდეგ, საშუალო სკოლებში გაიზარდა რუსული ენის საათები, რედაქციებს რუსული დუბლის გამოცემაც დაავალეს, „ნორჩ ლენინელსაც“ კი („იუნი ლენინეც“). მხოლოდ ქართული სპორტული გაზეთი „ლელო“ დარჩა უდუბლოდ.

ამ საქმეში კი ნუგზარ ენდელაძემ გაზეთის მთავარ რედაქტორ თენგიზ გაჩეჩილაძესთან ერთად გამოიჩინა სიმტკიცე და შეუვალობა.

ნუგზარი ახალი დანიშნული იყო სპორტსახკომის თავმჯდომარედ. სამსახურში სადღეღამისო მორიგეობა იყო შემოღებული. ცკ-დან სპორტში მოსულ კაცს რიდის თვალით უყურებდნენ. ერთხელ, რეკავს ნუგზარი სპორტსახკომის ახალგაზრდა მორიგესთან. „დეჟურნი“ გისმენთო, უპასუხა. იმავე საღამოს გვიან დაბრუნდა ნუგზარი თავის კაბინეტში და ახალგაზრდა თანამშრომელს უთხრა: „ყმაწვილო, იცოდე, შენ მორიგე ხარ და არა „დეჟურნი“. ის დიდ პატივს სცემდა ქართულ ენას, თუმცა, რუსული ენაც ჩინებულად იცოდა.

ამაგიანი კაცი იყო ნუგზარი. ვისაც სპორტში ერთი წვეთი ოფლი დაუღვრია და ნუგზარ ენდელაძეს იცნობდა, ის ამ სახელსა და გვარს ვერასდროს და-

ივიწყებს. ანდამატივით იზიდავდა ყველას, ოღონდ სპოტსმენს გაემარჯვა და ეს იყო ნუგზარისთვის ყველაფერი. ნამდვილი კოლორიტი იყო, ზურგს უკან არასდროს იტყოდა ვინმეზე აუგს, მორცხვი ღიმილის პატრონი, მოსიყვარულე მამა და ერთგული მეუღლე გახლდათ. უბრალოდ, ეს იყო ნუგზარ ენდელაძე, რომელიც დააკლდა არა მარტო მის დიდ საახლობლო წრეს, არამედ მთლიანად საქართველოს. დარჩა სპეტაკი სახელი და ღირსება ნათელი კაცისა.

უკვდავყოფა

ნუგზარ ენდელაძის ამქვეყნიდან წასვლის შემდეგ მისი სახელი ეწოდა ერთ-ერთ ქუჩას მის მშობლიურ ბაღდათში, მოედანს და სკვერს თბილისში ჭავჭავაძის პროსპექტის ბოლოს (ვაკის სასაფლაოსთან).

საქართველოს სპორტის აკადემიასა და ტექნიკურ უნივერსიტეტში დაწესდა ნუგზარ ენდელაძის სახელობის სტიპენდია, ხოლო სახლს ყიფშიძის ქუჩაზე, სადაც იგი ბოლო წლებში ცხოვრობდა, გაუკეთდა მოქანდაკე გია ჯაფარიძის მიერ შესრულებული მემორიალური დაფა.

ნუგზარის სახელს დიდი სიყვარულით ინახავს მისი სათნო და მოსიყვარულე მეუღლე თინათინ (ტატა) ძიძიგური-ენდელაძისა, შვილები – თეა და ვახტანგი, სიძე – სებასტიან ჯონსტონი, რძალი – ინო ინასარიძე, ნუგზარის და ნანა, შვილიშვილები დავით ენდელაძე, ელუის-სალომე ჯონსტონი, თინათინ ენდელაძე. მეგობრებისა და ნათესავების დიდი წრე.

ყრმობა, ოჯახი, შვილები, შვილიშვილები...

დედასთან





ნუგზარი და მისი დედ-მამა - ლელა და შალვა

მამასთან ერთად

ნუგზარის და ტატას პედნიერი
დღეები

მეუღლესთან თინათინ (ტატა)
ძიძიგურთან ერთად

შვილებთან

მეუღლესთან და შვილებთან

ЕНІНІЗМ

ტატა

თეა და ვახტანგი

თეა და ვახტანგი

სეგი და თეა

ვახტანგი და ნინო

ვახტანგი

მარცხნიდან: სებასტიან ჯონსტონ (სიძე), თეა ენდელაძე,
ნინო ინასარიძე (ვახტანგის მეუღლე), ვახტანგ ენდელაძე

თეა და სეგი

შვილიშვილები: ტატა ენდელაძე, თეა ენდელაძე,
ჯასპერ ჯონსტონ, ფილიქს ჯონსტონ

შვილიშვილები: ელვის -სალომე ჯონსტონ,
დავით და თინათინ ენდელაძეები

ერთიანი, დიდი ოჯახი

საქართველო ოლიმპის ჯაჭვზე

საბალტიისპირეთის რესპუბლიკების ოლიმპიური კომიტეტების, საბჭოთა ფიზიკურ კულტურისა და სპორტის მოღვაწეთა ხელშეკრულებულ ერთობლივი რეკომენდაციათა სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის წესდების პროექტის ახალი რედაქციის შესახებ

– გიგენერ რა წესებით პროგრამის ახალ რედაქციის, მოსმენილს და გიუნარეს ერთმანეთს ინფორმაციებს, ითანხმებს მიმდინარეობა ანალიზებენ:

მოკავშირეთა პროგრამა შეიცავს ცალკეულ დებულებებს, რომელიც ეწინააღმდეგება საბჭოთა კავშირის, 15 სუვერენული სოციალისტური სახელმწიფოებისგან შემდგარი ქვეყნის პროგრამებს. ეს პროგრამები დამტკიცებული სსრ კომიტეტებით XIX საკავშირო პარტიტორეტების და სსრ სახალხო დეპუტატთა ყრილობის თანახმად შემდგომ გარეთარეულის მიხედვის სსრ კავშირის სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნა, არ შეეძიოს ამ მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენულ უფლებებს. ამასთან, გამტკიცდება კავშირის პოზიციებიც. რადგან რაც უფრო ძლიერი და დამოუკიდებელი იქნებიან კავშირის წევრები, მით უფრო მძლავრი იქნება მთლი კავშირი. სამწუხაროდ, წარმოდგენილი პროექტი ვერ უსაბუთებს ფიზიკურსა და სსრ-ის შემდგომ დეფინიციებიდან ადგილს სამთოდ კავშირში. მაგალითად, წესდების მე-2 პუნქტი ოფიციალურს მოეკრა სსრ კავშირის ტერიტორიაზე სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის ორგანიზაციის კიდევ, რომ ასეთი სამოგადო წარმონაქმნები გვეკარგება ინტერნაციონალურად. რად და ლაპის სამთოდ ფედერაციის წევრების სუვერენულ უფლებებს. სამოგადოებიდან ორგანიზაციები მოკავშირე რესპუბლიკის სიერეფლის კიდეკეფლებენ, მოკავშირე შემოსვლის ფიზიკურების და სპორტის სფეროში ვერ განაცხადებენ პრეტენზიას საკუთარზე ოე ბის ეს უფლებები რესპუბლიკის მიერ ან ეგნი გადაცემული საკუთრი ორგანიზაციები შესვლის საკთხი უნდა გადაწყეს ნებაყოფლობით მოკავშირე რესპუბლიკის შესაბამისი სამთო კავშირებიი ორგანიზაციების მიერ. წარადგენ შემოქმედნა, სსრ კავშირის კომიტეტებიის დაინიკეთი 3 ბეფალი მოქალაქეთა უფლებების შესახებ, რომელიც ოიკალიზმენენ მთის კავშირ-ანების სამოგადოებრივ ორგანიზაციებს.

წესდების პროექტში არ არის ასახული ოლიმპიური მოძრაობის სტრუქტურა საბჭოთა კავშირში, არ არის, აგრეთვე, საბალტიისპირეთის რესპუბლიკების ხალხთა თანიერის შედეგად ადგენილი საბალტიისპირეთის ოლიმპიური კომიტეტი, შემმნელი ოლიმპიური აკადემია, მოკავშირე რესპუბლიკების მრავალფეროვანი სპორტული ფედერაციები.

თანამარ საბჭოთა კავშირის ოლიმპიური კომიტეტის წესდებაში ეთავაზობთ:

1. მე-2 მუხლი წარმოდგენილი იქნეს შემდეგი რედაქციით: საბჭოთა კავშირის ოლიმპიური კომიტეტი სსრ-ის მოკავშირე რესპუბლიკების ოლიმპიურ კომიტეტებს. სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის ორგანიზაცია და უფლებამოსილება ერეკლების მხილოდ მოკავშირე რესპუბლიკებს ამ ტერიტორიაზე, რომელშიც ოლიმპიური კომიტეტი არა აქვთ. საბჭოთა კავშირის რესპუბლიკის ოლიმპიური კომიტეტების თანამშრომლობა რეგულირდება დადებული ხელშეკრულებით.
2. გთავალისწინებულ იქნას თანამედროვე ოლიმპიზმის მიაკარა პრინციპები.
3. გთავალისწინებულ იქნას ოლიმპიური მოძრაობის სტრუქტურა სსრ კავშირში;
4. ცალკეულ განაფლებებში გამოიხატოს საქმანიც;
4.1. საკავშირო სპორტული ფედერაციებისა;
4.2. რესპუბლიკური სპორტული ფედერაციებისა;
4.3. რესპუბლიკური ოლიმპიური ფორმაციებისა;
4.4. ოლიმპიური აკადემიებისა;
4.5. პირველი ოლიმპიური ორგანიზაციებისა;
4.6. ლიტვის, ლატვის და ესტონეთის ადგენილი ოლიმპიური კომიტეტების და სპორტული ფედერაციების მოდელური ახის გთავალისწინებული, რომ ისინი მრავალი წლის განმავლობაში ოფერ ნოკუნ, საერთაშორისო ფედერაციებში წარმოდგენილი, რაც საბალთიუნის პირობებში გიუნერ.
5. ლიტვერების ფორმირებისას ანგარიში გაეწიოს სსრ კავშირის – საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოების კავშირის (სსრ კომეტტეკეთა, 76-ე მუხლი) ეროვნული სახელმწიფოებრივ მიწვნის.
6. ამ მოწვეის ქვეკეფენ პროგრამა გთავალისწინებულ იქნა უფლებათა ფელეკარის ქვეშიდან ზემოთ და აორეფთობა ყველა ეტაპზე ტერიტორიული და ეროვნული წარმომადგენლობის შეფარდების კეთანაბრები.
7. თანამშრომლობა, უფლებათა გადაცემა და ურთიერთობების განაზღვრა ოლიმპიურ კომიტეტებსა და ფედერაციებს შორის უნდა დარეგულირდეს მოლაპარაკების გზით.
8. გთავალისწინებულ იქნას მოკავშირე რესპუბლიკის ოლიმპიური კომიტეტების ინიციატივის შემნა.
9. სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის ანმაკოფის შემადგენლობაში შედანილი იქნას ყველა მოკავშირე რესპუბლიკის წარმომადგენელი.
10. სსრ კავშირის ოლიმპიურ კომიტეტს ეთავაზობთ შეიტეხოს სპორტული ფედერაციების საქმანიის წესი, ოლიმპიური კომიტეტის შეუთანხმა ორგანიზაციის მეგალითზე
11. სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის ახალი წესებისა მიღებულ იქნა სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის ქალეფნეს ბის შემდეგაც ჩატარება ხეკ ეტაპზეფილი კომიტეტის ქალეფნეს ეროვნულ საკთხზე და გაკეთება დასკვნა მიღებულთანხმებულობის მოლაპარაკების თანიაზე.
12. სსრ კავშირის ოლიმპიურ კომიტეტს ეთავაზობთ ერთი თვის განმავლობაში შეიქმნას, რიგიერ საერთო ქვეყანაში ოლიმპიური მიმართობის პრობლემების, ისე ლიტვის, ესტონეთის და ლატვიის ოლიმპიური კომიტეტების შეკრების შემნეველი კომისია.

კომისიის შემადგენლობაში ნებეი ამრიდან უნდა ნაკრნან სსრ კავშირის უფლებეკნი საჭმის შეფასებისმეფელი კომისიის ფეკუტატები, საბალთიისპირეთის რესპუბლიკის ოლიმპიური კომიტეტების საეკადოლებები.

ზ. ბრუანდაგინი,
ლიტვის სსრ სპორტსმენების ფედერაციის
ბ. ბალანდინი,
ესტონეთის სსრ სპორტსმენების ფედერაციის მოადგილე
ფ. ზალიანდ,
ლატვიის სსრ სპორტსმენების ფედერაციის
ნ. ბალანდინი,
საქართველოს სსრ სპორტსმენების ფედერაციის
ბ. ბალანდინი,
ლიტვის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი
ბ. ბალანდ,
ესტონეთის ოლიმპიური კომიტეტის გენერალური მდივანი
ბ. ბალანდინი
ლატვიის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი

საბალთიისპირეთისა და საქართველოს სპორტის ხელმძღვანელთა მიერ ხელმოწერილი დეკლარაცია

Рекомендации

консультативного совещания олимпийских комитетов и Госкомспортов Прибалтийских республик совместно с руководством Госкомспорта Грузии по новой редакции проекта Устава Олимпийского комитета СССР

г. Рига,

18.07.1989

Ознакомившись с проектом новой редакции Устава, заслушав сообщения и обменявшись мнениями, участники совещания отмечают:

Данный проек содержит отдельные положения, противоречащие принципам образования Союза ССР, состоящего из 15 суверенных социалистических государств. Эти принципы утверждены Конституцией СССР, согласно решениям XIX Всесоюзной партконференции и Съезда народных депутатов СССР дальнейшее развитие получит создание правового государства в СССР, не ущемляя суверенные права союзных республик. Тем самым будут укреплены позиции Союза, ибо чем сильнее и самостоятельнее будут члены Союза, тем могучее будет Союз в целом. К сожалению, представленный проект не отвечает идеям дальнейшей демократизации физкультуры и спорта в СССР. В частности п. 2 проекта Устава предусматривает распространение юрисдикции ОК СССР на всю территорию СССР, без согласия союзных республик. Полагаем, что такие намерения общественных образований являются антиконституционными и нарушающими суверенные права членов советской федерации. Общественные организации без учета пожеланий союзных республик, в данном случае в сфере физической культуры и спорта, не могут претендовать на статус Всесоюзной, если ей не переданы такие права республиками. Вопрос о вступлении во всесоюзную организацию должен добровольно решаться соответствующей общественной организацией союзной республики. В противном случае будут нарушены правила ст. 51 Конституции СССР о правах граждан объединяться в общественные организации.

В проекте Устава поражена структура олимпийского движения в СССР, не нашли свое место восстановленные по требованию народа ОК Прибалтийских республик, созданные Олимпийские академии, многочисленные спортивные федерации союзных республик.

Совещание рекомендует в Уставе Олимпийского комитета СССР:

1. Изложить ст. 2 в следующей редакции: ОК СССР признает ОК союзных республик. Юрисдикция и полномочия ОК СССР распространяются на территории союзных республик, не имеющих ОК. Сотрудничество ОК СССР с ОК союзных республик регулируется заключением договора.

2. Предусмотреть основополагающие принципы современного олимпизма.

3. Предусмотреть структуры олимпийского движения в СССР.

4. В отдельных разделах отразить деятельность:

4.1. Всесоюзных спортивных федераций;

4.2. Республиканских спортивных федераций;

4.3. Республиканских олимпийских формаций.

4.4. Олимпийских академий;

4.5. Первичных олимпийских организаций.

4.6. Деятельность восстановленных ОК в спортивных федерациях Латвии, Литвы, Эстонии с учетом их долголетнего представительства в МОК, международных федерациях и прекращения деятельности в условиях сталинизма.

5. Учитывая уникальность государственного устройства СССР - союз суверенных советских социалистических государств (ст. 76 Конституции СССР) - учесть это при формировании документа.

6. Предусмотреть основополагающим принципом устройства делегирование прав снизу вверх и выборность на всех этапах, уравновешивая соотношение территориального и ведомственного представительства.

7. Сотрудничество, передачу прав и определение взаимоотношений между ОК, федерациями и другими формированиями регулировать договорами.

8. Предусмотреть создание ассоциации олимпийских комитетов союзных республик.

9. В составе Исполкома ОК СССР предусмотреть представительство всех союзных республик.

10. Предложить ОК СССР разработать порядок работы спортивных федераций по примеру организации работы ОК.

11. Новый Устав ОК СССР принять на пленуме ОК СССР после пленума ЦК КПСС по национальному вопросу и после выводов комиссии по вопросу договора Молотова-Риббентропа.

12. Предложить ОК СССР в течение месяца создать союзную комиссию по проблемам олимпийского движения страны в целом и работы Олимпийских комитетов Литвы, Эстонии, Латвии конкретно.

Включить в состав комиссии с нашей стороны членов постоянодействующей комиссии, депутатов Верховного Совета СССР, специалистов Олимпийских комитетов Прибалтийских республик.

Председатель Госкомспорта Литовской ССР
З. Мотекайтис

Президент Олимпийского комитета Литвы
А. Павилюнис

ЗАМ. председателя Госкомспорта Эстонской ССР
П. Яковлев

Генеральный секретарь Олимпийского комитета Эстонии
Г. Паал

Председатель Госкомспорта Латвийской ССР
Д. Звятиай

Президент олимпийского комитета Латвии
В. Балтиньш

Председатель Госкомспорта Грузинской ССР
В. Эделадзе